

NextGenPSD2 XS2A ჩარჩოს

განხორციელების სახელმძღვანელო

ვერსია 0.8.RC3

1 სარჩევი

1	სარჩევი	1
2	დოკუმენტის შესახებ	4
2.1	ამ დოკუმენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის დანერგვის გრაფიკი	5
2.1.1	მინიმალური სავალდებულო ვერსია	6
2.1.2	ავტორიზაციების რაოდენობა ანგარიშის ინფორმაციის მომსახურებაში	6
2.1.3	განცალკევებული ავტორიზაციების მხარდაჭერა	6
2.1.4	გადახდის ინიცირების მომსახურების მხარდაჭერა	7
2.1.5	მრავლობითი გადახდების მხარდაჭერა	7
2.1.6	საბარათო ანგარიშების ინფორმაციის გაზიარების მხარდაჭერა	7
2.1.7	მინდობილი პირებისთვის ღია ბანკინგზე ავტომატური დაშვების არასავალდებულობა	8
3	დოკუმენტის ისტორია	8
4	ტერმინები და აბრევიატურები	9
5	მმპ, ამსმპ და მათი ავთენტიფიკაცია ერთმანეთის მიმართ	9
5.1	უნიკალური იდენტიფიკატორის გამოყენება	10
5.2	დაცული საკომუნიკაციო არხის მოთხოვნები	11
5.3	OAuth2 დამატებითი მოთხოვნები	11
5.4	მოთხოვნები გამოყენებითი პროგრამული უზრუნველყოფის დონეზე დაცულობის მიმართ	11
5.5	ზოგადი მოთხოვნები სერტიფიკატების შემოწმების პროცესის მიმართ	12
5.6	ზოგადი მოთხოვნები ჰიპერბმულების შემოწმების მიმართ	13
6	მომხმარებლის ავთენტიფიკაცია და ავტორიზაცია	13
7	API სტრუქტურა	13
7.1	API რესურსების მისამართები	13
7.2	API მოთხოვნისა და პასუხის ფორმატი	14
7.3	HTTP პასუხის კოდები და დამატებითი ინფორმაცია პასუხის შესახებ	14

32	7.4	ელექტრონული შტამპის განხორციელება მოთხოვნასა და პასუხზე.....	14
33	7.5	ენებისა და რეგიონების გამოყენება.....	15
34	7.6	საგადახდო აგენტების, საბანკო ანგარიშების, ფიზიკური და იურიდიული პირების	
35		იდენტიფიკატორების გამოყენება	15
36	7.6.1	PartyIdentification ტიპის გამოყენება	15
37	7.6.2	საქართველოს სახელმწიფო ხაზინისა და სახაზინო კოდების იდენტიფიკაცია....	16
38	7.6.3	საგადამხდლო აგენტები რომლებიც არ იდენტიფიცირდებიან BICFI ტიპის	
39		კოდებით.....	16
40	7.7	მოთხოვნების უნიკალურობა და იდემპოტენტურობა.....	17
41	8	გადახდის ინიცირების მომსახურება	17
42	8.1	გადახდის ინიცირების მომსახურების ტიპები და პროდუქტები.....	17
43	8.2	მონაცემთა ელემენტები გადახდის ინიცირებისათვის	18
44	8.2.1	მონაცემთა ელემენტების გამოყენება საგადახდო პროდუქტებში.....	21
45	8.2.2	მონაცემთა ელემენტების კავშირი ბანკთაშორისი გადარიცხვების სისტემებთან	24
46	8.2.3	გადარიცხვის პრიორიტეტულობა	27
47	8.2.4	გადარიცხვა სხვა პირის სახელით	28
48	8.2.5	domestic და aspsp პროდუქტების ურთიერთმიმართება.....	28
49	8.2.6	გადამხდელის ანგარიშის იდენტიფიკაცია.....	29
50	8.2.7	ელემენტი remittanceInformationUnstructured და	
51		remittanceInformationUnstructuredArray	29
52	8.2.8	ელემენტი requestedExecutionDate და requestedExecutionDateTime	30
53	8.2.9	ელემენტი chargeBearer	30
54	8.3	გადახდის ინიცირება	30
55	8.3.1	ერთეულოვანი გადახდის ინიცირება.....	31
56	8.3.2	მრავლობითი გადახდის ინიცირება	31
57	8.4	ინიცირებული გადახდის ავტორიზაცია	32
58	8.4.1	ამსმპ-ის მიერ გენერირებული დინამიკური ინფორმაცია ავტორიზაციისათვის ...	32
59	8.5	გადახდის სტატუსი	33
60	8.6	გადახდის დეტალები.....	33
61	8.7	გადახდის გაუქმების მოთხოვნა.....	34
62	8.8	გადახდის გაუქმების ავტორიზაციის ქვე-რესურსების სია	35
63	8.9	გადახდის ინიცირების ტიპური შემთხვევები.....	35
64	8.9.1	კონვერტაცია მულტისავალუტო ანგარიშის „ქვეანგარიშებს“ შორის.....	35
65	8.9.2	კონვერტაცია საკუთარ ანგარიშებს შორის.....	35

66	8.10	საგადახდო დავალების სასიცოცხლო ციკლი.....	36
67	9	ანგარიშის ინფორმაციის მომსახურება	39
68	9.1	ღია ბანკინგის ანგარიშების, საბარათო ანგარიშების და ბარათების ინფორმაციის	
69		გაზიარებაზე თანხმობის გამოხატვის ძირითადი პრინციპები.....	40
70	9.1.1	თანხმობის მოთხოვნის დოკუმენტი	41
71	9.1.2	თანხმობის მოთხოვნის დოკუმენტის კონკრეტული მაგალითები (ინფორმაციული)	
72		49	
73	9.1.3	თანხმობის გაუქმებასთან დაკავშირებული ტიპური სცენარები	53
74	9.2	თანხმობის გამოხატვასთან დაკავშირებული სერვისები	53
75	9.2.1	თანხმობის მოთხოვნის რეგისტრაციის სერვისი.....	53
76	9.2.2	თანხმობის სტატუსის სერვისი.....	55
77	9.2.3	თანხმობის შესახებ დეტალური ინფორმაციის მიწოდების სერვისი.....	55
78	9.2.4	თანხმობის გაუქმების სერვისი.....	56
79	9.3	ღია ბანკინგის ანგარიშების ინფორმაციის სერვისები.....	56
80	9.3.1	თანხმობა და ავტორიზაცია.....	56
81	9.3.2	ანგარიშის ნომრების ტოკენიზაცია.....	57
82	9.3.3	ანგარიშების სია.....	57
83	9.3.4	ანგარიშის დეტალები	61
84	9.3.5	ანგარიშის ნაშთი	65
85	9.3.6	ანგარიშის ტრანზაქციების სია	66
86	9.3.7	ტრანზაქციის დეტალების სერვისი.....	79
87	9.4	საბარათო ანგარიშებისა და ბარათების ინფორმაციის სერვისები	79
88	9.4.1	ბარათი და საბარათო ანგარიში ამ დოკუმენტის მიზნებისათვის.....	80
89	9.4.2	საბარათო ანგარიშებზე ინფორმაციის დაბრუნების წესი	81
90	9.4.3	ბარათის ინფორმაციის სერვისების მეშვეობით ინფორმაციის დაბრუნების წესი	81
91	9.4.4	ბარათის ნომრების გამოყენება და მათი შენიღბვის წესი	81
92	9.4.5	საბარათო ანგარიშების და ბარათების სია.....	82
93	9.4.6	საბარათო ანგარიშის და ბარათის დეტალები	83
94	9.4.7	საბარათო ანგარიშის და ბარათის ნაშთები.....	83
95	9.4.8	საბარათო ანგარიშის და ბარათის ტრანზაქციების სია.....	84
96	10	მომხმარებლის თანხმობის გამოხატვის წესი	85
97	10.1	თანხმობის გამოხატვა ინფორმაციის გაზიარებაზე	85
98	10.1.1	თანხმობის პრეამბულა	85

99	10.1.2	მოთხოვნები ინფორმაციის გაზიარების პირობებთან დაკავშირებით.....	86
100	10.1.3	მოთხოვნები გასაზიარებელი ინფორმაციის დეტალების ჩვენებასთან	
101		დაკავშირებით.....	87
102	10.1.4	მომხმარებლის თანხმობის ვიზუალური ეკრანები (ინფორმაციული).....	88
103	10.2	გადახდის ინიცირებაზე თანხმობის გამოხატვის წესი.....	90
104	10.2.1	მომხმარებლის თანხმობის ვიზუალური ეკრანები.....	90
105	11	მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები	98
106	11.1	პერსონალური მონაცემების დამუშავება მმპ-ის მხარეს.....	98
107	11.2	წვდომა სხვა პირების ანგარიშებზე	98
108	12	წყაროები	98
109			
110			

111 2 დოკუმენტის შესახებ

112 ეს დოკუმენტი წარმოადგენს NextGenPSD2 XS2A ჩარჩოს განხორციელების სახელმძღვანელოს,
 113 საქართველოს კანონმდებლობასთან თავსებადი ღია ბანკინგის დანერგვის მიზნით. დოკუმენტი
 114 სრულად თავსებადია შესაბამის ჩარჩოსთან (1) და (2)_თან, აზუსტებს მათ მოთხოვნებს,
 115 საქართველოს კანონმდებლობისა და ადგილობრივი კონტექსტის გათვალისწინებით.

116 დოკუმენტის მიზანია, მოახდინოს საქართველოში ღია ბანკინგის სერვისების მაქსიმალური
 117 ჰარმონიზაცია და ამ მიზნით, ის აწესებს ბევრ ისეთ შეზღუდვას, რომელთან დაკავშირებითაც
 118 NextGenPSD2 XS2A ჩარჩო მეტი თავისუფალი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა.
 119 დოკუმენტით დამატებით შეზღუდული საკითხების არაამომწურავი სია შემდეგია:

- 120 1) მომხმარებლის ავთენტიფიკაციის დასაშვები მეთოდები (მიუხედავად იმისა, რომ (1) და
 121 (2) იძლევა მომხმარებლის ძლიერი ავთენტიფიკაციის მეთოდების არჩევანის
 122 საშუალებას, წინამდებარე დოკუმენტი მოითხოვს მხოლოდ OAuth2 ავთენტიფიკაციას)
- 123 2) დოკუმენტების ფორმატი - წინამდებარე დოკუმენტი სავალდებულოდ აცხადებს JSON
 124 ფორმატის მხარდაჭერას.

125 ასევე დოკუმენტით დარეგულირდა გარკვეული საკითხები, რომლებიც ჩაითვალა (2)-ით
 126 არასაკმარისად დარეგულირებულად (ან რეგულირების მიღმა დატოვებულად). ცალკეულ
 127 შემთხვევებში, როდესაც ამ დოკუმენტით გარკვეული საკითხები NextGenPSD2 XS2A ჩარჩოსადმი
 128 შეუსაბამო მოთხოვნებს აწესებს, საკითხი მონიშნულია ტექსტით „// გადახვევაXS2A ჩარჩოდან“.

129 ეს დოკუმენტი მოცემულობად იღებს იმ ფაქტს, რომ კომუნიკაციაში ჩართულ მხარეებს შორის
 130 შესაძლოა ხელშეკრულება გაფორმებული არ იყოს. ცალკეულ შემთხვევებში დოკუმენტი ცხადად
 131 მიუთითებს იმ შესაძლებლობების შესახებ, რომელთა დარეგულირებაც მხარეებს
 132 ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ შეუძლიათ. თუმცა აღნიშნული არ ათავისუფლებს
 133 მხარეებს ვალდებულებისგან, მხარი დაუჭირონ ისეთ კონტრაქტებთან ინტეგრაციას,
 134 რომლებთანაც ხელშეკრულება გაფორმებული არ არის.

135 იმ გასაღები სიტყვების ქართული თარგმანების ინტერპრეტაცია, რომელიც მოცემულია ცხრილი
 136 1-ში ("MUST", "MUST NOT", "REQUIRED", "SHALL", "SHALL NOT", "SHOULD", "SHOULD NOT",
 137 "RECOMMENDED", "MAY", და "OPTIONAL") უნდა მოხდეს (3) შესაბამისად. ტერმინებს ეს
 138 მნიშვნელობა აქვთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ისინი **მსხვილი მხედრული** ან/და
 139 მთავრული (მთავრული) შრიფტით არიან გამოყენებული.

140

English	ქართული
MUST	უნდა
MUST NOT	არ უნდა
REQUIRED	სავალდებულოა
SHALL	აუცილებელია
SHALL NOT	არავითარ შემთხვევაში
SHOULD	უმჯობესია
SHOULD NOT	არარეკომენდებულია
RECOMMENDED	რეკომენდებულია
MAY	შესაძლოა
OPTIONAL	არააუცილებელია

141 ცხრილი 1: ტერმინოლოგიური შესაბამისობა RFC2119 -თან.

142

143 საკითხებს, რომლებიც მონიშნულია როგორც „უმჯობესია“ „რეკომენდებულია“ და
 144 „არარეკომენდებულია“ ასევე მოჰყვება დამაზუსტებელი მითითება იმის თაობაზე, თუ რატომაა
 145 რეკომენდებული (ან არარეკომენდებული) აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა ამ დოკუმენტის
 146 დანაწესის მიხედვით.

147 დოკუმენტს გააჩნია იერარქიული სტრუქტურა. იმ შემთხვევაში, როდესაც დოკუმენტის
 148 გარკვეული თავით აღწერილი საკითხი (მაგ. საბარათე ანგარიშების ინფორმაციის სერვისები)
 149 მონიშნულია როგორც „არააუცილებელი“, აღნიშნულ თავში (და ასევე მის ქვეთავებში)
 150 მითითებული აუცილებელი მოთხოვნები ითვლება აუცილებლად მხოლოდ იმ პირობით,
 151 როდესაც ხდება შესაბამისი საკითხის რეალიზება.

152 2.1 ამ დოკუმენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის დანერგვის გრაფიკი

153 ეს თავი განსაზღვრავს ამ დოკუმენტის სავალდებულო მოთხოვნების დაკმაყოფილების
 154 გრაფიკს. იმ შემთხვევაში, როდესაც დოკუმენტი ამა თუ იმ მოთხოვნას აცხადებს
 155 სავალდებულოდ, მაგრამ ამ თავით განსაზღვრულია ვალდებულების ძალაში შესვლის ვადა,

156 მაშინ აღნიშნულ ვადამდე ამ მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობა დოკუმენტთან
157 არათავსებადობად არ ჩაითვლება.

158 2.1.1 მინიმალური სავალდებულო ვერსია

159 **აუცილებელია**, 2021 წლის 1 ოქტომბრიდან ამსმპ-ს დანერგილი ჰქონდეს ამ დოკუმენტის 0.8.RC1
160 ვერსია (დფ-2 დაზუსტების ფურცლის ჩათვლით), ან უფრო ახალი. **შესაძლოა** ამსმპ
161 პარალელურად მხარს უჭერდეს ძველ ვერსიებსაც.

162

163 2.1.2 ავტორიზაციების რაოდენობა ანგარიშის ინფორმაციის მომსახურებაში

164 2022 წლის 30 მაისამდე ამსმპ-ს უფლება აქვს, ანგარიშის ინფორმაციის მომსახურების
165 მიზნებისათვის მომხმარებლის თანხმობის განხორციელების პროცესში მოითხოვოს მხოლოდ
166 ერთი ავთენტიფიკაცია (და შექმნას მხოლოდ ერთი ავტორიზაციის რესურსი (4)- ის 6.3 ან/და 6.4
167 თავების შესაბამისად), თუ აღნიშნულით შესაძლებელი იქნება მესამე მხარის პროვაიდერს
168 გაუზიარდეს ღია ბანკინგისათვის გამოსადეგი ნებისმიერი ანგარიში, რომელიც ეკუთვნის
169 მოცემულ ფიზიკურ პირს, ინდემწარმეს ან ორგანიზაციას.

170 **აუცილებელია**, ინტერნეტ ან/და მობილური ბანკინგით მოსარგებლე ყველა პირს ამსმპ-მა
171 ავტომატურ რეჟიმში ჩაურთოს დაშვება სულ მცირე ერთი ანგარიშის გამოყენებით. იურიდიული
172 პირის შემთხვევაში **შესაძლოა** ეს იყოს ე.წ. “სუპერ-მომხმარებელი”, ხოლო ფიზიკური პირის
173 შემთხვევაში თავად ეს ფიზიკური პირი. **უმჯობესია** ამსმპ-მა საშუალება მისცეს აღნიშნულ
174 პირებს, სურვილისამებრ ინტერნეტ ან/და მობილბანკიდან განსაზღვრონ დამატებითი
175 მომხმარებლები, ვისაც წვდომა ექნებათ ღია ბანკინგის საშუალებითაც.

176 **შესაძლოა** სხვადასხვა გამოსადეგი ანგარიშების გაზიარებას სხვადასხვა პირის თანხმობა
177 ესაჭიროებოდეს (თუმცა ერთი ავტორიზაციის რესურსის შექმნით).

178

179 2.1.3 განცალკევებული ავტორიზაციების მხარდაჭერა

180 ამ დოკუმენტით განსაზღვრული მომსახურებების (გადახდის ინიცირების მომსახურება,
181 ანგარიშის ინფორმაციის მომსახურება) განხორციელებისას, თუ მმპ-მა ავტორიზაციის პროცესში
182 ცხადად მიუთითა, რომ არ სურს გადამისამართების ტიპის ავტორიზაცია და ამჯობინებს
183 განცალკევებული ავტორიზაციის გამოყენებას, ანუ მმპ-მა ავტორიზაციის რესურსის შექმნისას
184 სათაურში მმპ-მა მიუთითა TPP-Redirect-Preferred=false და TPP-Decoupled-Preferred=true,
185 **შესაძლოა** ამსმპ-მა აღნიშნულს ყურადღება არ მიაქციოს და მაინც გადამისამართების ტიპის
186 ავტორიზაცია მოითხოვოს. აღნიშნული მექანიზმები ლეტალურადაა აღწერილი (4)-ით.

187 2022 წლის 1 ივნისიდან **აუცილებელია** ამსმპ-მა განახორციელოს განცალკევებული
188 ავტორიზაციის პროცესი, თუ მმპ-მა ავტორიზაციის რესურსის შექმნისას სათაურში მმპ-მა
189 მიუთითა TPP-Redirect-Preferred=false და TPP-Decoupled-Preferred=true.

190

2.1.4 გადახდის ინიცირების მომსახურების მხარდაჭერა

აუცილებელია ერთულოვანი გადახდის მომსახურების (იხ. თავი **Error! Reference source not found.**) და მასთან დაკავშირებული ყველა საჭირო API (სტატუსის შემოწმება, გაუქმება და ა.შ.) შეთავაზებული იქნეს არაუგვიანეს შემდეგი თარიღებისა, ფიზიკური პირების შემთხვევაში:

1. ქვეყნის შიდა (domestic) გადარიცხვები:

1.1. ნებისმიერ ვალუტაში, ამსმპ-ში არსებული ანგარიშიდან იმავე ამსმპ-ში არსებულ სხვა ანგარიშზე (მათ შორის სხვა პირის ანგარიშზე) - არაუგვიანეს 2021 წლის 30 ნოემბრისა

1.2. ლარში, ამსმპ-დან საქართველოში ლიცენზირებულ კომერციულ ბანკში, RTGS სისტემის გავლით - არაუგვიანეს 2021 წლის 30 ნოემბრისა

1.3. ლარში, ამსმპ-დან სახელმწიფო ბიუჯტში, RTGS სისტემის გავლით - არაუგვიანეს 2021 წლის 30 ნოემბრისა

1.4. უცხოურ ვალუტაში, SWIFT სისტემის გავლით, საქართველოში ლიცენზირებულ კომერციულ ბანკში, არაუგვიანეს 2022 წლის 31 მაისისა

2. ქვეყნის გარე (foreign) გადარიცხვები უცხოურ ვალუტაში, SWIFT სისტემის გავლით - არაუგვიანეს 2022 წლის 31 მაისისა

2021 წლის 30 ნოემბერს დასასრულებელ ფუნქციებში აღმოჩენილი მსხვილმასშტაბიანი ხარვეზების (ანუ იმგვარი ხარვეზების, რომლებსაც პოტენციურად შეუძლიათ შეაფერხონ სერვისის მიწოდებას მმპ-ების ფართო წრისათვის, მათ შორის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ხარვეზების) შესასწორებლად კომერციულ ბანკებს აქვთ ვადა არაუგვიანეს 15 დეკემბრისა.

2022 წლის 31 მაისამდე იურიდიული პირების ერთულოვანი გადარიცხვების მხარდაჭერა როგორც domestic ისე foreign შემთხვევაში **უმჯობესია**, ამ ვადის გასვლის შემდეგ კი **აუცილებელია**.

შენიშვნა: იმ შემთხვევაში თუ ამ თავით დადგენილი ვადის დადგომისას ამსმპ საკუთარ მომხმარებლებს არ სთავაზობს უცხოური ვალუტის გადარიცხვას ონლაინ არხების (ინტერნეტბანკი, მობილბანკი) მეშვეობით, მასზე შესაბამისი მოთხოვნები გავრცელდება ერთ-ერთ ამგვარ არხში ამ მომსახურების შეთავაზების მომენტიდან

2.1.5 მრავლობითი გადახდების მხარდაჭერა

2022 წლის 31 მაისამდე მრავლობითი გადახდების მხარდაჭერა (იხ. თავი **Error! Reference source not found.**) **უმჯობესია**. ამ ვადის გასვლის შემდეგ კი **აუცილებელია**.

2.1.6 საბარათე ანგარიშების ინფორმაციის გაზიარების მხარდაჭერა

2022 წლის 28 მარტამდე საბარათე ანგარიშების ინფორმაციის გაზიარების მხარდაჭერა (იხ. თავი **Error! Reference source not found.**) **უმჯობესია**. ამ ვადის გასვლის შემდეგ კი **აუცილებელია**.

227 2.1.7 მინდობილი პირებისთვის ღია ბანკინგზე ავტომატური დაშვების
 228 არასავალდებულობა
 229 ამ დოკუმენტით დადგენილი ღია ბანკინგი ითვალისწინებს რომ პირი, რომელსაც ანგარიშებზე
 230 წვდომა აქვს ბანკში, ანგარიშზე წვდომის უფლებას აძლევს მმპ-ს. თუ აღნიშნული პირი არის არა
 231 ანგარიშის მფლობელი, არამედ ამ ანგარიშის მფლობელის მიერ უფლებამოსილი პირი
 232 (მინდობილობის საფუძველზე), არსებობს რისკი რომ მინდობილობა არ ითვალისწინებდეს
 233 მინდობილი პირის მიერ ამგვარ ინფორმაციაზე დაშვების მიცემას მმპ-სთვის.

234 აღნიშნული რისკის აღმოსაფხვრელად **შესაძლოა** ამსმპ-მა ავტომატურად წვდომა არ მისცეს
 235 მინდობილ პირებს და მათი მოთხოვნის შემთხვევაში ინდივიდუალურად განიხილოს დაშვების
 236 საკითხი, მინდობილობის შინაარსიდან გამომდინარე.

237 ამ თავის დანაწესი ვრცელდება როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირების შემთხვევაზე.

238
 239
 240

241 3 დოკუმენტის ისტორია

ვერსია	თარიღი	ცვლილება
0.3	20.08.2020	საწყისი ვერსია.
0.4	01.09.2020	დაემატა ანგარიშის ინფორმაციის სერვისების დეტალური აღწერა. მომხმარებლის ძლიერი ავთენტიფიკაციის აღწერა გახდა უფრო დეტალური.
0.5	09.09.2020	აისახა საქართველოს ეროვნული ბანკისა და სხვადასხვა კომერციული ბანკების კომენტარები
0.6	16.09.2020	აისახა საქართველოს ეროვნული ბანკის დამატებითი კომენტარები - დაუშვებლად იქნა ცნობილი „გლობალური თანხმობა“ და დაზუსტდა სისტემის მონაწილეთათვის იდენტიფიკატორის მინიჭების წესი. ასევე დაემატა შეტყობინებებში თარიღის გადამოწმების წესი.
0.7	05.05.2021	ავთენტიფიკაცია-ავტორიზაციის და სერტიფიკატების თავები სრულად გადავიდა „ღია ფინანსების სისტემაში იდენტიფიკაციის, ავთენტიფიკაციისა და ავტორიზაციის განხორციელების სახელმძღვანელოში“. ასევე, დაემატა გადახდის ინიცირების, საბარათე ანგარიშების და ბარათების სერვისების აღწერა.
0.8		დაზუსტდა ტოკენების სავალდებულობის საკითხი გადახდის ინიცირებისა და თანხმობის რეგისტრაციისას. დაზუსტდა თანხმობის მოთხოვნის ტექსტები. დაემატა გადახდის სტატუსები, გადახდის ინიცირების ეკრანები.

242

243 **მნიშვნა:** შესაძლოა დოკუმენტს ჰქონდეს მე-3 დონის ვერსიები (მაგ. 0.8.RC1), რაც მითითებული
 244 იქნება სათაურის ქვემოთ. აღნიშნული მიდგომა გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც ვერსია
 245 ჯერ კიდევ არაა საბოლოო და მასში შეიძლება შევიდეს სარედაქციო ან/და სხვა ნაკლებად
 246 მნიშვნელოვანი შესწორებები. როდესაც ვერსიაზე მუშაობა დასრულდება, მე-3 დონის ვერსია
 247 მოიხსნება (ანუ, 0.8.RC1, 0.8.RC2, ...0.8.RCn საბოლოოდ გადაიქცევა 0.8 ვერსიად).

248

249 4 ტერმინები და აბრევიატურები

250 ამ დოკუმენტში გამოყენებულ ყველა ტერმინს, რომელიც განსაზღვრულია „საგადახდო
 251 სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონში, აქვს ამავე კანონით
 252 განსაზღვრული მნიშვნელობა, გარდა იმ შემთხვევებისა როცა ამ თავში ტერმინი სხვაგვარად
 253 არის განსაზღვრული.

254 დოკუმენტში, შემოკლების მიზნით შესაძლოა გამოყენებული იყოს შემდეგი აბრევიატურები:

ამსმპ	ანგარიშის მომსახურე საგადახდო მომსახურების პროვაიდერი (Account Servicing Payment Service Provider, ASPSP)
მმპ	მესამე მხარის პროვაიდერი (Third Party Provider, TPP) - საგადახდო მომსახურების პროვაიდერი, გარდა ამსმპ-ისა
გიმპ	გადახდის ინიცირების მომსახურების პროვაიდერი (Payment Initiation Service Provider, PISP)
აიწპ	ანგარიშის ინფორმაციაზე წვდომის პროვაიდერი (Account Information Service Provider, AISP)
სიგმპ	საბარათო ინსტრუმენტის გაცემის მომსახურების პროვაიდერი (Payment Instrument Issuing Service Provider, PIISP)
გსს	გაუქმებული სერტიფიკატების სია (Certificate Revocation List, CRL)
სოსპ	სერტიფიკატების ონლაინ სტატუსის პროტოკოლი (Online Certificate Status Protocol, OCSP)
სმმ	საგადახდო მომსახურების მომხმარებელი (Payment Service User, PSU)

255 ცხრილი 2: გამოყენებული აბრევიატურები.

256 ამ დოკუმენტის არც ერთ თავში ტერმინი „კლიენტი“ არ აღნიშნავს პირს, რომელიც სარგებლობს
 257 რაიმე სახის ფინანსური მომსახურებით. დოკუმენტის ამ ვერსიის მიზნებისათვის ტერმინი
 258 „კლიენტი“ შემთხვევათა უმრავლესობაში აღნიშნავს მმპ-ს.

259

260 5 მმპ, ამსმპ და მათი ავთენტიფიკაცია ერთმანეთის მიმართ

261 **აუცილებელია**, მმპ და ამსმპ ერთმანეთს უკავშირდებოდნენ დაცული საკომუნიკაციო არხით,
 262 რომელიც ამავედროულად უზრუნველყოფს ორივე მხარის საიმედო ავთენტიფიკაციას

263 ერთმანეთის მიმართ. **სავალდებულოა**, აღნიშნული განხორციელდეს (2)-ის მიხედვით როგორც
264 საკომუნიკაციო არხის, ისე გამოყენებითი პროგრამული უზრუნველყოფის დონეზე.

265 5.1 უნიკალური იდენტიფიკატორის გამოყენება

266 **აუცილებელია**, მძ და ამსმპ ურთიერთკავშირისას ერთმანეთის საიდენტიფიკაციოდ
267 იყენებდნენ უნიკალურ ნომრებს, რომლებიც შედგენილია შემდეგი პრინციპით:

268 PSDGE-NBG-სუფიქსი

269 სადაც „სუფიქსი“ განისაზღვრება შემდეგნაირად:

270 1. თუ საგადახდო მომსახურების პროვაიდერი (ამსმპ, მძპ) საგადახდო მომსახურების დაწყების
271 მომენტისათვის ჩართულია საქართველოს ეროვნული ბანკის დროის რეალურ რეჟიმში
272 ანგარიშსწორების (RTGS) სისტემაში, მაშინ მის იდენტიფიკატორში სუფიქსი ავტომატურად
273 (საქართველოს ეროვნულ ბანკთან შეთანხმების საჭიროების გარეშე) იქნება RTGS სისტემაში
274 მონაწილის იდენტიფიკატორი (ამრიგად, სუფიქსები იქნება PSDGE-NBG-BAGAGE22, PSDGE-
275 NBG-CBASGE22, PSDGE-NBG-DISNGE22 და ა.შ.).

276 1.1. თუ საგადახდო მომსახურების პროვაიდერი მოგვიანებით დაკარგავს RTGS სისტემის
277 მონაწილის სტატუსს, მას უფლება ექნება გამოიყენოს აღნიშნული იდენტიფიკატორი
278 სტატუსის დაკარგვიდან 2 წლის განმავლობაში.

279 1.2. თუ საგადახდო მომსახურების პროვაიდერი შეიცვლის RTGS სისტემაში მონაწილის
280 იდენტიფიკატორს, მას უფლება ექნება გამოიყენოს ძველი იდენტიფიკატორი
281 ცვლილებიდან 2 წლის განმავლობაში.

282 2. სხვა შემთხვევაში სუფიქსი არის საგადახდო მომსახურების პროვაიდერისათვის
283 საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მინიჭებული უნიკალური იდენტიფიკატორი.
284 წინამდებარე დოკუმენტი არ არეგულირებს ეროვნული ბანკის მიერ აღნიშნული
285 იდენტიფიკატორების მინიჭების წესს. თუ ასეთი საგადახდო მომსახურების პროვაიდერი,
286 რომელსაც უკვე მინიჭებული აქვს იდენტიფიკატორი მე-2 პუნქტის შესაბამისად,
287 მოგვიანებით ჩაერთვება RTGS სისტემაშიც, მას უფლება ექნება გამოიყენოს თავდაპირველი
288 იდენტიფიკატორი RTGS სისტემაში ჩართვიდან 2 წლის განმავლობაში

289 3. თუ საგადახდო მომსახურების პროვაიდერი იცვლის იდენტიფიკატორს წინა პუნქტებით
290 განსაზღვრულ რომელიმე შემთხვევაში, მან **არავითარ შემთხვევაში** აღარ უნდა გამოიყენოს
291 ძველი იდენტიფიკატორი, მიუხედავად იმისა, დარჩენილი აქვს თუ არა მას
292 ზემოთაღნიშნული პუნქტებით განსაზღვრული 2-წლიანი ვადა.

293

294 **აუცილებელია**, OAuth2 პროტოკოლის ინიცირებისას გამოყენებული client_ID პარამეტრი
295 მკაცრად (მათ შორის სიმბოლოების რეგისტრების გათვალისწინებით) უდრიდეს
296 ზემოთაღნიშნულ იდენტიფიკატორს.

297

298

299

5.2 დაცული საკომუნიკაციო არხის მოთხოვნები

აუცილებელია, კავშირის არხი დამყარდეს TLS პროტოკოლის მიხედვით, TLS 1.2 ან უფრო მაღალის მიხედვით.

აუცილებელია, კავშირის დამყარებისას ორივე მხარემ ერთმანეთს წარუდგინოს X.509 ფორმატის სერტიფიკატები. **აუცილებელია**, თითოეული სერტიფიკატი ტექნიკურად სრულად აკმაყოფილებდეს (5)-ის მოთხოვნებს ვებსაიტის ავთენტიფიკაციის კვალიფიციური სერტიფიკატების მიმართ, შეიცავდეს 5.1 თავით განსაზღვრულ იდენტიფიკატორს და (5)-ით განსაზღვრულ შესაბამის როლებს და გაცემული იყოს სერტიფიკატის ისეთი გამცემის მიერ, რომელიც აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით ღია ბანკინგისათვის საჭირო სერტიფიკატის გამცემისათვის წაყენებულ მოთხოვნებს.

აუცილებელია, OAuth2 პროტოკოლის რეალიზაციისას გამოყენებული იქნას კლიენტის (მმპ-ს) ავთენტიფიკაცია და ტოკენების გაცემა ხორციელდებოდეს (6)-ის მოთხოვნების შესაბამისად და ამ პროცესში გამოიყენებოდეს წინამდებარე თავით განსაზღვრული სერტიფიკატები.

აუცილებელია, ამსმპ-მა და მმპ-მა სერტიფიკატებით დაიცვან ყველა ის ჰიპერბმული, რომელსაც ისინი ერთმანეთს გადასცემენ ამ დოკუმენტით განსაზღვრული კომუნიკაციის პროცესში (მაგ. ამსმპ უბრუნებს ჰიპერბმულს მმპ-ს _links სექციით, როგორც ეს განსაზღვრულია 9 თავის ქვეთავებში).

5.3 OAuth2 დამატებითი მოთხოვნები

შესაძლოა, ამსმპ მხარს უჭერდეს კლიენტების დინამიკურ რეგისტრაციას (7)-ის და ასევე (8)-ის შესაბამისად და დინამიკური რეგისტრაციის მართვას (9)-ის შესაბამისად.

აუცილებელია, დინამიკური რეგისტრაციისას ამსმპ-მა მმპ-ს მიანიჭოს იგივე იდენტიფიკატორი (client_id) რაც მკაცრად ემთხვევა მმპ-ს 5.1 თავით განსაზღვრულ იდენტიფიკატორს.

თუ არ არსებობს წინასწარი შეთანხმება ამსმპ-სა და მმპ-ს შორის, დინამიკური რეგისტრაცია **არავითარ შემთხვევაში** არ უნდა იქნას გამოყენებული იდენტიფიკაციის, ავთენტიფიკაციის ან/და ხელმოწერის მონაცემების გასაცვლელად.

აუცილებელია, ყველა სერვისში, რომელიც აღწერილია წინამდებარე დოკუმენტით, OAuth2 ტოკენი მიუთითებდეს სმმ-ის ავთენტიფიკაციის ფაქტს. აღნიშნული არ გამორიცხავს Client Credential Grant გამოყენების შესაძლებლობას, თუმცა ამ შემთხვევაშიც **აუცილებელია**, ამსმპ-მა იზრუნოს სმმ-ის ავთენტიფიკაციაზე. **აუცილებელია**, Client Credential Grant-ის ტიპის ავტორიზაცია მოხდეს (10)-ის შესაბამისად. სმმ-ის ავთენტიფიკაციის გარეშე Client Credential Grant-ის ტიპის ავტორიზაცია, თუ იგი არ უკავშირდება სმმ-ის ავთენტიფიკაციის ფაქტს, არ არის თავსებადი ამ დოკუმენტთან.

5.4 მოთხოვნები გამოყენებითი პროგრამული უზრუნველყოფის დონეზე დაცულობის მიმართ

აუცილებელია, ინფორმაციის გაცვლისას მმპ და ამსმპ შეტყობინებებზე დამატებით იყენებდნენ ციფრული ხელმოწერის ტექნოლოგიას, რომელიც ტექნოლოგიურად სრულ თანხვედრაში იქნება კვალიფიციური ელექტრონული შტამპის ტექნოლოგიასთან, იმ

შემთხვევაშიც კი, თუ აღნიშნული არ იქნება საქართველოს კანონმდებლობით აღიარებული
კვალიფიციური ელექტრონული შტამპი, **აუცილებელია**, გამონაკლისი შეეხებოდეს მხოლოდ
სერტიფიკატის გამცემი ორგანოს სტატუსს საქართველოში და ამ შემთხვევაშიც, ამსმპ-ს/მმპ-ს
მიერ სერტიფიკატის გამცემი შეთანხმებული უნდა იყოს საქართველოს ეროვნულ ბანკთან.

აუცილებელია, თითოეული სერტიფიკატი ტექნიკურად სრულად აკმაყოფილებდეს (5)-ის
მოთხოვნებს კვალიფიციური ელექტრონული შტამპის სერტიფიკატების მიმართ, შეიცავდეს 5.1
თავით განსაზღვრულ იდენტიფიკატორს და (5)-ით განსაზღვრულ შესაბამის როლებს.

შენიშვნა: იმისათვის, რათა დაცული იყოს თავსებადობა (1)-სა და (2)-თან შემდგომში აღნიშნული
ტექნიკური ხელმოწერა დოკუმენტში მოხსენიებული იქნება როგორც „კვალიფიციური
ელექტრონული შტამპი“.

აუცილებელია, როგორც მმპ-ის მხრიდან ამსმპ-ის მიმართ გაგზავნილ, ისე ამსმპ-ის მიერ მმპ-
სთვის გაგზავნილ პასუხებზე დაიტანებოდეს ელექტრონული შტამპი. შტამპის დატანის
საკითხები განხილულია ამ დოკუმენტის 7.4 თავში.

აუცილებელია, ამსმპ-მა შეამოწმოს მმპ-ის მიერ განხორციელებული კვალიფიციური
ელექტრონული შტამპი, როგორც კრიპტოგრაფიული თვალსაზრისით, ისე ამ დოკუმენტის 5.6
თავით მითითებული წესით.

354

5.5 ზოგადი მოთხოვნები სერტიფიკატების შემოწმების პროცესის მიმართ

ამ ქვეთავის მოთხოვნები ვრცელდება მიმდინარე თავში გამოყენებული ყველა სერტიფიკატის
შემთხვევაში.

1. **აუცილებელია**, კავშირის დამყარებისას მოხდეს სერტიფიკატის შემოწმება ყველა
შემდგომი კრიტერიუმით:

1.1. სერტიფიკატი გაცემულია ისეთი გამცემი ორგანოს მიერ, რომელიც აღიარებულია
საქართველოში ღია ბანკინგის სერტიფიკატის სანდო გამცემად.

1.2. სერტიფიკატის მოქმედება არ არის შეჩერებული ან გაუქმებული. **აუცილებელია**,
შემოწმება დაეყრდნოს სერტიფიკატების ონლაინ სტატუსის პროტოკოლს (სოსპ, Online
Certificate Status Protocol, OCSP) გამოყენება.

1.3. **უმჯობესია**, კავშირის მონაწილე თითოეულ მხარეს (როგორც ამსმპ, ისე მმპ) გააჩნდეთ
OCSP Stapling-ის გამოყენების საშუალება. იმ შემთხვევაში, თუ კავშირის მონაწილე ერთი
მხარე კავშირის დამყარების პროცესში მიუთითებს, რომ გააჩნია აღნიშნულის
მხარდაჭერა **აუცილებელია**, მეორე მხარემ დააბრუნოს სოსპ ყველა საჭირო პასუხი.
წინააღმდეგ შემთხვევაში, **აუცილებელია** პირველმა მხარემ უარი თქვას დაცული
კავშირის დამყარებაზე.

1.4. **აუცილებელია**, დაცული იყოს სერტიფიკატების მოქმედების შემოწმების ყველა
სათანადო მექანიზმი, მათ შორის სოსპ სერტიფიკატების მოქმედების შემოწმების წესი,
რაც საერთაშორისო სტანდარტებითა და საუკეთესო პრაქტიკებითაა განსაზღვრული.

5.6 ზოგადი მოთხოვნები ჰიპერბმულების შემოწმების მიმართ

აუცილებელია, მმპ-მა ამსმპ-ის სერვისების გამოძახების პროცესში შეამოწმოს ყველა ჰიპერბმული, რომელსაც ამსმპ მას დაუბრუნებს და დარწმუნდეს რომ ის ნამდვილად ამ ამსმპ-ს ეკონტაქტება.

აუცილებელია, ამსმპ-მა შეამოწმოს მმპ-ს მიერ გადაცემული ყველა ჰიპერბმული და დარწმუნდეს რომ ის ნამდვილად ამ მმპ-ს ეკონტაქტება.

ჰიპერბმულების შემოწმების საკითხი რეგულირდება (10)-ით.

6 მომხმარებლის ავთენტიფიკაცია და ავტორიზაცია

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის, მომხმარებლის ავთენტიფიკაცია სრულად თავსებადია (2)-თან, რომლის გამოყენების წესებს აზუსტებს (10) და წინამდებარე დოკუმენტთან თავსებადობის მიზნებისათვის **აუცილებელია** თავსებადობა (10)-სთან.

7 API სტრუქტურა

აუცილებელია, მონაცემების მიმოცვლა სრულ თავსებადობაში იყოს (2)-თან, მათ შორის მისი 4.4 თავით განსაზღვრულ მოთხოვნებთან.

იმ შემთხვევებში, როდესაც (2)-დან კეთდება ბმა გაფართოებულ სერვისებზე, მაგ. (11)-ით აღწერილზე (მაგ. TPP-Notification-URI პარამეტრების გამოყენება) რეალიზაციისას უნდა მოხდეს იმის გათვალისწინება, რომ დოკუმენტის ეს ვერსია არ არეგულირებს მსგავს შესაძლებლობებს. აღნიშნული მიმართებები დარეგულირდება ამ დოკუმენტის შემდგომ ვერსიებში და ამან შესაძლოა საფრთხე შეუქმნას უკვე შექმნილი ინტერფეისის თავსებადობას ამ დოკუმენტის შემდგომ ვერსიებთან.

ეს დოკუმენტი აწესებს დამატებით მოთხოვნებს, რომლებიც არ ეწინააღმდეგებიან აღნიშნულ სპეციფიკაციას, და შეზღუდვებს აწესებენ ისეთ საკითხებზე, სადაც (2) ითვალისწინებს მეტ თავისუფლებას ამსმპ-სათვის.

7.1 API რესურსების მისამართები

აუცილებელია, API რესურსების მისამართებს ჰქონდეთ შემდეგი სახე:

<https://{provider}/{version}/v1/{service}{?query-parameters}>

ველებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

- {provider} სერვერის მისამართი (host) და გზა (path). **შესაძლოა** მისამართი ან/და გზა შეიცავდეს API ვერსიის იდენტიფიკატორს, ამსმპ-ს შეხედულებისამებრ.
- {version} ამ დოკუმენტის ვერსია. დოკუმენტის ვერსია მითითებულია პარაგრაფში 3 (პირველი და მეორე დონის ჩანაწერები, ანუ 0.6, 0.8 და ა.შ.). იმ შემთხვევაში, თუ დოკუმენტის სათაურის ქვემოთ მითითებული ვერსია შეიცავს მე-3 ან შემდგომი დონის

408 ჩანაწერს, **აუცილებელია** ყველა ეს დონე იქნას უგულვებელყოფილი (მაგ. 0.8.RC1
 409 შემთხვევაში version ველი მაინც იქნება 0.8).

- 410 • v1 - ვერსია (2)-ის მიხედვით.
- 411 • {service} და {query-parameters} იხილეთ (2)

412 აღნიშნულ ფორმატს (2)-სგან განასხვავებს მხოლოდ ველი {version} რომელიც დამატებით ბმას
 413 აკეთებს ამ დოკუმენტის ვერსიაზე. **შესაძლოა** ამსმპ-ს ერთდროულად ჰქონდეს ამ დოკუმენტის
 414 სხვადასხვა ვერსიის შესაბამისი სერვისების მხარდაჭერა.

415 **აუცილებელია**, ამსმპ-მ ნათლად გამოჰყოს ერთმანეთისაგან სერვისის საწარმოო (production) და
 416 დანარჩენი (სატესტო, სადემონსტრაციო და ა.შ.) ვერსიები. **აუცილებელია**, გამოყოფა მოხდეს
 417 {provider} ველის მეშვეობით.

418

419 7.2 API მოთხოვნისა და პასუხის ფორმატი

420 ამ დოკუმენტთან თავსებადობის მიზნებისათვის **აუცილებელია**, მხარდაჭერილი იყოს
 421 მოთხოვნისა და პასუხის JSON ფორმატი. შესაძლოა, ამავე ინტერფეისის ფარგლებში ამსმპ-მ
 422 მხარი დამატებით ასევე დაუჭიროს (2)-ით განსაზღვრულ სხვა ფორმატებსაც (მაგ. XML) და ამ
 423 შემთხვევაში **აუცილებელია**, აღნიშნული ცხადად იყოს მითითებული ამსმპ-ის ინტერფეისის
 424 დოკუმენტაციაში. ა

425

426 7.3 HTTP პასუხის კოდები და დამატებითი ინფორმაცია პასუხის შესახებ

427 **აუცილებელია**, ამსმპ-მა დააბრუნოს არამართო HTTP პასუხის კოდები (**აუცილებელია**,
 428 აღნიშნული კოდები სრულ შესაბამისობაში იყოს (2)-თან, კერძოდ მის 4.12 თავის
 429 მოთხოვნებთან), ასევე გაფართოებული ინფორმაცია სტატუსის შესახებ, (2)-ის 4.13.2 თავის
 430 შესაბამისად. HTTP კოდების დეტალური ცხრილი მოცემულია (2)-ის 14.11 თავში.

431

432 7.4 ელექტრონული შტამპის განხორციელება მოთხოვნასა და პასუხზე

433 // გადახვევა XS2A ჩარჩოდან

434 **აუცილებელია**, მოთხოვნასა და პასუხზე ამსმპ-მა და მმპ-მა გამოიყენონ ელექტრონული შტამპი
 435 (12)-ის შესაბამისად (ანუ ამსმპ-მა და მმპ-მა **არავითარ შემთხვევაში** არ უნდა გამოიყენონ (2)-ით
 436 განსაზღვრული ფორმის ელექტრონული შტამპი). ელექტრონული შტამპის საკითხები ასევე
 437 რეგულირდება 5.4 თავით.

438 **აუცილებელია**, სისტემის ყველა მონაწილე (ამსმპ და მმპ) ახდენდეს დროის სინქრონიზაციას
 439 საერთაშორისო კოორდინირებულ დროსთან (UTC).

440 **აუცილებელია**, სისტემის ყველა მონაწილემ (ამსმპ-მა და მმპ-მა) შეამოწმოს მიღებულ
 441 შეტყობინებებში არსებული თარიღის ველის მნიშვნელობა შეტყობინების დამუშავებამდე და
 442 შეადაროს საკუთარ სისტემაში დაფიქსირებულ დროს. იმ შემთხვევაში, თუ მიღებულ
 443 შეტყობინებაში დაფიქსირებული დრო უფრო მეტია, ვიდრე თავად მონაწილის სისტემაში

444 დაფიქსირებული დრო და აღნიშნული სხვაობა 2 (ორ) წამს აღემატება, მოქმედებს შემდეგი წესი,
445 შეტყობინება **არავითარ შემთხვევაში** არ უნდა დამუშავდეს, თუ საქართველოს ეროვნული
446 ბანკის მიერ სხვა რამ არ არის დადგენილი.

447

448 7.5 ენებისა და რეგიონების გამოყენება

449 **უმჯობესია**, მმპ-მა ამსმპ-ს გადასცეს Accept-Language სათაური რომელიც თითოეული
450 მოთხოვნის შემთხვევაში მიუთითებს იმას, რომელ ენებს ანიჭებს უპირატესობას სმმ. სათაური
451 PSU-Accept-Language **არავითარ შემთხვევაში** არ უნდა იქნას გამოყენებული ამგვარი
452 უპირატესობის დასადგენად ამსმპ-ს მიერ. მიუხედავად ამისა, მმპ-მა **შესაძლოა** მმპ-მა
453 მხედველობაში მიიღოს მომხმარებლის ენა Accept-Language მნიშვნელობების დასადგენად.

454 ეს დოკუმენტი არ აწესებს რაიმე დამატებით შეზღუდვას Accept-Language-ში გადმოცემულ
455 მნიშვნელობებზე. ძალაშია მხოლოდ ის დათქმები და შეზღუდვები, რომლებიც HTTP
456 პროტოკოლის განმსაზღვრელი სტანდარტებითაა დადგენილი. **აუცილებელია**, ამსმპ-მა
457 დაამუშავოს Accept-Language სათაური აღნიშნული წესების შესაბამისად.

458 თუ Accept-Language მითითებული არ არის, მაგრამ ამსმპ-სათვის ცნობილია სმმ-ის სასურველი
459 ენის შესახებ (მაგ. მომხმარებელმა ცხადად გადართო ენა მომხმარებლის ძლიერი
460 ავთენტიფიკაციის ეკრანზე, ამსმპ-სათვის ცნობილია რომელ ენაზე იყენებს ინტერნეტ-ბანკს სმმ
461 და ა.შ.) **უმჯობესია** ამსმპ დაეყრდნოს აღნიშნულ ცოდნას იმის დასადგენად, რა ენაზე სურს
462 კომუნიკაცია სმმ-ს. სხვა შემთხვევაში **აუცილებელია**, ამსმპ-მა იგულისხმოს ქართული ენა,
463 რეგიონი - საქართველო.

464 **უმჯობესია**, ამსმპ-მა დააბრუნოს სათაური Content-Language. თუ აღნიშნული სათაური არ
465 დაბრუნდება, **აუცილებელია** მმპ-მა იგულისხმოს ქართული ენა, რეგიონი საქართველო.

466

467 7.6 საგადახდო აგენტების, საბანკო ანგარიშების, ფიზიკური და იურიდიული 468 პირების იდენტიფიკატორების გამოყენება

469 7.6.1 PartyIdentification ტიპის გამოყენება

470 PartyIdentification ტიპი განსაზღვრულია (13)-ით. ამ დოკუმენტის მიზნებისათვის იგი
471 გამოიყენება ფიზიკური და იურიდიული პირების საიდენტიფიკაციო ნომრების გასაცვლელად.
472 კერძოდ, იურიდიული პირის იდენტიფიკატორს აქვს შემდეგი სახე:

```
473 {  
474     "organisationId": {  
475         "others": [  
476             {  
477                 "identification": "NTRGE-123456789"  
478             }  
479         ]  
480     }
```

```

480     }
481 }
482 ხოლო ფიზიკური პირისას კი შემდეგი:
483 {
484     "privateId":{
485         "others":[
486             {
487                 "identification":"PNOGE-01234567890"
488             }
489         ]
490     }
491 }

```

492 **აუცილებელია** იდენტიფიკატორების ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის იყოს იგივე, რაც
493 PSU_ID და PSU_CORPORATE_ID ველებისა (10)-ის მიხედვით.

494

495 7.6.2 საქართველოს სახელმწიფო ხაზინისა და სახაზინო კოდების იდენტიფიკაცია

496 საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში გადარიცხვისას და აღნიშნული გადარიცხვის შესახებ
497 ინფორმაციის დაბრუნებისას **აუცილებელია** სახაზინო კოდი მითითებული იყოს როგორც
498 კრედიტორის ანგარიში (creditorAccount). ამ სპეციალური მიზნისათვის გამოიყენება
499 AccountReference ტიპის გაფართოებული ფორმატი, რომელიც განსაზღვრულია (13)-ით და აქვს
500 შემდეგი სახე:

```

501 {
502     "other":{
503         "identification":"012345678"
504     }
505 }

```

506 ხაზინაში გადარიცხვის შემთხვევაში **აუცილებელია** creditorAgent ელემენტი გამოიყენებდეს და
507 მასში მნიშვნელობა იყოს TRESGE22 (სახელმწიფო ხაზინის RTGS კოდი).

508

509 7.6.3 საგადამხდელო აგენტები რომლებიც არ იდენტიფიცირდებიან BICFI ტიპის 510 კოდებით

511 მხოლოდ იმ შემთხვევისთვის, როდესაც საგადამხდელო აგენტს არ გააჩნია BICFI კოდი,
512 შესაძლოა ამსმპ მხარს უჭერდეს AccountReference ტიპის გაფართოებულ ფორმატს. თუ ამსმპ-
513 სათვის ცნობილია საგადამხდელო აგენტის BICFI კოდი, **აუცილებელია** აღნიშნული კოდის

514 გამოყენება. მათ შორის ისეთ შემთხვევაშიც, როდესაც ბრუნდება ისტორიული ინფორმაცია,
515 რომელზედაც თავიდან BIFCI არ გამოიყენებოდა.

516 **შესაძლოა** დოკუმენტის სამომავლო ვერსიებში ამ ქვეთავში დაემატოს სხვადასხვა კონკრეტული
517 ტიპის საგადახდლო აგენტისა და მათი ანგარიშების იდენტიფიკაციის წესი.

518

519 7.7 მოთხოვნების უნიკალურობა და იდემპოტენტურობა

520 ყველა API მოთხოვნას, რომელიც აღწერილია (2)-ით და მხარდაჭერილია წინამდებარე
521 დოკუმენტით, აუცილებელია მიჰყვებოდეს HTTP სათაური X-Request-ID, რომელიც არის UUID
522 ტიპის. აღნიშნული სათაურის დანიშნულებაა, ამსმპ-მა გაარჩიოს, მოთხოვნა განმეორებადია თუ
523 არა.

524

525 8 გადახდის ინიცირების მომსახურება

526 ეს თავი განსაზღვრავს გადახდის ინიცირების მომსახურებას სხვადასხვა ტიპის საგადახდო
527 სერვისებისა და პროდუქტებისათვის. საგადახდო სერვისების ჩამონათვალი სტანდარტულია და
528 მიჰყვება (2)-ს, ხოლო პროდუქტები და მათი ინფორმაცია შედგენილია საქართველოს
529 სპეციფიკის შესაბამისად, XS2A ჩარჩოს პრინციპებზე დაყრდნობით, (13)-ის საფუძველზე.

530 გადახდის ინიცირების მომსახურებას უზრუნველყოფს გადახდის ინიცირების მომსახურე
531 პროვაიდერი (გიმპ). ამ თავში განსაზღვრული სერვისები გადახდის ინიცირების მომსახურების
532 პროვაიდერს აძლევს საშუალებას, ღია ბანკინგის ანგარიშებიდან განახორციელონ გადახდის
533 ოპერაციები, სმმ-ის დასტურის საფუძველზე. დასტურის მიღების მექანიზმები მოცემულია ამავე
534 თავში და მის ქვეთავებში.

535 ამ თავში მოცემული სერვისები ითვალისწინებენ იმ შესაძლებლობას, რომ გადახდის
536 ინიცირებამდე მესამე მხარის პროვაიდერს (გადახდის ინიცირების მომსახურე პროვაიდერს)
537 ასევე მოპოვებული ჰქონდეს საგადახდო მომსახურების მომხმარებლისგან გაცხადებული
538 თანხმობა მის ანგარიშებზე წვდომაზე, თუმცა ასევე მხარდაჭერილია ის შემთხვევაც, როდესაც
539 ამგვარი თანხმობა არ არსებობს.

540 ეს დოკუმენტი არ არეგულირებს მესამე მხარის პროვაიდერს (გადახდის ინიცირების მომსახურე
541 პროვაიდერი) და სმმ-ს შორის არსებულ ურთიერთობებს და გულისხმობს, რომ აღნიშნული
542 ურთიერთობა სხვა რაიმე ფორმით (ხელშეკრულება, კანონმდებლობა და ა.შ.) არის
543 დარეგულირებული.

544

545 8.1 გადახდის ინიცირების მომსახურების ტიპები და პროდუქტები

546 ამ დოკუმენტის მიზნებისათვის, საგადახდო სერვისი (payment service) აღინიშნება შემდეგი
547 კოდებით:

548 • payments - ერთეულოვანი გადახდები

549 • bulk-payments - პაკეტური გადახდები

550 • periodic-payments - პერიოდული (განმეორებადი) გადახდები, ე.წ. „მუდმივი საგადახდო
551 დავალება“

552 აღნიშნულ სერვისებთან დაკავშირებით ინიცირების მეთოდები განსაზღვრულია ცალ-ცალკე,
553 ხოლო დანარჩენი მეთოდები ერთნაირია, ამდენად ისინი აღწერილი იქნება ერთად.

554 საგადახდო პროდუქტები, ამ დოკუმენტთან თავსებადობის მიზნებისათვის, შემდეგი კოდებით
555 აღინიშნება:

556 • aspsp - გადარიცხვა ბანკის შიგნით. მხარდაჭერა **რეკომენდებულია**.

557 • domestic – გადარიცხვა საქართველოს ეროვნული ბანკის RTGS სისტემის გავლით, მათ
558 შორის გადარიცხვა სახელმწიფო ბიუჯეტში, ასევე უცხოური ვალუტის გადარიცხვა
559 ქვეყნის შიგნით (**შენიშვნა:** ქვეყნის შიგნით უცხოურ ვალუტაში ანგარიშსწორება
560 საქართველოს კანონმდებლობით შეზღუდულია გარკვეულ შემთხვევებში. წინამდებარე
561 დოკუმენტი აღწერს მხოლოდ ტექნიკურ საშუალებას, როგორ უნდა განხორციელდეს
562 აღნიშნული ოპერაცია ნებადართულ შემთხვევებში). მხარდაჭერა **აუცილებელია**.

563 • foreign - გადარიცხვა ქვეყნის გარეთ. მხარდაჭერა **აუცილებელია**.

564 შესაბამისად, ყველა ბოლოწერტილის (endpoint) მისამართს აქვს ერთნაირი, სტანდარტული
565 დასაწყისი: /v1/{payment-service}/{payment-product}.

566 8.2 მონაცემთა ელემენტები გადახდის ინიცირებისათვის

567

ელემენტი	ტიპი	აღწერა
endToEndIdentification	Max35Text	გადარიცხვის უნიკალური და მკაფიო იდენტიფიკატორი, რომელიც გადარიცხვას მიანიჭა გადარიცხვის ინიციატორმა, გადარიცხვის მიმღებისათვის მიწოდების მიზნით. ძირითადად გამოიყენება დავალებების დაკავშირებისათვის, ასევე დავალების დასაკავშირებლად დავალების ინიციატორსა და მიმღებს შორის არსებულ

		რაიმე სხვა დოკუმენტებთან (მაგ. ინვოისებთან).
instructionIdentification	Max35Text	გადარიცხვის დავალების უნიკალური იდენტიფიკატორი, რომელსაც ანიჭებს დავალების ინიციატორი, ამ დავალების ცალსახად და მკაფიოდ იდენტიფიცირებისთვის
debtorName	Max70Text	დებიტორის დასახელება.
debtorAccount	AccountReference	დასადებიტებელი ანგარიში, ტიპითურთ
debtorIdentification	PartyIdentification	დებიტორის იდენტიფიკატორი (იხ. 7.6.1 თავი)
debtorId	Max35Text	დებიტორის იდენტიფიკატორი. არ გამოიყენება (მის ნაცვლად გამოიყენება debtorIdentification)
ultimateDebtor	Max70Text	საბოლოო დებიტორი (თუ განსხვავდება დებიტორისაგან)
ultimateDebtorIdentification	PartyIdentification	საბოლოო დებიტორის იდენტიფიკატორი (თუ განსხვავდება დებიტორის იდენტიფიკატორისაგან)
instructedAmount	Amount	ტრანზაქციის თანხა და ვალუტა
currencyOfTransfer	CurrencyCode	გადარიცხვის ვალუტა. არ გამოიყენება.
exchangeRateInformation	PaymentExchangeRate	ვალუტის გაცვლითი კურსის ინფორმაცია (არ გამოიყენება)
creditorAccount	AccountReference	კრედიტორის ანგარიში, ტიპითურთ

creditorAgent	BICFI	იმ დაწესებულების იდენტიფიკატორი, სადაც კრედიტორის ანგარიშია გახსნილი (ამ ვერსიის მიზნებისათვის - კრედიტორის მომსახურე ბანკის კოდი)
creditorAgentName	Max140Text	იმ დაწესებულების დასახელება, სადაც კრედიტორის ანგარიშია გახსნილი (ამ ვერსიის მიზნებისათვის - კრედიტორის მომსახურე ბანკის დასახელება)
creditorName	Max70Text	კრედიტორის დასახელება
creditorId	Max35Text	კრედიტორის იდენტიფიკატორი (არ გამოიყენება. გამოიყენეთ creditorIdentification)
creditorIdentification	PartyIdentification	კრედიტორის იდენტიფიკატორი (იხ. 7.6.1 თავი)
creditorAddress	Address	კრედიტორის მისამართი
creditorNameAndAddress	Max140Text	კრედიტორის დასახელება და მისამართი (არ გამოიყენება. გამოიყენეთ creditorIdentification და creditorAddress ველები)
ultimateCreditor	Max70Text	საბოლოო კრედიტორი (თუ განსხვავდება კრედიტორისაგან)
ultimateCreditorIdentification	PartyIdentification	საბოლოო კრედიტორის იდენტიფიკატორი (თუ განსხვავდება კრედიტორის იდენტიფიკატორისაგან)
purposeCode	PurposeCode	ExternalPurpose1Code კოდი ISO 20022-ის მიხედვით (მაგ.

		EDUC - სწავლის გადასახადი)
chargeBearer	ChargeBearer	საკომისიოს გადახდის სქემა (2)-ის 14.34 თავის შესაბამისად
serviceLevel	ServiceLevelCode	ExternalServiceLevel1Code კოდი ISO20022-ის მიხედვით
remittanceInformationUnstructured	Max140Text	გადახდის დანიშნულება, არასტრუქტურირებული სახით
remittanceInformationUnstructuredArray	Max140Text-ების მასივი	გადახდის დანიშნულება, არასტრუქტურირებული სახით, ზომის შეზღუდვის გარეშე
remittanceInformationStructured	Remittance	გადახდის დანიშნულება, სტრუქტურირებული სახით
remittanceInformationStructuredArray	Remittance-ების მასივი	გადახდის დანიშნულება, სტრუქტურირებული სახით, ზომის შეზღუდვის გარეშე
additionalInformation	Max500Text	დამატებითი ინფორმაცია
requestedExecutionDate	ISODate	დავალების შესრულების სასურველი თარიღი (დროის მიუთითებლად)
requestedExecutionTime	ISODateTime	დავალების შესრულების სასურველი თარიღი და დრო
instructionPriority	PriorityCode	ოპერაციის პრიორიტეტი (იხ. 8.2.3 თავი)

568 ცხრილი 3: მონაცემთა ელემენტები გადახდის ინიცირებისათვის

569

570 8.2.1 მონაცემთა ელემენტების გამოყენება საგადახდო პროდუქტებში

571 მონაცემთა ელემენტების აუცილებლობა-არააუცილებლობის საკითხი პროდუქტების ჭრილში
572 სხვადასხვაა, რაც განპირობებულია, მათ შორის, დოკუმენტის ამ ვერსიის დროისათვის
573 არსებული ბანკთაშორისი გადარიცხვების სისტემების თავისებურებებით. დეტალები
574 მოცემულია შემდეგ ცხრილში:

ელემენტი	aspsp	domestic	
----------	-------	----------	--

		იგივე ამსმპ	სხვა ამსმპ (RTGS)	სახ. ბაზინა (RTGS)	სხვა ამსმპ, უცხ. ვალუტა (SWIFT)	Foreign (SWIFT)
endToEndIdentification	o	o	o	o	o	o
instructionIdentification	o	o	o	o	o	o
debtorName	o	o	o	o	o	o
debtorAccount (ტიპითურთ)	c	c	c	c	c	c
debtorIdentification	o	o	o	c	o	o
debtorId	-	-	-	-	-	-
ultimateDebtor	o	o	o	c	o	o
ultimateDebtorIdentification	o	o	o	c	o	o
instructedAmount (ვალუტითურთ)	m	m	m	m	m	m
currencyOfTransfer	-	-	-	-	-	-
exchangeRateInformation	-	-	-	-	-	-
creditorAccount	m	m	m	m	m	m
creditorAgent	o	o	o	m	m	m
creditorAgentName	-	-	-	-	o	o
creditorName	-	-	m	-	m	m
creditorId	-	-	-	-	-	-
creditorIdentification	o	o	o	-	o	o
creditorAddress	o	o	o	o	o	o
creditorNameAndAddress	-	-	-	-	-	-
ultimateCreditor	-	-	-	-	-	-
ultimateCreditorIdentification	-	-	-	-	-	-
purposeCode	-	-	-	-	-	-
chargeBearer	-	o	o	-	o	o
serviceLevel	-	-	-	-	-	-
remittanceInformationUnstructured	c	c	c	c	c	c

remittanceInformationUnstructuredArray	c	c	c	c	c	c
remittanceInformationStructured	-	-	-	-	-	-
remittanceInformationStructuredArray	-	-	-	-	-	-
additionalInformation	-	-	-	-	o	o
requestedExecutionDate	o	o	o	o	-	-
requestedExecutionTime	-	-	-	-	-	-
instructionPriority	-	o	o	o	o	o

575 ცხრილი 4: მონაცემთა ველების აუცილებლობა პროდუქტების ჭრილში

576 ცხრილში გამოყენებულია შემდეგი აღნიშვნები:

577 • o - არასავალდებულო

578 • m - სავალდებულო

579 • c - პირობითი

580 • „-“ - არავითარ შემთხვევაში

581 თუ ცხრილში რომელიმე ელემენტის გასწვრივ მითითებულია „არავითარ შემთხვევაში“, მაშინ
582 გადახდის ინიცირებისას მმპ-მა **არავითარ შემთხვევაში** არ უნდა გაუგზავნოს ამსმპ-ს ამ ველში
583 მითითებული მნიშვნელობა, წინააღმდეგ შემთხვევაში **აუცილებელია** ამსმპ-მა უარჰყოს
584 შეტყობინება, შეცდომის კოდით FORMAT_ERROR.

585 თუ ამა თუ იმ ველისათვის ცხრილში განსაზღვრულია კონკრეტული ფორმატი (მაგ. ანგარიში
586 უნდა იყოს IBAN, ველის ზომა არის შეზღუდული და ა.შ.), **აუცილებელია** ფორმატის შემოწმება
587 მოხდეს გადახდის ინიცირებისთანავე და წარუმატებლობის შემთხვევაში დაბრუნდეს შეცდომა
588 FORMAT_ERROR.

589 თუ ცხრილში რომელიმე ელემენტის გასწვრივ მითითებულია „არასავალდებულო“, მმპ-მა ამ
590 ველის მნიშვნელობა ამსმპ-ს გაუგზავნა და ამსმპ-ს აქვს იგივე მნიშვნელობა საკუთარ
591 ელექტრონულ სისტემაში, **უმჯობესია** ამსმპ-მა შეადაროს გადმოცემული მნიშვნელობა თავის
592 სისტემაში დაცულთან (მაგ. როდესაც გადარიცხვა ხდება იმავე ბანკში და მითითებულია
593 creditorName ველი). **უმჯობესია** შემოწმება მოხდეს გადახდის ინიცირებისთანავე და
594 წარუმატებლობის შემთხვევაში ამსმპ-მა დააბრუნოს PAYMENT_FAILED შეცდომა, სათანადო
595 დეტალების მითითებით, გადახდის ინიცირების მოთხოვნის პასუხად.

596 თუ ცხრილში რომელიმე ელემენტის გასწვრივ მითითებულია „სავალდებულო“ და მმპ-მა ამ
597 ველის მნიშვნელობა ამსმპ-ს არ გაუგზავნა, **აუცილებელია** ამსმპ-მა დააბრუნოს შეცდომა
598 FORMAT_ERROR. თუ ამსმპ-ს აქვს იგივე მნიშვნელობა საკუთარ ელექტრონულ სისტემაში,
599 **აუცილებელია** ამსმპ-მა შეადაროს გადმოცემული მნიშვნელობა თავის სისტემაში დაცულთან
600 (მაგ. გადმოცემულია debtorAccount ველი, რომელიც ბანკში არსებობს). **უმჯობესია** შემოწმება
601 მოხდეს გადახდის ინიცირებისთანავე და წარუმატებლობის შემთხვევაში ამსმპ-მა დააბრუნოს

602 PAYMENT_FAILED შეცდომა, სათანადო დეტალების მითითებით, გადახდის ინიცირების
603 მოთხოვნის პასუხად.

604 თუ ცხრილში რომელიმე ელემენტის გასწვრივ მითითებულია „პირობითი“, მისი
605 სავალდებულობა-არასავალდებულობა განისაზღვრება კონტექსტიდან გამომდინარე და მასზე
606 ვრცელდება ამ თავით „სავალდებულო“ და „არასავალდებულო“ ველებზე დაწესებული
607 მოთხოვნები.

608

609 8.2.2 მონაცემთა ელემენტების კავშირი ბანკთაშორისი გადარიცხვების სისტემებთან
610 თუ გადახდის ინიცირების მოთხოვნის დაკმაყოფილება იწვევს ბანკთაშორის გადარიცხვას (ანუ
611 გადახდის პროდუქტი არის domestic, როდესაც დებიტორის და კრედიტორის ბანკები
612 განსხვავებულია, ან foreign, რაც ნიშნავს რომ გადარიცხვამ უნდა გაიაროს RTGS ან SWIFT სისტემა)
613 და მმპ-მა ამსმპ-ს გაუგზავნა ისეთი ველები, რომლებიც არ არიან მითითებული ამ თავის
614 ქვეთავებში, ამსმპ-ს უფლება აქვს, არ გაუგზავნოს ეს ველები კრედიტორის აგენტს და
615 კრედიტორს.

616 თუ რომელიმე არასავალდებულო ველი არ არის გადმოცემული მმპ-ს მხრიდან და მას ამსმპ
617 თავის მხარეს ავსებს, **აუცილებელია** ამ თავში მითითებული წესები გავრცელდეს ამსმპ-ის მიერ
618 შევსებულ მნიშვნელობებზეც

619 8.2.2.1 *debtorName, debtorAccount და debtorIdentification*

620 **აუცილებელია** RTGS, MT შეტყობინებაში თარგმნისას გამოყენებული იქნას ველი '50', ოპციით
621 K შემდეგი წესით:

სტრიქონი	მნიშვნელობა
1	'/' რომელსაც მოჰყვება debtorAccount.IBAN
2	გადამხდელის კოდი debtorIdentification-იდან (9 ან 11 ციფრი). ამისათვის partyIdentification ობიექტიდან უნდა მოხდეს 9 ან 11 ციფრიანი კოდის ამოღება (ფორმატირების წესისათვის იხ. 7.6.1 თავი)
3	debtorName

622

623 SWIFT, MT შეტყობინება - თუ ანგარიში არის IBAN ფორმატისა, **აუცილებელია** ველი შეივსოს
624 იმავე წესით, რითაც RTGS MT შეტყობინებაში. სხვა შემთხვევაში შესაძლოა ბანკმა შეტყობინება
625 დააფორმატოს საკუთარი შეხედულებისამებრ.

626 8.2.2.2 *ultimateDebtor, ultimateDebtorIdentification*

627 **აუცილებელია** RTGS, MT შეტყობინებაში თარგმნისას, როცა გადარიცხვა ხდება საქართველოს
628 სახელმწიფო ხაზინაში, გამოყენებული იქნას ველი '72', შემდეგი წესით:

სტრიქონი	მნიშვნელობა
----------	-------------

1	‘/TIN/’ რომელსაც მოჰყვება გადამხდელის კოდი ultimateDebtorIdentification-იდან (9 ან 11 ციფრი). ამისათვის partyIdentification ობიექტიდან უნდა მოხდეს 9 ან 11 ციფრიანი კოდის ამოღება (ფორმატირების წესისათვის იხ. 7.6.1 თავი)
2	‘/TPN/’ რომელსაც მოჰყვება ultimateDebtor

629

630 SWIFT, MT შეტყობინება, ასევე RTGS MT როდესაც გადარიცხვა არ ხდება საქართველოს
631 სახელმწიფო ხაზინაში - შესაძლოა ბანკმა შეტყობინება დააფორმატოს საკუთარი
632 შეხედულებისამებრ.

633

634 8.2.2.3 *instructedAmount, requestedExecutionDate/requestedExecutionDateTime*

635 აუცილებელია RTGS MT შეტყობინებაში თარგმნისას ველი 32a-ს გამოყენება, რომელშიც
636 ჩაიწერება შესრულების თარიღი (განისაზღვრება
637 requestedExecutionDate/requestedExecutionDateTime-დან), ვალუტა და თანხა instructedAmount-
638 დან.

639 მაგალითად ველის მნიშვნელობა შეიძლება იყოს 981209USD1000,00 როგორც ეს SWIFT-ის
640 წესებითაა განსაზღვრული.

641 SWIFT MT შეტყობინებაში შესაძლოა 32a-ს ნაცვლად გამოყენებული იქნას ველი 33b.

642 8.2.2.4 *creditorAccount, creditorName, creditorIdentification, creditorAddress*

643 აუცილებელია RTGS, MT შეტყობინებაში თარგმნისას გამოყენებული იქნას ველი ‘59’, ოპციის
644 გარეშე, შემდეგი წესით:

სტრიქონი	მნიშვნელობა
1	‘/’ რომელსაც მოჰყვება creditorAccount.IBAN ან creditorAccount.other.identification (სახელმწიფო ხაზინაში გადარიცხვისას. იხ. 7.6.2 თავი)
2	გადამხდელის კოდი debtorIdentification-იდან (9 ან 11 ციფრი). ამისათვის partyIdentification ობიექტიდან უნდა მოხდეს 9 ან 11 ციფრიანი კოდის ამოღება (ფორმატირების წესისათვის იხ. 7.6.1 თავი)
3	creditorName

645

646 აუცილებელია SWIFT MT შეტყობინებაში თარგმნისას გამოყენებული იქნას ველი ‘59’, F ოპციით.
647 თუ მიმღების ანგარიში IBAN ფორმატისაა, შევსება უნდა მოხდეს შემდეგი წესით:

სტრიქონი	მნიშვნელობა
1	‘/’ რომელსაც მოჰყვება creditorAccount.IBAN
2	მნიშვნელობა უნდა აიწყოს creditorName და creditorAddress-დან

3	
4	
5	

648

649 creditorName და creditorAddress-იდან 59F ველის აწყობისას **აუცილებელია** შემდეგი წესის
650 გათვალისწინება, ქვემოთ მოცემული პრიორიტეტულობით:

- 651 1. creditorName ჩაიწეროს სრულად (ციფრი '1'. **შესაძლოა** გრძელდებოდეს რამდენიმე
652 სტრიქონზე)
- 653 2. creditorAddress.country (ქვეყნის კოდი) ჩაიწეროს სრულად, ასევე ჩაიწეროს
654 creditorAddress.townName, თუ გადმოცემულია და creditorAddress.postCode, თუ
655 გადმოცემულია (ციფრი '3'. **შესაძლოა** გრძელდებოდეს რამდენიმე სტრიქონზე, თუ
656 შესაძლებელია)
- 657 3. creditorAddress.streetName, creditorAddress.buildingNumber, თუ სტრიქონები დარჩა
658 (ციფრი '2'). **შესაძლოა** ზედმეტი სიგრძე მოიჭრას.

659

660 მაგალითად:

661 :59F:1/MIKHEIL KAPANADZE
662 2/37-39 Merab Kostava Street
663 2/Grato Building 8th Floor
664 3/GE/TBILISI 0179

665

666 *8.2.2.5 remittanceInformationUnstructured/remittanceInformationUnstructuredArray,*
667 *additionalInformation და purposeCode*

668 **აუცილებელია** RTGS MT და SWIFT MT შეტყობინებაში თარგმნისას გამოყენებული იქნას ველი
669 '70'(Remittance Information).

670 **აუცილებელია** remittanceInformationUnstructuredArray-სგან აიწყოს მთლიანი სტრიქონი და
671 მოიჭრას პირველი 140 სიმბოლო MT შეტყობინებაში ჩასაწერად.

672 RTGS MT-ს შემთხვევაში **აუცილებელია** remittanceInformationUnstructuredArray-სგან დარჩენილი
673 ინფორმაცია ჩაიწეროს 77T ველში, ხოლო SWIFT MT-ს შემთხვევაში 72-ე ველში. **შესაძლოა**
674 მნიშვნელობა მოიჭრას, შესაბამისი ველების სიგრძიდან გამომდინარე.

675 RTGS MT-ს შემთხვევაში **აუცილებელია** additionalInformation ჩაიწეროს 77T ველში,
676 remittanceInformationUnstructuredArray-ს დარჩენილი ფრაგმენტის შემდეგ, ხოლო SWIFT MT-ს
677 შემთხვევაში - 72-ე ველში. **შესაძლოა** მნიშვნელობა მოიჭრას, შესაბამისი ველების სიგრძიდან
678 გამომდინარე.

679 თუ გადმოცემულია purposeCode და არ არის გადმოცემული additionalInformation, **აუცილებელია**
 680 შეტყობინებაში ეს კოდი იყოს განხილული additionalInformation-ის დატვირთვის მატარებლად,
 681 ხოლო თუ გადმოცემულია ორივე მათგანი, **აუცილებელია** purposeCode მიეწეროს ბოლოში
 682 (საჭიროებისამებრ, additionalInformation-ის მოჭრის ხარჯზე).

683

684 8.2.2.6 chargeBearer

685 RTGS MT-ს შემთხვევაში, თუ ეს ველი გადმოცემულია, მასში დასაშვებია მხოლოდ OUR
 686 მნიშვნელობა. აუცილებელია, სხვა ყველა შემთხვევაში გადახდის ინიცირება დასრულდეს
 687 შეცდომით FORMAT_ERROR.

688 SWIFT MT-ს შემთხვევაში აუცილებელია აღნიშნული ველის მნიშვნელობა ჩაიწეროს 71A ველში,
 689 შემდეგი პრინციპით:

- 690 • DEBT -> OUR
- 691 • CRED -> BEN
- 692 • SHAR -> SHA
- 693 • SLEV – არ გამოიყენება, **აუცილებელია** დასრულდეს PAYMENT_FAILED შეცდომით (იხ.
 694 8.2.9 თავი).

695

696 8.2.3 გადარიცხვის პრიორიტეტულობა

697 გადახდის ინიცირების დროს შესაძლებელია მისი პრიორიტეტულობის განსაზღვრა, რისთვისაც
 698 გამოიყენება instructionPriority ატრიბუტი. თუ აღნიშნული ველი შევსებულია, **აუცილებელია**,
 699 მასში მითითებული იყოს ერთ-ერთი შემდეგი მნიშვნელობა:

გადახდის ტიპი	აღწერა
NORM	სტანდარტული გადახდა
HIGH	გადახდა მაღალი პრიორიტეტულობით

700 ცხრილი 5: გადახდის პრიორიტეტები

701 თუ არ არის მითითებული პრიორიტეტულობა, **აუცილებელია** გადახდა ჩაითვალოს
 702 სტანდარტული პრიორიტეტულობის მქონედ (როგორც NORM კოდის ცხადად მითითების
 703 შემთხვევაში).

704 RTGS-ის საშუალებით საქართველოს შიგნით გადარიცხვის მიზნებისათვის **აუცილებელია** ამსმპ-
 705 მა მმპ-სგან ამ ველში HIGH-ის მოსვლა მიიჩნიოს ინდივიდუალური გადარიცხვის მოთხოვნად.

706 **შენიშვნა:** მმპ-ის მხრიდან პრიორიტეტულობის განსაზღვრა არ ავალდებულებს ამსმპ-ს, ღია
 707 ბანკინგის მიზნებისათვის შექმნას რაიმე ახალი ფინანსური მომსახურება. მაგალითად, თუ
 708 ამსმპ-ს სავალუტო გადარიცხვებისათვის არ აქვს პრიორიტეტიზაცია, შესაძლოა მან ყურადღება
 709 არ მიაქციოს მმპ-ს მხრიდან გადმოცემულ HIGH მნიშვნელობას და დაამუშავოს იგი სხვა
 710 გადარიცხვების მსგავსად NORM პრიორიტეტით.

711

712 8.2.4 გადარიცხვა სხვა პირის სახელით

713 იმ შემთხვევაში, როდესაც გადარიცხვა მესამე პირის სახელით ხდება (მაგ. გადარიცხვა
714 სახელმწიფო ბიუჯეტში სხვა პირის სასარგებლოდ), **აუცილებელია** გამოყენებული იქნას
715 ველები ultimateDebtor და ultimateDebtorIdentification, რომლებითაც გადაეცემა, შესაბამისად,
716 მესამე პირის სახელი და საიდენტიფიკაციო მონაცემები.

717 თუ ამსმპ მხარს არ უჭერს ამგვარი ინფორმაციის გადაცემას საკუთარ ონლაინ არხებში,
718 **შესაძლოა** ამსმპ-მა იგნორირება გაუკეთოს აღნიშნულ მონაცემებს.

719

720 8.2.5 domestic და aspsp პროდუქტების ურთიერთმიმართება

721 **აუცილებელია**, ამსმპ-მა მიიღოს და დაამუშავოს გადახდის ინიცირების მოთხოვნები, როდესაც
722 საგადახდო პროდუქტი არის domestic, მაგრამ გადარიცხვა ხდება არა სხვა ამსმპ-ში, არამედ
723 თავად ამ ამსმპ-ში სხვა ანგარიშზე (ანუ creditorAccount და debtorAccount მიუთითებენ ანგარიშს
724 ამავე ამსმპ-ში, creditorAgent იგივეა რაც debtorAgent, ცხადად ან არაცხადად და ა.შ.).

725 aspsp ტიპის სერვისი გამოიყენება იმისათვის, რომ ამსმპ-მ მმპ-ებს შესთავაზოს დამატებითი
726 მოქნილობა საკუთარი სისტემის ფარგლებში.

727 **უმჯობესია**, aspsp ტიპის პროდუქტში creditorAccount -ში მხარდაჭერილი იყოს AccountReference
728 ანგარიშის იდენტიფიცირება შემდეგი ატრიბუტებით:

- 729
- pan - ბარათის ნომერი
 - 730
 - maskedPan - ბარათის ნომერი მასკირებული სახით
 - 731
 - msisdn - ტელეფონის ნომერი (მაგ. 995577123456)

732

733 **შესაძლოა** aspsp ტიპის პროდუქტში ამსმპ-მა ასევე მხარი დაუჭიროს შემთხვევას, როდესაც
734 creditorAccount საერთოდ არაა მითითებული და მითითებულია creditorIdentification. ამ
735 შემთხვევაში მმპ თანხას რიცხავს პირადი ნომრის ან ორგანიზაციის საიდენტიფიკაციო ნომრის
736 მიხედვით, ხოლო ამსმპ მიმღების ანგარიშს ირჩევს ავტომატურად, ამ ანგარიშის
737 მფლობელისთვის ცნობილი მეთოდით.

738 თუ aspsp ტიპის პროდუქტში creditorAccount-ად გადმოცემულია maskedPan და არ არის
739 მითითებული creditorIdentification რომელიც მიუთითებს სხვა პირზე, **აუცილებელია** ამსმპ-მა
740 აღნიშნული ჩათვალოს მომხმარებლის მიერ საკუთარ ანგარიშებს შორის გადარიცხვად (ანუ
741 დებიტორს უნდა ჰქონდეს ბარათის აღნიშნული ნომრით), ხოლო creditorIdentification-ის
742 გადმოცემის შემთხვევაში - შესაბამისი პირის ანგარიშზე გადარიცხვად.

743 **უმჯობესია** მმპ-მა არ გადასცეს creditorAgent ელემენტი, როდესაც ხდება aspsp გადახდა. თუმცა
744 თუ აღნიშნული ელემენტი მითითებულია და არ შეიცავს ამსმპ-ს BIC კოდს, ან თუ creditorAccount
745 არის IBAN სხვა ამსმპ-სი, **აუცილებელია** ამსმპ-მა დააბრუნოს შეცდომა FORMAT_ERROR.

746 domestic გადახდებში IBAN-ის გარდა სხვა ტიპის ანგარიშები **არავითარ შემთხვევაში** არ უნდა
747 იყოს გადაცემული. **უმჯობესია**, მმპ-მა არ გამოიყენოს creditorAgent ელემენტი როდესაც ხდება
748 domestic გადახდა და მიმღები ამსმპ-ს იდენტიფიკაცია მოხდეს creditorAccount ელემენტის
749 მიხედვით (როდესაც ეს უკანასკნელი IBAN-ია).

750 თუ ხდება domestic გადახდა და გადაცემულია როგორც creditorAgent, ისე creditorAccount
751 ელემენტი და creditorAccount ელემენტი მიუთითებს IBAN-ს, აუცილებელია გადახდის მიმღებმა
752 ამსმპ-მა შეამოწმოს, რომ creditorAccount ანგარიში მიეკუთვნება creditorAgent-ს და თუ ეს ასე არ
753 არის, დააბრუნოს შეცდომა FORMAT_ERROR.

754

755 8.2.6 **გადამხდელის ანგარიშის იდენტიფიკაცია**

756 **აუცილებელია**, ამსმპ მხარს უჭერდეს გადამხდელის ანგარიშის (debtorAccount)
757 იდენტიფიკაციის შემდეგ მეთოდებს:

758 • IBAN

759 • maskedPan

760 **უმჯობესია**, ამსმპ მხარს უჭერდეს გადამხდელის ანგარიშის იდენტიფიკაციას შემდეგი
761 მეთოდებით:

762 • msisdn ტელეფონის ნომერი (მაგ. 995577123456), ამ მეთოდის მხარდაჭერის შემთხვევაში
763 **აუცილებელია** ამსმპ გადამხდელის ანგარიშს ავტომატურად ირჩევდეს ანგარიშის
764 მფლობელისათვის ცნობილი რაიმე მეთოდით.

765 • pan - ბარათის ნომერი

766 **აუცილებელია**, ამსმპ მხარს უჭერდეს შემთხვევას, როდესაც მმპ-ის მხრიდან გადახდის
767 ინიცირებისას მიითითებული არ არის გადამხდელის და მისი ანგარიშის საიდენტიფიკაციო
768 არანაირი ინფორმაცია. მმპ-ის მხრიდან ასეთი გადახდის ინიცირებისას **აუცილებელია** ამსმპ-მა
769 მოითხოვოს გადამისამართების ან განცალკევებული ტიპის ავთენტიფიკაცია (4)-ის მიხედვით,
770 აარჩევინოს სმპ-ს სასურველი ანგარიში და შემდეგ მიიღოს მისგან თანხმობა ოპერაციაზე.

771 **უმჯობესია**, ამსმპ მხარს უჭერდეს შემთხვევას, როდესაც debtorAccount მიითითებული არ არის,
772 თუმცა მიითითებულია debtorIdentification - ფიზიკური ან იურიდიული პირის პირადი
773 ნომერი/საიდენტიფიკაციო ნომერი და ამ სცენარის მხარდაჭერის შემთხვევაში **აუცილებელია**
774 ამსმპ გადამხდელის ანგარიშს ავტომატურად ირჩევდეს ანგარიშის მფლობელისათვის
775 ცნობილი რაიმე მეთოდით.

776 8.2.7 **ელემენტი remittanceInformationUnstructured და**
777 **remittanceInformationUnstructuredArray**

778

779 remittanceInformationUnstructured და remittanceInformationUnstructuredArray ერთად **არავითარ**
780 **შემთხვევაში** არ უნდა იყოს გამოყენებული. **აუცილებელია** მხოლოდ ერთი მათგანის
781 გამოყენება. თუ გადასაცემი ინფორმაცია ეტევა remittanceInformationUnstructured-ის ფარგლებში
782 (140 სიმბოლო), **უმჯობესია** remittanceInformationUnstructured-ის გამოყენება.

783

784 8.2.8 ელემენტი requestedExecutionDate და requestedExecutionDateTime

785 თუ მითითებულია ორივე ველი, **აუცილებელია** requestedExecutionDateTime-ში მითითებული
786 თარიღი ემთხვეოდეს requestedExecutionDate-ში მითითებულს.

787

788 8.2.9 ელემენტი chargeBearer

789 საქართველოს ტერიტორიაზე ლარის გადარიცხვისას აღნიშნული ველი ან არ უნდა გადაეცეს,
790 ან მასში უნდა გადაეცეს მნიშვნელობა OUR. სხვა ყველა შემთხვევაში **აუცილებელია** გადახდის
791 ინიცირების გამოძახება დასრულდეს შეცდომით PAYMENT_FAILED.

792 foreign გადარიცხვისას პროდუქტში **არავითარ შემთხვევაში** არ უნდა გადაეცეს SLEV და
793 **აუცილებელია** გადახდის ინიცირების გამოძახება დასრულდეს შეცდომით PAYMENT_FAILED.

794 თუ ველი გადაცემული არ არის, **აუცილებელია** ნაგულისხმევი მნიშვნელობა იყოს OUR -
795 საკომისიო, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ეკისრება დებიტორს.

796

797 8.3 გადახდის ინიცირება

798 გამოძახება:

799 POST /v1/{payment-service}/{payment-product}

800 მოთხოვნის პარამეტრები და დასაბრუნებელი მნიშვნელობები რეგულირდება (2)-ის 5.3 თავის
801 მიხედვით, დამატებითი მოთხოვნები მოცემულია წინამდებარე თავში და მის ქვეთავებში.
802 **აუცილებელია**, სულ მცირე, JSON ვარიანტების მხარდაჭერა. XML ვარიანტების მხარდაჭერა
803 **არააუცილებელია**.

804 **აუცილებელია**, ამსმპ-მა დაამუშავოს TPP-Rejection-NoFunds-Preferred თავსართი (იგნორირება
805 არ გაუკეთოს მას). დამუშავების წესი განისაზღვრება (2)-ით. კერძოდ, თუ ამ თავსართში
806 გადმოცემულია true ან თავსართი გადმოცემული არ არის, **აუცილებელია** ამსმპ-მა შეამოწმოს
807 ანგარიშზე ხელმისაწვდომი ნაშთის არსებობა და უარყოს გადახდა ინიცირების ეტაპზე, თუ
808 თანხა არასაკმარისია. თუ თუ აღნიშნული თავსართის მნიშვნელობა არის false, **შესაძლოა** ამსმპ-
809 მა შეაჩეროს გადახდის დავალება ანგარიშზე თანხის ჩარიცხვამდე (მოლოდონის პერიოდში
810 გადახდას ექნება ACCP სტატუსი, და fundsavailable იქნება false) .

811 **შესაძლოა** გამოძახებისას Authorization თავსართის გამოყენება, რომელშიც გადაეცემა OAuth2
812 ტოკენი. **აუცილებელია**, ამსმპ-მა მხარი დაუჭიროს შემთხვევას, როდესაც მმპ არ გადასცემს
813 Authorization სათაურს.

814 თუ მმპ გადასცემს Authorization თავსართს, **აუცილებელია** მასში მითითებული ტოკენი
815 გაცემული იყოს მომხმარებლის ავთენტიფიკაციის საფუძველზე, მხოლოდ ერთ-ერთ შემდეგ
816 შემთხვევაში:

817 1. ავთენტიფიკაციის ტოკენი გაიცა სმმ-ის ამ ამსმპ-ში წინა ავთენტიფიკაციის შედეგად (თუ
818 ამგვარი ავთენტიფიკაცია მოხდა და ტოკენი აქტიურია), რომელიც ემსახურებოდა ანგარიშის
819 ინფორმაციის მომსახურებას და თანხმობის მოთხოვნის დოკუმენტში ატრიბუტი

820 combinedServiceIndicator-ის მნიშვნელობა იყო true. ამ შემთხვევაში **აუცილებელია** ამსმპ-მა
821 იმოქმედოს 9.1.1.7 თავის შესაბამისად.

822 2. ავთენტიფიკაციის ტოკენი გაიცა სმმ-ის ამ ამსმპ-ში რაიმე წინა ავთენტიფიკაციის შედეგად
823 (თუ ამგვარი ავთენტიფიკაცია მოხდა და ტოკენი აქტიურია). ტოკენის გადაცემის ფაქტი არ
824 ავალდებულებს ამსმპ-ს, დაეყდნოს მას. შესაბამისად, **აუცილებელია** ამსმპ-მა იმოქმედოს
825 ერთ-ერთი შესაძლო სცენარით:

826 2.1. ყურადღება არ მიაქციოს ამ ტოკენის არსებობას და იმოქმედოს ისევე, როგორც
827 იმოქმედებდა ცარიელი Authorization თავსართის გამოცემისას;

828 2.2. გაითვალისწინოს ტოკენის არსებობა და, თუ მარეგულირებელი კანონმდებლობა
829 საშუალებას აძლევს, სმმ-ს შესთავაზოს ავთენტიფიკაცია შემცირებული რაოდენობის
830 ფაქტორებით. აღნიშნული განიხილება როგორც OAuth2 წინარე ავტორიზაცია და
831 რეგულირდება რეგულირდება ამ დოკუმენტის 5.3 თავით.

832 3. სმმ-მა ავთენტიფიკაცია გაიარა მმპ-სთან ან სხვა პირთან და აღნიშნული ავთენტიფიკაციის
833 სანდოობა განსაზღვრულია ამსმპ-სა და მმპ-ს შორის დადებული ორმხრივი ან
834 მრავალმხრივი ხელშეკრულების საფუძველზე. აღნიშნული განიხილება როგორც OAuth2
835 წინარე ავტორიზაცია და რეგულირდება ამ დოკუმენტის 5.3 თავით.

836 ამსმპ-მა **არავითარ შემთხვევაში** არ უნდა მოითხოვოს ისეთი ტოკენის გამოყენება, რომელიც არ
837 არის გაცემული მომხმარებლის ავთენტიფიკაციის საფუძველზე (დეტალებისათვის იხ. 5.3 თავი).

838

839

840 8.3.1 ერთეულოვანი გადახდის ინიცირება
841 გამოძახება:

842 POST /v1/payments/{payment-product}

843 აღნიშნული მოთხოვნის მხარდაჭერა **აუცილებელია** ამ ქვეთავის ქვეთავებში მოცემული
844 პროდუქტებისათვის. მოთხოვნის პარამეტრები და დასაბრუნებელი მნიშვნელობები
845 რეგულირდება (2)-ის 5.3.1.1 თავის მიხედვით. გადასაცემ მონაცემთა მოცულობა და შინაარსი,
846 ასევე საგადამხდელო პროდუქტები განისაზღვრება 8.1 თავით და მისი ქვეთავებით.

847

848 8.3.2 მრავლობითი გადახდის ინიცირება
849 გამოძახება:

850 POST /v1/bulk-payments/{payment-product}

851 აღნიშნული მოთხოვნის მხარდაჭერა **აუცილებელია** ამ ქვეთავის ქვეთავებში მოცემული
852 პროდუქტებისათვის. მოთხოვნის პარამეტრები და დასაბრუნებელი მნიშვნელობები
853 რეგულირდება (2)-ის 5.3.3.1 თავის მიხედვით. გადასაცემ მონაცემთა მოცულობა და შინაარსი,
854 ასევე საგადამხდელო პროდუქტები განისაზღვრება 8.1 თავით და მისი ქვეთავებით.

855

856 8.4 ინიცირებული გადახდის ავტორიზაცია
 857 გადახდის ინიცირების სერვისის გამოძახება ცხადად ან არაცხადად წარმოშობს ავტორიზაციის
 858 ბოლოწერტილებს (authorization endpoints), რომელთა დამუშავების წესები განისაზღვრება (10)-
 859 ით.

860 8.4.1 ამსმპ-ის მიერ გენერირებული დინამიკური ინფორმაცია ავტორიზაციისათვის
 861 მანამ, სანამ მოხდება გადახდის ავტორიზაცია, აუცილებელია ამსმპ-მა გამოითვალოს
 862 გადახდის ინიცირებასთან დაკავშირებული დინამიკური ინფორმაცია (მაგ. საკომისიოები) და
 863 დაუბრუნოს მათი შედეგი მმპ-ს, გარდა ავტორიზაციისთვის აუცილებელი ინფორმაციისა, მაშინ
 864 და მხოლოდ მაშინ, თუ გადახდის ინიცირების შეტყობინებაში გადმოცემული ინფორმაცია
 865 საკმარისია დინამიკური ინფორმაციის ცალსახად გამოთვლისათვის და ის აღარ შეიცვლება
 866 გადახდის ინიცირების ავტორიზაციის პროცესში.

867 მაგალითად (სია ამომწურავი არ არის):

- 868 1) გადამხდელის ანგარიში (debtorAccount) სრულფასოვნადაა გადმოცემული (მაგ.
 869 ანგარიშის IBAN ნომერი, ან ანგარიში + ვალუტა)
- 870 2) გადამხდელის ანგარიშში (debtorAccount) მითითებული არაა ვალუტა, თუმცა ვალუტის
 871 არჩევა არ გამოიწვევს საკომისიოს ცვლილებას
- 872 3) გადამხდელის ანგარიში გადმოცემული არ არის, თუმცა გადმოცემულია თანხმობის
 873 იდენტიფიკატორი და თანხმობა გაცემულია ერთ კონკრეტულ ანგარიშზე

874 აღნიშნული საკითხი აღწერილია (2)-ის 5.3.1 თავში, თუმცა იგი ვრცელდება როგორც
 875 ერთეულოვან, ისე მრავლობით გადახდებზე. ქვემოთ მოცემულია თითოეული ატრიბუტის
 876 აღწერა:

ატრიბუტი	ტიპი	პირობა	აღწერა
transactionFees	Amount	აუცილებელი	ოპერაციის ჯამური საკომისიო
currencyConversion Fee	Amount	არააუცილებელი	ვალუტის კონვერტაციასთან დაკავშირებული საკომისიო (რომელიც ასევე შედის transactionFees-ში)
estimatedTotalAmount	Amount	აუცილებელი	თანხა, რომელიც ჩამოიჭრება ანგარიშიდან, საკომისიოს ჩათვლით
estimatedInterbankSettlementAmount	Amount	აუცილებელი	მიახლოებითი თანხა, რომელსაც მიიღებს მმპ-ები (რიგ შემთხვევებში ეს

			შეიძლება იყოს სრული თანხა)
transactionFeeIndicator	Boolean	არავითარ შემთხვევაში	აღნიშნული ველი არ გამოიყენება წინამდებარე დოკუმენტის მიზნებისათვის

877 ცხრილი 6: ინფორმაცია ინიცირებული გადახდის საკომისიოების შესახებ

878

879

880 8.5 გადახდის სტატუსი

881 გამოძახება:

882 GET /v1/{payment-service}/{payment-product}/{paymentId}/status

883 აღნიშნული მოთხოვნის მხარდაჭერა **აუცილებელია** ყველა სერვისისა და პროდუქტისათვის, რომელსაც ამსმზ მხარს უჭერს. მოთხოვნის პარამეტრები და დასაბრუნებელი მნიშვნელობები რეგულირდება (2)-ის 5.4 თავის მიხედვით, დამატებითი მოთხოვნები მოცემულია წინამდებარე თავში.

887 **აუცილებელია**, ამსმზ მხარს უჭერდეს სტატუსის დაბრუნებას JSON ფორმატში და მან **არავითარ შემთხვევაში** არ უნდა უარყოს მმპ-ის მოთხოვნა, თუ მმპ-მა Accept სათაურში მიუთითა application/json -ის მხარდაჭერა. XML ფორმატის მხარდაჭერა **არააუცილებელია**.

890 **აუცილებელია**, ამსმზ-მა მხარი დაუჭიროს fundsAvailable ატრიბუტს და დააბრუნოს შესაბამისი მნიშვნელობა, თუ ტრანზაქციის სტატუსია "ACTC", "ACWC" ან "ACCP" როგორც ეს განსაზღვრულია (2)-ის 14.13 თავით.

893 თუ გადახდის ინიცირებისას გამოყენებული იქნა Authorization სათაური ან მომხმარებელმა გაიარა ავთენტიფიკაცია ამ გადახდის ინიცირების ფარგლებში, გამოძახებისას Authorization სათაურის გამოყენება **აუცილებელია**.

896 8.6 გადახდის დეტალები

897 გამოძახება:

898 GET /v1/{payment-service}/{payment-product}/{paymentId}

899 აღნიშნული მოთხოვნის მხარდაჭერა **აუცილებელია** ყველა სერვისისა და პროდუქტისათვის, რომელსაც ამსმზ მხარს უჭერს. მოთხოვნის პარამეტრები და დასაბრუნებელი მნიშვნელობები რეგულირდება (2)-ის 5.5 თავის მიხედვით, დამატებითი მოთხოვნები მოცემულია წინამდებარე თავში.

903 გარდა იმ ინფორმაციისა, რომელიც მმპ-მა გადასცა გადახდის ინიცირების გამოძახებისას (იხ 8.3 თავი), **აუცილებელია**, ამსმზ-მა დააბრუნოს შემდეგი ველები - მიუხედავად იმისა რომ მმპ-ს შესაძლოა არ გადაეცა ისინი გადახდის ინიცირებისას:

906 • debtorIdentification

907 • debtorName

908 • debtorAccount

909 **აუცილებელია**, ამსმპ-მა გადახდის ინფორმაციასთან ერთად ასევე დააბრუნოს ტრანზაქციის
910 სტატუსი.

911 გამოძახებისას Authorization სათაურის გამოყენება **აუცილებელია**.

912

913 8.7 გადახდის გაუქმების მოთხოვნა

914 გამოძახება:

915 DELETE /v1/{payment-service}/{payment-product}/{paymentId}

916 აღნიშნული მოთხოვნის მხარდაჭერა **აუცილებელია** ყველა სერვისისა და პროდუქტისათვის,
917 რომელსაც ამსმპ მხარს უჭერს. მოთხოვნის პარამეტრები და დასაბრუნებელი მნიშვნელობები
918 რეგულირდება (2)-ის 5.6 თავის მიხედვით.

919 ქვემოთ მოცემულია რამდენიმე მნიშვნელოვანი HTTP სტატუსის კოდი, რომელიც აღნიშნულმა
920 გამოძახებამ შეიძლება დააბრუნოს:

კოდი	აღწერა
202	მოთხოვნა მიღებულია, თუმცა იგი არასაკმარისია და საჭიროა სმმ-ის დასტური. ამ კოდის დაბრუნებისას აუცილებელია ამსმპ-მა ასევე დააბრუნოს პასუხის ტანი (2)-ის და (10)-ის მოთხოვნების შესაბამისობაში (რათა მმპ-მა შესძლოს დაიწყოს სმმ-ის ავთენტიფიკაციისა და მოთხოვნის ავტორიზაციის პროცესი)
204	გადახდა წარმატებით წაიშალა მმპ-ის მოთხოვნით. სმმ-ის ჩარევა არ მოითხოვება
405	გადახდის გაუქმება შეუძლებელია, ვინაიდან ამ ტიპის გადახდების წაშლა მხარდაჭერილი არ არის, გადახდის სტატუსი ამის საშუალებას აღარ იძლევა ან გასულია გაუქმებისათვის დათქმული ვადა.

921 ცხრილი 7: HTTP სტატუსის კოდები გადახდის გაუქმების მოთხოვნისათვის

922

923 თუ გადახდის ინიცირებისას გამოყენებული იქნა Authorization სათაური ან მომხმარებელმა
924 გაიარა ავთენტიფიკაცია ამ გადახდის ინიცირების ფარგლებში, გამოძახებისას Authorization
925 სათაურის გამოყენება **აუცილებელია**.

926

927 8.8 გადახდის გაუქმების ავტორიზაციის ქვე-რესურსების სია

928 გამოძახება:

929 GET /v1/{payment-service}/{payment-product}/{paymentId}/cancellation-
930 authorisations

931 აღნიშნული მოთხოვნის მხარდაჭერა **აუცილებელია** ყველა სერვისისა და პროდუქტისათვის,
932 რომელსაც ამსმზ მხარს უჭერს. მოთხოვნის პარამეტრები და დასაბრუნებელი მნიშვნელობები
933 რეგულირდება (2)-ის 5.7 თავის მიხედვით.

934 თუ გაუქმებისას გამოყენებული იქნა Authorization სათაური, **შესაძლოა** გადახდის გაუქმების
935 ავტორიზაციისას ამსმზ დაეყრდნოს სმმ-ის ავთენტიფიკაციის ფაქტს და მოითხოვოს
936 ავთენტიფიკაცია შემცირებული რაოდენობის ფაქტორებით, თუ აღნიშნულის საშუალებას მას
937 მოქმედი კანონმდებლობა აძლევს..

938 8.9 გადახდის ინიცირების ტიპური შემთხვევები

939 8.9.1 კონვერტაცია მულტისავალუტო ანგარიშის „ქვეანგარიშებს“ შორის

940 თუ მომხმარებელს აქვს მულტისავალუტო ანგარიში, რომელზეც მიბმულია ორი ვალუტა
941 (პირობითად ლარი და ევრო) და ხდება თანხის კონვერტირება პირველი ვალუტიდან
942 (პირობითად, ლარიდან) მეორე ვალუტაში (პირობითად, დოლარში), მოქმედებს შემდეგი წესი:

- 943 1) **აუცილებელია** ამსმზ-მა instructedAmount-ით მითითებული თანხა და ვალუტა
944 განიხილოს creditorAccount ანგარიშზე ჩასარიცხ ოდენობად.
- 945 2) თუ creditorAccount-ში ვალუტა მითითებული არ არის, **აუცილებელია** ამსმზ-მა
946 იგულისხმოს ის ვალუტა, რომელიც მითითებულია instructedAmount-ით. თუ
947 მულტისავალუტო ანგარიშზე ეს ვალუტა განსაზღვრული არ არის, **აუცილებელია** ამსმზ-
948 მა დააბრუნოს შეცდომა PAYMENT_FAILED
- 949 3) თუ debtorAccount-ში ვალუტა მითითებული არ არის, **აუცილებელია** ამსმზ-მა
950 მომხმარებელს ვალუტა აარჩევინოს გადახდის ინიცირების ავტორიზაციის ეკრანზე.
951 თუმცა ამსმზ-მა **არავითარ შემთხვევაში** არ უნდა მისცეს მომხმარებელს საშუალება,
952 შეცვალოს მმზ-ს მიერ გადმოცემული ანგარიშის ნომერი. თუ ამსმზ აღნიშნულ ოპერაციაზე
953 საკომისიოს ისე აწესებს რომ საკომისიოები განსხვავებულია ვალუტების მიხედვით,
954 **შესაძლოა** მან არ დააბრუნოს ინფორმაცია საკომისიოს ოდენობის შესახებ გადახდის
955 ინიცირების ოპერაციის პასუხად, თუმცა ვალუტის დაზუსტების შემდეგ **აუცილებელია**
956 მომხმარებელმა დაინახოს აღნიშნული ინფორმაცია მანამ, სანამ გადახდაზე თანხმობას
957 გამოხატავდეს.

958 8.9.2 კონვერტაცია საკუთარ ანგარიშებს შორის

959 **აუცილებელია** ამსმზ-მა instructedAmount-ით მითითებული თანხა და ვალუტა განიხილოს
960 creditorAccount ანგარიშზე ჩასარიცხ ოდენობად.

961 თუ creditorAccount-ში ვალუტა მითითებული არ არის, **აუცილებელია** ამსმზ-მა იგულისხმოს ის
962 ვალუტა, რომელიც მითითებულია instructedAmount-ით. თუ მულტისავალუტო ანგარიშზე ეს
963 ვალუტა განსაზღვრული არ არის, აუცილებელია ამსმზ-მა დააბრუნოს შეცდომა PAYMENT_FAILED

964

965 **8.10 საგადახდო დავალების სასიცოცხლო ციკლი**

966 მას შემდეგ, რაც მძვ მიაწვდის ამსმპ-ს საგადახდო დავალებას და ეს უკანასკნელი
 967 დაარეგისტრირებს მას, ამ დოკუმენტის 8.3 თავით განსაზღვრული წესით, საგადახდო დავალება
 968 იწყებს საკუთარ სასიცოცხლო ციკლს ამსმპ-ს ელექტრონულ სისტემაში, რაც გამოიხატება, მათ
 969 შორის, დავალების სტატუსის ცვლილებით. დავალების სტატუსის გამოთხოვა შესაძლებელია
 970 8.5 თავით განსაზღვრული წესით.

971 ქვემოთ მოცემულია საგადახდო დავალების დასაშვები სტატუსები (2)-ის მიხედვით და მათი
 972 გამოყენების წესი წინამდებარე დოკუმენტთან თავსებადობის მიზნებისათვის. **შესაძლოა** ამსმპ-
 973 ს სისტემა მხარს არ უჭერდეს ყველა სტატუსს და საგადახდო დავალება, საკუთარი სასიცოცხლო
 974 ციკლის განმავლობაში მხოლოდ რამდენიმე ძირითად სტატუსს იღებდეს.

სტატუსი	დასახელება და მოკლე აღწერა	გამოყენება
ACCC	AcceptedSettlementCompleted საგადახდო დავალება შესრულებულია, კრედიტორის ანგარიშზე ფულის გადარიცხვის ჩათვლით.	1. შიდასაბანკო გადარიცხვების შემთხვევაში აუცილებელია საგადახდო დავალებამ მიიღოს ეს სტატუსი, როდესაც ფული ჩაირიცხება კრედიტორის ანგარიშზე და საგადახდო დავალების სტატუსი ამსმპ-ს სისტემაში გახდება საბოლოო და შეუქცევადი. 2. გარე გადარიცხვების შემთხვევაში: 2.1. თუ გამოყენებულია RTGS სისტემა აუცილებელია საგადახდო დავალებამ ეს სტატუსი მიიღოს მას შემდეგ, რაც RTGS წარმატებით მიიღებს შესაბამის საგადახდო დავალებას და დააბრუნებს ტექნიკურ დასტურს. 2.2. თუ გამოყენებულია SWIFT სისტემა, დასტური მიიღება SWIFT GPI-დან და ამის მიხედვით ხდება დავალებისათვის შესაბამისი სტატუსის მინიჭება
ACCP	AcceptedCustomerProfile დავალება ტექნიკურად სწორია და ასევე სწორია მომხმარებლის პროფილთან მიმართებაში	საგადახდო დავალებამ გაიარა როგორც ტექნიკური შემოწმება, ისე AML შემოწმება და მზადაა შემდგომი სტატუსისათვის საჭირო პროცედურების გასავლელად. შესაძლოა საგადახდო დავალება არ შეჩერდეს ამ სტატუსზე, ავტომატურად გააკეთოს თანხის არსებობის შემოწმება და პირდაპირ მიიღოს ACFC სტატუსი ან კიდევ უფრო მაღალი სტატუსი.
ACSC	AcceptedSettlementCompleted საგადახდო დავალება შესრულია დებიტორის ანგარიშიდან თანხის ჩამოჭრის თვალსაზრისით. კრედიტორის მიერ თანხის	1. შიდასაბანკო გადარიცხვების შემთხვევაში ამ სტატუსის გამოყენება არარეკომენდებულია. უმჯობესია დავალება პირდაპირ ACCC სტატუსზე გადავიდეს. 2. ბანკთაშორისი გადარიცხვების შემთხვევაში ეს სტატუსი აღნიშნავს მდგომარეობას,

	მიღება უცნობია	როდესაც დავალებამ სხვა ბანკში გადასარიცხად ყველა სათანადო პროცედურა გაიარა, თუმცა ბანკთაშორისი გადარიცხვები პაკეტურ რეჟიმში მუშავდება (მაგ. რაიმე პერიოდული პროცესით) და ჯერჯერობით საგადახდო დავალებისათვის ACSC ან უფრო მაღალი სტატუსის მინიჭება შეუძლებელია.
ACSP	AcceptedSettlementInProgress დავალებამ გაიარა როგორც ტექნიკური სისწორის ისე მომხმარებლის პროფილთან მიმართებაში სისწორის შემოწმება (სტატუსი ACCP) და შესრულების პროცესშია	ეს სტატუსი აღნიშნავს იმ მდგომარეობას, როდესაც ამსმპ-მა სხვა ბანკში გადარიცხვისათვის ყველა სათანადო პროცედურა გაიარა, თუმცა ბანკთაშორისი გადარიცხვები პაკეტურ რეჟიმში მუშავდება (მაგ. რაიმე პერიოდული პროცესით) და ჯერჯერობით საგადახდო დავალებისათვის ACSC ან უფრო მაღალი სტატუსის მინიჭება შეუძლებელია. შესაძლოა ამსმპ-მა აღნიშნული სტატუსი არ გამოიყენოს და დავალებას პირდაპირ სხვა, შემდგომი სტატუსი მიანიჭოს. არარეკომენდებულია , ამსმპ-მა გამოიყენოს აღნიშნული სტატუსი შიდასაბანკო გადარიცხვებისათვის.
ACTC	AcceptedTechnicalValidation სინტაქსური და სემანტიკური თვალსაზრისით საგადახდო დავალება სწორია	აღნიშნული სტატუსის დაბრუნება აუცილებელია იმ შემთხვევაში, როდესაც ამსმპ-მა მიიღო საგადახდო დავალება, დაადგინა ტექნიკურად ყველაფერი სწორია და ელოდება შემდგომ ნაბიჯებს (მაგ. AML შემოწმებას), მათ შორის არ მოუხდენია არც თანხის ბლოკირება დებიტორის ანგარიშზე.
ACWC	AcceptedWithChange საგადახდო დავალება მიღებულია, თუმცა მასში შეტანილი იქნება ცვლილება (მაგ. ვალუტირების თარიღის)	აღნიშნული სტატუსის დაბრუნება აუცილებელია იმ შემთხვევაში, როდესაც ამსმპ-მა მიიღო საგადახდო დავალება, დაადგინა ტექნიკურად ყველაფერი სწორია, თუმცა მას შეასრულებს ვერ გაგზავნის მიმდინარე დღის შესაბამისი ვალუტირების თარიღით (მაგ. იმიტომ რომ RTGS სისტემა უკვე დაიხურა), ამიტომაც შემდგომი დამუშავება არ მომხდარა (მაგ. , თანხა არ დაბლოკილა და არც AML შემოწმება გაუვლია), მხოლოდ ვალუტირების თარიღი შეეცვალა. თუ დავალება უკვე დამუშავდა და მიიღო მომდევნო სტატუსი (მაგ. უკვე გაიარა AML შემოწმება და თანხაც დაიბლოკა დებიტორის ანგარიშზე, თუმცა გადარიცხვისათვის მაინც მეორე დღეს ელოდება), მაშინ ACWC სტატუსი არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაბრუნდეს და დავალებამ უნდა მიიღოს სხვა, შემდგომი სტატუსი.

ACWP	AcceptedWithoutPosting მიღებულია, კრედიტორის ანგარიშზე ასახვის გარეშე	ეს სტატუსი არის შუალედური სტატუსი ACSC-სა და ACCC-ს შორის, კერძოდ როდესაც დებიტორის მხარეს დამუშავება მთლიანად დასრულებულია, თუმცა ამსმპ-სათვის ცნობილია რომ კრედიტორის ანგარიშზე თანხის გატარება რაიმე მიზეზით ფერხდება. შესაძლოა აღნიშნული სტატუსი ამსმპ-მა გადახდას მიანიჭოს იმ შემთხვევაში, თუ მისთვის ცნობილი გახდა (მაგ. SWIFT სისტემის საშუალებით) რომ კრედიტორის აგენტმა მიიღო აღნიშნული ტრანზაქცია, თუმცა არ აუსახავს იგი კრედიტორის ანგარიშზე, ვინაიდან ტრანზაქცია მაღალი რისკის მატარებლად ჩაითვა და საჭიროებს დამატებით გადამოწმებას. შესაძლოა ამსმპ-მა გადახდას აღნიშნული სტატუსი მიანიჭოს სხვა შემთხვევებშიც, შიდა პროცედურების და ასევე მარეგულირებელი კანონმდებლობის მოთხოვნებისამებრ. თუ ამსმპ-ს არ შეუძლია დანამდვილებით თქვას რომ კრედიტორის ანგარიშზე თანხა არ ჩარიცხულა, მან არავითარ შემთხვევაში არ უნდა მიანიჭოს დავალებას აღნიშნული სტატუსი.
RCVD	Received მიღებულია, ჯერჯერობით რაიმე დამუშავების გარეშე	აღნიშნული სტატუსი არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაბრუნდეს. ამსმპ-მა საგადახდო დავალების მიღებისთანავე უნდა შეამოწმოს, სულ მცირე, საგადახდო დავალების სინტაქსური და სემანტიკური სისწორე და მიიღოს (მაგ. სტატუსი ACTC), ან უარჰყოს (სტატუსი RJCT) იგი. შესაძლოა, ამსმპ-მა ავტომატურ რეჟიმში გადაიყვანოს დავალება უფრო მაღალ სტატუსზე.
PDNG	Pending შუალედური სტატუსი: დავალება მიღების ან დამუშავების პროცესშია. მოხდება შემდგომი შემოწმება და სტატუსი შეიცვლება შესაბამისად	უმჯობესია ამსმპ-მა არ გამოიყენოს აღნიშნული სტატუსი და ყოველთვის ნათლად გადაიყვანოს დავალება ერთი სტატუსიდან მეორეზე.
RJCT	Rejected უარყოფილია	სტატუსი ბრუნდება იმ შემთხვევაში, თუ დავალება უარყოფილია ამსმპ-ს მიერ რაიმე მიზეზით

CANC	Cancelled გაუქმებულია	სტატუსი ბრუნდება იმ შემთხვევაში, როდესაც საგადახდო დავალება უქმდება 8.7 თავით განსაზღვრული გაუქმების მოთხოვნის შესაბამისად
ACFC	AcceptedFundsChecked ტექნიკური შემოწმება და მომხმარებლის პროფილის შემოწმება გავლილია, ასევე შემოწმებულია დებიტორის ანგარიშზე თანხის არსებობა და შემოწმება წარმატებულია	საგადახდო დავალებამ გაიარა როგორც ტექნიკური შემოწმება, ისე AML შემოწმება და ანგარიშზე თანხის არსებობის შემოწმება და მზადაა შემდგომი სტატუსისათვის საჭირო პროცედურების გასავლელად. შესაძლოა საგადახდო დავალება არ შეჩერდეს ამ სტატუსზე, ავტომატურად გადავიდეს კიდევ უფრო მაღალი სტატუსზე.
PATC	PartiallyAcceptedTechnical Correct ტექნიკური შემოწმება გავლილია, თუმცა გადახდას ესაჭიროება რამდენიმე ავტორიზაცია, როგორც ეს (4)-ითაა განსაზღვრული	თუ საგადახდო დავალებას მხოლოდ ერთი პირის დამოწმება ესაჭიროება, ეს სტატუსი არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაბრუნდეს
PART	PartiallyAccepted გამოიყენება მხოლოდ მრავლობით გადახდებში (იხ. 8.3.2 თავი) პაკეტის იმგვარი სტატუსის მისათითებლად, როდესაც ტრანზაქციების ნაწილი უკვე მიღებულია (რომელიმე „Accepted“ სტატუსი), ნაწილი კი ჯერ არ დამუშავებულია	

ცხრილი 8: საგადახდო დავალების სტატუსები გადახდის ინიცირების მომსახურებაში

9 ანგარიშის ინფორმაციის მომსახურება

ანგარიშის ინფორმაციის მომსახურებაში წინამდებარე დოკუმენტი, ისევე როგორც (2), მიჰნავს საბარათე და ღია ბანკინგის ანგარიშების საინფორმაციო რესურსებს. მიუხედავად ამისა, ამ დოკუმენტთან თავსებადობის მიზნით **აუცილებელია**, ღია ბანკინგის ანგარიშების სერვისებმა (იხ. (2), თავი 4.11.2 და ასევე ამ დოკუმენტის 9.3 თავი) დააბრუნონ იმ ანგარიშების ინფორმაცია, რომელზედაც მიბმულია ერთი ან რამდენიმე პლასტიკური ბარათი (სადებეტო ან საკრედიტო). საბარათე ანგარიშების და ბარათების ინფორმაციის დაბრუნების წესი რეგულირდება ამ დოკუმენტის 9.4 თავით.

ამ დოკუმენტით ერთმანეთისგან განსხვავდება ღია ბანკინგისთვის გამოსადეგი (available) და ხელმისაწვდომი (accessible) ანგარიშები. კერძოდ:

986 • გამოსადეგი ანგარიში არის ანგარიში, რომლის გამოყენებაც შესაძლებელია XS2A
987 ინტერფეისით საშუალებით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

988 • ხელმისაწვდომი ანგარიში არის ისეთი გამოსადეგი ანგარიში, რომლის გამოყენებაზეც
989 რაიმე სახის თანხმობაა გაცემული რაიმე სახის ინფორმაციის გაცემაზე („თანხმობის
990 გაცემაში“ იგულისხმება ამ თავის ქვეთავებით განსაზღვრული წესით გაცემული
991 თანხმობა) და იგი აქტიურია.

992 ზემოაღნიშნული წესი და ტერმინოლოგია ვრცელდება როგორც ღია ბანკინგის ანგარიშებზე, ისე
993 საბარათე ანგარიშებსა და ბარათებზე. იგივე წესი და ტერმინოლოგია გავრცელდება სხვა ტიპის
994 ანგარიშებზეც, თუ ისინი დაემატებიან ამ დოკუმენტის სამომავლო ვერსიებში.

995

996 9.1 ღია ბანკინგის ანგარიშების, საბარათე ანგარიშების და ბარათების
997 ინფორმაციის გაზიარებაზე თანხმობის გამოხატვის ძირითადი პრინციპები

998 მანამ, სანამ გამოითხოვდეს კონკრეტულ ანგარიშწორების ანგარიშ(ებ)ის, საბარათე
999 ანგარიშების ან/და ბარათების (თუ აღნიშნული მხარდაჭერილია ამსმპ-ს მხრიდან)
1000 ინფორმაცია, **აუცილებელია** მმპ-მა შექმნას თანხმობის ელექტრონული დოკუმენტი, რომლის
1001 ფორმატიც 9.1.1 თავით განისაზღვრება.

1002 **აუცილებელია**, ამ დოკუმენტში მმპ აღწეროს, კონკრეტულად რა უფლებას ითხოვს იგი და
1003 გადასცეს სარეგისტრაციოდ ამსმპ-ს 9.2.1 თავით განსაზღვრული წესით. შემდგომი მოქმედებები
1004 აღწერილია ხსენებულ თავში. თანხმობის დოკუმენტების ზოგიერთი ფორმა მოცემულია ამ
1005 თავის შემდგომი ქვეთავებით.

1006 წინამდებარე დოკუმენტთან თავსებადია (2)-ის მე-6 თავით განსაზღვრული თანხმობის
1007 გამოხატვის მხოლოდ შემდეგი სცენარები:

1008 1) **დეტალური თანხმობა** - როდესაც მმპ-მა წინასწარ იცის, რაზე საჭიროებს თანხმობას
1009 სმმ-ის მხრიდან

1010 2) **ბანკის მიერ შეთავაზებული თანხმობა** - როდესაც მმპ-მა არ იცის, რაზე საჭიროებს
1011 თანხმობას სმმ-ის მხრიდან და სმმ სათანადო ობიექტებს არჩევს ამსმპ-ს მხარეს.

1012 3) **თანხმობა გამოსადეგი** ანგარიშების, ბარათების ან/და საბარათე ანგარიშების სიაზე
1013 (მაგ. შემდგომში გადახდის ინიცირების ან დეტალური თანხმობის მოთხოვნისათვის).

1014 4) აღნიშნული სცენარები, ინფორმაციული სახით, აღწერილია 9.1.2 თავის ქვეთავებში.
1015 გლობალური თანხმობა, ანუ თანხმობა ყველანაირ ანგარიშზე ერთობლივად (ატრიბუტი
1016 allPsd2, იხ. 9.1.1.1 თავი) ამ დოკუმენტთან თავსებადი არ არის და **არავითარ შემთხვევაში**
1017 **არ უნდა იქნას გამოყენებული**.

1018 თანხმობის მიღების პროცესი სქემატურად შემდეგნაირად გამოიყურება:

1019 1. მმპ-მა ქმნის თანხმობის მოთხოვნის დოკუმენტს (იხ. 9.1.1 თავი)

1020 2. მმპ იძახებს ამსმპ-ის თანხმობის რეგისტრაციის სერვისს (იხ. 9.2.1 თავი) და აწვდის მას
1021 თანხმობის ობიექტს.

- 1022 3. ამსმპ არეგისტრირებს თავისთან თანხმობის ობიექტს, ანიჭებს მას სარეგისტრაციო
1023 იდენტიფიკატორს და იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას ავტომატურ რეჟიმში:
- 1024 3.1. ავტომატური უარი.
- 1025 3.2. ავტომატური თანხმობა.
- 1026 3.3. მომხმარებლის ავთენტიფიკაციისა და თანხმობის გამოხატვის მოთხოვნა, ერთი ან
1027 რამდენიმე ფაქტორით, (10)-ის შესაბამისად.
- 1028 4. თუ ამსმპ-ის გადაწყვეტილება ავტომატური თანხმობაა, მმპ-ს შეუძლია თანხმობის ობიექტის
1029 იდენტიფიკატორი (რომელსაც ამსმპ-სგან მიიღებს) გამოიყენოს ანგარიშის ინფორმაციის
1030 გაზიარების სერვისებში (იხ. ამ თავის შესაბამისი ქვეთავები).
- 1031 5. თუ ამსმპ-ის გადაწყვეტილება მომხმარებლის ავთენტიფიკაციის და თანხმობის გამოხატვის
1032 მოთხოვნაა, იგი უბრუნებს მმპს-ს პასუხს. მმპ-ს ესაჭიროება თანხმობის სტატუსის სერვისის
1033 გამოძახება (იხ. 9.2.2 თავი) რათა შეიტყოს, როგორ დასრულდა მომხმარებლის
1034 ავთენტიფიკაციის პროცესი.
- 1035 6. თუ საგადახდო მომსახურების მომხმარებელს მოთხოვნილი ჰქონდა ამსმპ-ში გამოხატული
1036 თანხმობა, მმპ-მა დამატებით უნდა გამოიძახოს თანხმობის შესახებ დეტალური
1037 ინფორმაციის მიწოდების სერვისი (იხ. 9.2.3 თავი), რათა შეიტყოს თუ კონკრეტულად რაზე
1038 გამოხატა თანხმობა სმმ-მა. სხვა შემთხვევაში ამ სერვისის გამოძახება საჭირო არ არის,
1039 ვინაიდან ამსმპ-ს როლი მხოლოდ მმპ-ის მიერ წარდგენილი თანხმობის დოკუმენტზე სმმ-ის
1040 თანხმობის მიღებით შემოიფარგლება.
- 1041
- 1042
- 1043 9.1.1 თანხმობის მოთხოვნის დოკუმენტი
- 1044 თანხმობის მოთხოვნის დოკუმენტი არის JSON დოკუმენტი, რომელსაც ზედა დონეზე აქვს
1045 შემდეგი ველები:
- 1046 {
- 1047 "access":{ ... },
- 1048 "frequencyPerDay":4,
- 1049 "recurringIndicator":true,
- 1050 "validUntil":"2020-09-10",
- 1051 "combinedServiceIndicator":false,
- 1052 }
- 1053 9.1.1.1 ქმედებები, რომლებზეც შეიძლება გამოიხატოს თანხმობა
- 1054 ატრიბუტი access განსაზღვრავს, კონკრეტულად რა ქმედებაზე (რა სახის ინფორმაციის
1055 გამოთხოვაზე) აძლევს თანხმობას სმმ მმპ-ს. ქვემოთ მოცემულია იმ ატრიბუტების
1056 ჩამონათვალი, რომელიც განისაზღვრება (2)-ითა და (14)-ით და მათი მხარდაჭერის საკითხები
1057 წინამდებარე დოკუმენტთან თავსებადობის ქრილში:

ატრიბუტი	ტიპი	აღწერა
accounts	AccountReference-ების მასივი	მხარდაჭერა აუცილებელია. ობიექტები, რომლებზეც შეიძლება გაიცეს თანხმობა, განისაზღვრება 9.1.1.2 თავით. ობიექტის მითითება balances ან transactions ატრიბუტში ასევე გულისხმობს, რომ იგი არაცხადად მითითებულია accounts-ში. თუ ერთ-ერთ ატრიბუტში მითითებულია რაიმე ობიექტი, სხვა ატრიბუტში არავითარ შემთხვევაში არ უნდა მიეთითოს ცარიელი მასივი („[]“). ამ ვარიანტის გადმოცემისას ამსმპ-მა სმმ-ისგან უნდა მიიღოს გაერთიანებული თანხმობა ან გაერთიანებული უარი და არავითარ შემთხვევაში არ უნდა შესთავაზოს მას კონკრეტული ობიექტების მონიშვნა ან მონიშვნის მოხსნა (მაგალითებისათვის იხ. 9.1.2.1 თავი). ასეთ შემთხვევაში, რომელიმე ანგარიში არ არსებობს ან სმმ-ს მასზე წვდომა არ აქვს, ამსმპ-მა სმმ-ს არ უნდა მისცეს შესაბამის თანხმობის გამოხატვის უფლება, მიუხედავად იმისა რომ ცალკეული ანგარიშები შეიძლება არსებობდნენ და მომხმარებელს მასზე წვდომა ჰქონდეს. აუცილებელია მხარდაჭერილი იყოს ვარიანტი, როდესაც სამივე ატრიბუტში მითითებულია ცარიელი მასივი („[]“) და ამ შემთხვევაში აუცილებელია, ამსმპ-მა სმმ-ს აარჩევინოს, რომელ ანგარიშებზე (მათ შორი საბარათე ანგარიშებზე ან/და ბარათებზე, თუ მხარდაჭერილია) გამოხატავს იგი თანხმობას. მაგალითისთვის იხილეთ და 9.1.2.2 თავი.
balances	AccountReference-ების მასივი	
transactions	AccountReference-ების მასივი	
additionalInformation	AdditionalInformationAccess-ების მასივი	მხარდაჭერა აუცილებელია. გამოიყენება დამატებითი ინფორმაციის მოსათხოვად. იხ. Error! Reference source not found. თავი
availableAccounts	String	

availableAccountsWithBalance	String	მხარდაჭერა აუცილებელია. გამოიყენება გამოსადეგი ანგარიშების სიის გამოსათხოვად. იხ. 9.1.2.3 თავი. აუცილებელია, მხარდაჭერილი იყოს allAccounts მნიშვნელობა. შესაძლოა, მხარდაჭერილი იყოს "allAccountsWithOwnerName" - ყველა გამოსადეგი ანგარიში და მფლობელის სახელი თითოეული მათგანისათვის. ეს საკითხი დამატებით რეგულირდება Error! Reference source not found. თავით.
allPsd2	String	ამ დოკუმენტთან თავსებადობის მიზნებისათვის, გლობალური თანხმობა მხარდაჭერილი არ არის. შესაბამისად, მმპ-მა არავითარ შემთხვევაში არ უნდა გამოიყენოს იგი. აუცილებელია, ამგვარი მოთხოვნისას ამსმპ-მა დააბრუნოს შეცდომა
restrictedTo	CashAccountType-ების მასივი	(14)-ის თანახმად, აღნიშნული ატრიბუტის მხარდაჭერა შესაძლოა შეწყდეს XS2A-ს შემდეგ ვერსიებში. ამდენად, მისი გამოყენება არარეკომენდებულია. თუ ატრიბუტი მხარდაჭერილი არ არის, აუცილებელია ამსმპ-მა იმოქმედოს ისე, თითქოს იგი საერთოდ არ მოსულა დოკუმენტში.

1058

1059

1060 *9.1.1.2 ობიექტები, რომელთა ინფორმაციის გამოთხოვაზე შეიძლება გავიცეს თანხმობა*

1061 იმ ღია ბანკინგის ანგარიშის, საბარათო ანგარიშის, ბარათის იდენტიფიკაცია, რომლის
1062 ინფორმაციის გამოთხოვაზეც სმმ თანხმობას აძლევს მმპ-ს, თანხმობის მოთხოვნის
1063 დოკუმენტში აღიწერება (2)-ით განსაზღვრული AccountReference ტიპით.

1064 აღნიშნული მიზნობრიობით AccountReference ტიპის გამოყენებისას წინამდებარე დოკუმენტით
1065 მხარდაჭერილია შემდეგი ატრიბუტები:

ატრიბუტი	ტიპი	აღწერა
iban	IBAN	ღია ბანკინგის ანგარიშის იდენტიფიკატორი, საბარათო ანგარიშის შესაბამისი რომელიმე (თუ რამდენიმე)

		ანგარიშის იდენტიფიკატორი. ამსმპ-ს მხრიდან მისი მხარდაჭერა აუცილებელია .
bban	BBAN	აღნიშნული ატრიბუტი არავითარ შემთხვევაში არ გამოიყენება
pan	Max35Text	თუ ამსმპ მხარს უჭერს საბარათე ანგარიშების და ბარათების ინფორმაციის გაცემას, მისი მხრიდან აღნიშნული ატრიბუტის მხარდაჭერა აუცილებელია. თანხმობის რეგისტრაციისას მმპ ამსმპ-ს გადასცემს საგადახდო ბარათის ნომერს (PAN) ღია სახით, მასკირების გარეშე. ამ ატრიბუტის მიღებისას აუცილებელია, ამსმპ-მა დაუყოვნებლივ გადაიყვანოს იგი ისეთ ფორმატში, რომელიც თავსებადია PCI DSS მოთხოვნებთან და თანხმობის მართვის შემდგომ პროცესში არავითარ შემთხვევაში არ უჩვენოს იგი ღია სახით სმმ-ს ან დაუბრუნოს იგი მმპ-ს. აუცილებელია, ამსმპ-მა სმმ-ს PAN უჩვენოს მასკირებული სახით PCI DSS მოთხოვნებთან სრულ შესაბამისობაში, მათ შორის თანხმობის შესახებ დეტალური ინფორმაციის მმპ-სთვის მიწოდებისას (იხ. 9.2.3 თავი). შენიშვნა: აღნიშნული ატრიბუტის გამოყენებისას მმპ-მა უნდა გაითვალისწინოს, რომ იგი ავტომატურად მოექცევა PCI DSS სტანდარტებით დაწესებული მოთხოვნების მოქმედების სფეროში.
maskedPan	Max35Text	თუ ამსმპ მხარს უჭერს საბარათე ანგარიშების და ბარათების ინფორმაციის გაცემას, მისი მხრიდან აღნიშნული ატრიბუტის მხარდაჭერა აუცილებელია. აუცილებელია, მნიშვნელობა შედგებოდეს მხოლოდ ციფრებისა და '*' (ვარსკვლავი) სიმბოლოებისაგან. თუ ამსმპ ჩათვლის, რომ ბარათის ნომერი მასკირებულია არასაკმარისად (არ შეესაბამება PCI DSS მოთხოვნებს ან/და საუკეთესო პრაქტიკებს), შესაძლოა მან თანხმობის შემდგომი დამუშავების პროცესში, მათ შორის თანხმობის შესახებ დეტალური ინფორმაციის

		მმპ-სთვის მიწოდებისას (იხ. 9.2.3 თავი) გარკვეული ციფრები დამატებით ჩაანაცვლოს ვარსკვლავებით.
msisdn	Max35Text	უმჯობესია აღნიშნული ატრიბუტის მხარდაჭერა ამსმპ-ს მხრიდან.
currency	CurrencyCode	შესაძლოა ამსმპ მხარს უჭერდეს აღნიშნულ ატრიბუტს, დეტალებისთვის იხ. Error! Reference source not found. თავი.
cashAccountType	CashAccountType	აუცილებელია აღნიშნული ატრიბუტის მხარდაჭერა ამსმპ-ს მხრიდან. ამ დოკუმენტის მიზნებისათვის აუცილებელია მხარდაჭერილი იყოს, სულ მცირე, CARD და CACC მნიშვნელობები მასში.

1066

1067

1068 9.1.1.3 ერთჯერადი და განმეორებადი თანხმობა

1069 თანხმობის ჯერადობას და განმეორებადობას განსაზღვრავს recurringIndicator ატრიბუტი. თუ ის
1070 არის false, თანხმობა ერთჯერადია. წინააღმდეგ შემთხვევაში - განმეორებადი.

1071 თუ recurringIndicator არის false, **აუცილებელია** frequencyPerDay უდრიდეს 1-ს. აღნიშნული
1072 მოთხოვნის დარღვევის შემთხვევაში **აუცილებელია** ამსმპ-მა არ დაარეგისტრიროს მსგავსი
1073 თანხმობა და დააბრუნოს შეცდომა.

1074 მმპ-ს მიერ ამსმპ-სთან დარეგისტრირებული recurringIndicator=false ტიპის თანხმობები
1075 ერთმანეთთან **არავითარ შემთხვევაში** არ ურთიერთქმედებენ, კერძოდ ახალი თანხმობების
1076 მიღება არ ავლენს გავლენას წინა თანხმობებზე. ასევე არავითარ შემთხვევაში არ
1077 ურთიერთქმედებს ორი თანხმობა, რომელთაგან ერთი არის recurringIndicator=false ხოლო მეორე
1078 recurringIndicator=true ტიპისა.

1079 9.1.1.4 განმეორებადი თანხმობების ურთიერთქმედება

1080 თუ მმპ-ს მიერ უკვე დარეგისტრირებულია recurringIndicator=true თანხმობა და მმპ
1081 არეგისტრირებს მეორე recurringIndicator=true თანხმობას, **აუცილებელია** პროცესი წარიმართოს
1082 ერთი-ერთი შემდეგი სცენარით:

1083 1) ამსმპ მხარს უჭერს მრავლობითი თანხმობების გამოხატვას (15) მიხედვით და არ აუქმებს
1084 წინა recurringIndicator=true თანხმობებს

1085 2) ამსმპ მხარს არ უჭერს მრავლობითი თანხმობების გამოხატვას (15) მიხედვით და აუქმებს
1086 ყველა წინა recurringIndicator=true თანხმობას, მიუხედავად იმისა, რა ტიპისაა ესა თუ ის
1087 თანხმობა (მაგ. დეტალური თანხმობით შეიძლება ბანკში გამოხატული თანხმობის
1088 ჩანაცვლება). **აუცილებელია** ჩანაცვლებული თანხმობის სტატუსი განისაზღვროს (2)-ის
1089 4.14.2 თავის შესაბამისად

1090

1091 *9.1.1.5 განმეორებადი თანხმობა გამოსადეგ საბანკო, საბარათე ანგარიშებზე ან/და ბარათებზე*
 1092 როგორც წესი, თანხმობა გამოსადეგ ანგარიშებზე არის ერთჯერადი და მძკ-ების მიერ მისი
 1093 გამოყენების ძირითადი მიზანი შეიძლება იყოს შემდგომში გადახდის ინიცირების ან დეტალური
 1094 თანხმობის მოთხოვნა. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, წინამდებარე დოკუმენტით არ
 1095 იკრძალება მძკ-ს მხრიდან გამოსადეგ საბანკო, საბარათე ანგარიშებზე ან/და ბარათებზე
 1096 განმეორებითი თანხმობის მოთხოვნა. ამდენად, **აუცილებელია** ამსმპ-მა დაამუშავოს მძკ-ს
 1097 მხრიდან მოსული განმეორებადი თანხმობა ასეთ შემთხვევაშიც.

1098 თუ მძკ-ს ამსმპ-ში უკვე მიღებული აქვს სხვა განმეორებადი თანხმობა, **აუცილებელია** ახალი
 1099 თანხმობის დამუშავება მოხდეს 9.1.1.4 თავით მითითებული წესით.

1100

1101 *9.1.1.6 API მოთხოვნების დასაშვები რაოდენობების გამოთვლის წესი*
 1102 თითოეული თანხმობა, მიუხედავად იმისა, ის ერთჯერადია თუ განმეორებადი, მძკ-ს უფლებას
 1103 აძლევს, სრულად მისწვდეს ამსმპ-ში დაცულ ყველა ინფორმაციას, რაც თანხმობას შეესაბამება -
 1104 მიუხედავად იმისა, თუ რამდენი ტექნიკური (API) გამოძახება იქნება საჭირო ამისათვის.

1105 მაგალითად, როდესაც ერთჯერადი თანხმობა გამოხატულია 2 ღია ბანკინგის ანგარიშის
 1106 ნაშთების გაზიარებაზე, მძკ-ს შეუძლია მოითხოვოს ორივეს ნაშთი, მიუხედავად იმისა, რომ
 1107 წინამდებარე დოკუმენტის შესაბამისად მას ამისთვის სულ მცირე 2 მოთხოვნა დასჭირდება
 1108 (ნაშთების მოთხოვნა აღწერილია 9.3.5 თავით).

1109 განმეორებადი თანხმობის შემთხვევაში დამუშავება განსხვავდება იმის მიხედვით, თუ როგორ
 1110 ხდება ინფორმაციის მოთხოვნა:

1111 1) სმმ ინფორმაციას ითხოვს აქტიურად (ანუ სმმ უშუალოდ ურთიერთქმედებს მძკ-სთან და
 1112 მძკ მოქმედებს მისი დავალებით);

1113 2) ინფორმაციას მოითხოვს უშუალოდ მძკ, მოქმედებს რა სმმ-ის მიერ გაცემული
 1114 თანხმობის ფარგლებში.

1115 **აუცილებელია**, მძკ-მა ინფორმაციის მოთხოვნასთან დაკავშირებულ ყველა API გამოძახებას
 1116 (ანუ /accounts, /card-accounts, /cards ტიპის ბოლოწერტილების გამოძახებას) თან დაურთოს PSU-
 1117 IP-Address სათაური მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც სმმ ინფორმაციას ითხოვს აქტიურად. თუ
 1118 ინფორმაციას ითხოვს უშუალოდ მძკ, აღნიშნული ველი **არავითარ შემთხვევაში** არ უნდა იყოს
 1119 შევსებული.

1120 **შენიშვნა:** თანხმობის გამოხატვის სერვისში PSU-IP-Address სათაური აუცილებელია (2)-ის
 1121 შესაბამისად.

1122 აუცილებელია, frequencyPerDay გაგებული იქნას, როგორც „გამოთხოვათა რაოდენობა
 1123 ნებისმიერ 24 საათიან შუალედში“.

1124 **აუცილებელია**, ამსმპ-მა frequencyPerDay ტიპის შეზღუდვა გაავრცელოს მხოლოდ ისეთ
 1125 მოთხოვნებზე, რომლებიც მძკ-ის ინიცირებულია. მან **არავითარ შემთხვევაში** არ უნდა
 1126 გაავრცელოს აღნიშნული შეზღუდვა სმმ-ის მიერ ინფორმაციის აქტიურ მოთხოვნაზე.

1127 **შესაძლოა**, ამსმპ-მა დააწესოს რაიმე მექანიზმები, რომლითაც მოხდება მმპ-ების მხრიდან
1128 აღნიშნული შესაძლებლობის ბოროტად გამოყენების ფაქტების გამოვლენა, რომელიც
1129 გადაეგზავნება მარეგულირებელ ორგანოებს, შემდგომი რეაგირებისათვის.

1130 თუ ამსმპ მხარს უჭერს მრავლობითი თანხმობების გამოხატვას (15) მიხედვით, **აუცილებელია**
1131 თითოეული აქტიური განმეორებადი თანხმობის ლიმიტი გამოთვლილი იყოს ცალ-ცალკე, იმის
1132 მიხედვით თუ რომელი თანხმობის იდენტიფიკატორს გადმოსცემს მმპ Consent-ID სათაურში.

1133

1134 *9.1.1.7 ატრიბუტი combinedServiceIndicator*

1135 **შესაძლოა**, თანხმობის დოკუმენტში მიეთითოს combinedServiceIndicator მნიშვნელობით true.
1136 აღნიშნული შემთხვევის დამუშავების წესი განისაზღვრება (2)-ის მე-9 თავით. ქვემოთ
1137 მოცემულია დამატებითი დაზუსტება.

1138 თუ მმპ გადაწყვეტს, ანგარიშებთან წვდომაზე წარმატებულად მიღებული თანხმობის
1139 იდენტიფიკატორი შემდეგ გადასცეს გადახდის ინიცირების მოთხოვნას (იხ. მე-8 თავი) HTTP
1140 სათაურით Consent-ID, **შესაძლოა** ამსმპ-მა:

1141 1) პირდაპირ მიიღოს გადახდა და არ მოითხოვოს სმმ-ის ავთენტიფიკაცია, დაეყრდნოს რა
1142 თანხმობის გაცემის პროცესში განხორციელებულ ავთენტიფიკაციას, თუ აღნიშნულის
1143 უფლება მას გააჩნია მარეგულირებელი კანონმდებლობით (მაგ. გადასახდელი თანხის
1144 სიმცირიდან გამომდინარე);

1145 2) მოითხოვოს ავთენტიფიკაცია მხოლოდ მეორე ფაქტორით, დაეყრდნოს რა თანხმობის
1146 გაცემის პროცესში განხორციელებულ ავთენტიფიკაციას როგორც პირველ ფაქტორს, თუ
1147 აღნიშნულის უფლება მას გააჩნია მარეგულირებელი კანონმდებლობით;

1148 3) მიუხედავად ყველაფრისა, მაინც მოითხოვოს მომხმარებლის ძლიერი ავთენტიფიკაცია.

1149 იმ შემთხვევაში, თუ OAuth2 ტოკენს, რომელიც გამოყენებული იყო სმმ-ის თანხმობის
1150 განხორციელების პროცესში, ვადა გაუვა, **აუცილებელია** ამსმპ-მა მოითხოვოს მომხმარებლის
1151 ძლიერი ავთენტიფიკაცია და არ დაეყრდნოს ტოკენით მითითებულ ავთენტიფიკაციის
1152 განხორციელების ფაქტს (მათ შორის იმ შემთხვევაში როდესაც ტოკენი განახლდა refresh token-
1153 ის გამოყენებით).

1154 **შენიშვნა:** აღნიშნული შესაძლებლობა ასევე ეხმარება ამსმპ-სა და მმპ-ს, ბარათით გადახდის
1155 შემთხვევაში მოახდინონ ბარათის ნომრის მაქსიმალური შენიღბვა, ვინაიდან Consent-ID
1156 მნიშვნელობით ამსმპ-მა ყოველთვის იცის, ვინაა სმმ და რომელ ბარათებზე გამოხატა მან
1157 თანხმობა.

1158 *9.1.1.8 დამატებითი ინფორმაციის გაზიარების მოთხოვნის წესი*

1159 ინფორმაციის მოთხოვნაზე თანხმობის დოკუმენტში (2) მხარს უჭერს access ატრიბუტში ქვე-
1160 ატრიბუტს additionalInformation. აღნიშნული ატრიბუტის გამოყენების საკითხი, ასევე მისი
1161 ზოგიერთი ალტერნატივის გამოყენება განისაზღვრება ამ თავის ქვეთავებში მითითებული
1162 წესით.

1163 **უმჯობესია**, ანგარიშის მფლობელის სახელის გამოთხოვაზე არსებობდეს ცხადად გამოხატული
1164 თანხმობა. მაგალითად, თუ ამსმპ მიიღებს თანხმობას გამოსადეგი ანგარიშების სიაზე

1165 "availableAccounts": "allAccounts" ფორმით (როგორც ეს 9.1.2.3 თავით არის განსაზღვრული),
1166 მან არ დაუბრუნოს მძპ-ს ანგარიშის მფლობელის ინფორმაცია.

1167 9.1.1.8.1 წინასწარ ცხადად განსაზღვრული ანგარიშის მფლობელის სახელი

1168 **აუცილებელია**, მხარდაჭერილი იყოს ანგარიშის მფლობელის სახელის მოთხოვნის
1169 შესაძლებლობა (ownerName ველის მოთხოვნის შესაძლებლობა), როგორც ეს (2)-ის 14.17
1170 თავითაა განსაზღვრული.

1171 9.1.1.8.2 ანგარიშის მფლობელის სახელი გამოსადეგი ანგარიშების მოთხოვნისას

1172 **უმჯობესია**, მხარდაჭერილი იყოს WithOwnerName სუფიქსის მქონე (მაგ.
1173 allAccountsWithOwnerName) ვარიანტები availableAccounts, availableAccountWithBalance და allPsd2
1174 ატრიბუტებში, (2)-სთან მეტი თავსებადობის და მომხმარებლის მეტი კომფორტის მიზნით.
1175 **უმჯობესია**, ownerName ველის გამოთხოვაზე არსებობდეს ცხადად გამოხატული თანხმობა და
1176 ამგვარი თანხმობის არარსებობის შემთხვევაში ამსმპ-მა **არავითარ შემთხვევაში** არ უნდა
1177 დაუბრუნოს მძპ-ს ეს ინფორმაცია.

1178 9.1.1.8.3 სანდო ბენეფიციარების სია

1179 დოკუმენტის ამ ვერსიასთან თავსებადობის მიზნებისათვის ამსმპ-მა მხარი **არავითარ**
1180 **შემთხვევაში** არ უნდა დაუჭიროს დამატებითი ინფორმაციის სახით სანდო ბენეფიციარების
1181 სიის გაზიარებას (2)-ის 14.17 თავით განსაზღვრული წესით (ატრიბუტის სახელად გამოიყენოს
1182 „trustedBeneficiaries“) და მძპ-ის მხრიდან აღნიშნულზე თანხმობის მოთხოვნაზე დააბრუნოს
1183 შეცდომა FORMAT_INVALID.

1184

1185 9.1.1.9 მულტისავალუტო ანგარიშებზე გამოსატული თანხმობა

1186 **აუცილებელია**, მულტისავალუტო ანგარიშზე გამოსატული თანხმობა ვრცელდებოდეს მასზე,
1187 როგორც ერთიან ანგარიშზე. **აუცილებელია**, ამსმპ-მა მძპ-ს მიაწოდოს ინფორმაცია ამ
1188 დოკუმენტის შესაბამისად იმგვარად, რომ შესაძლებელი იყოს ანგარიშის იდენტიფიცირება
1189 როგორც მულტისავალუტო ანგარიშისა (ვალუტის კოდი XXX). ამ დოკუმენტის წინამდებარე
1190 ვერსიის გამოყენებით იმის დადგენა, თუ კონკრეტულად რომელი ვალუტის გამოყენებაა
1191 შესაძლებელი ამ მულტისავალუტო ანგარიშზე, მხოლოდ ნაშთებზე წვდომის შედეგადაა
1192 შესაძლებელი.

1193 **შესაძლოა**, ამსმპ-მა მხარი დაუჭიროს მულტისავალუტო ანგარიშის „დანაწევრებას“ ისე, რომ
1194 საშუალება მისცეს მძპ-ს, მიიღოს სმმ-ის თანხმობა მულტისავალუტო ანგარიშთან
1195 დაკავშირებულ კონკრეტულ ვალუტასთან მიმართებაში. აღნიშნული გულისხმობს, მაგალითად,
1196 ანგარიშზე დეტალური თანხმობის მოთხოვნისას (იხ. 9.1.2.1 თავი) ვალუტის კოდის
1197 მითითებასაც. თუმცა ამ შემთხვევაში **აუცილებელია**, მხარდაჭერილი იყოს მთლიან
1198 მულტისავალუტო ანგარიშზე თანხმობის გაცემაც (ვალუტის მითითების გარეშე).

1199 თუ ამსმპ მხარს უჭერს მულტისავალუტო ანგარიშის „დანაწევრებას“, ერთ ვალუტასთან
1200 მიმართებაში გაცემული თანხმობა **არავითარ შემთხვევაში** არ უნდა გულისხმობდეს თანხმობას
1201 სხვა ვალუტასთან მიმართებაში.

1202 თუ ამსმპ მხარს არ უჭერს მულტისავალუტო ანგარიშის „დანაწევრებას“, **აუცილებელია**
1203 ანგარიშზე დეტალური თანხმობის მოთხოვნისას (იხ. 9.1.2.1 თავი) მან სმმ-ს თანხმობა

1204 გამოახატინოს იმის მიუხედავად, გადმოეცა თუ არა ანგარიშის ნომერთან ერთად ანგარიშის
1205 ვალუტა.

1206 ბარათების (და არა საბარათო ანგარიშების) შემთხვევაში, თუ ისინი მულტისავალუტოა,
1207 კონკრეტულ ვალუტაზე თანხმობის გამოხატვა **არავითარ შემთხვევაში** არ უნდა იყოს
1208 მხარდაჭერილი - მულტისავალუტო ბარათზე თანხმობა ყოველთვის ხდება „აგრეგირებულ“
1209 დონეზე.

1210

1211 9.1.1.10 თანხმობის ვადა

1212 თანხმობის სასურველ ვადას მმპ უთითებს ელემენტში validUntil. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული
1213 ველის მნიშვნელობა აღემატება მოთხოვნიდან 90 დღეს, **აუცილებელია** ამსმპ-მა დააბრუნოს
1214 შეცდომა PERIOD_INVALID. გამონაკლისს შეადგენს მნიშვნელობა „9999-12-31“, რომლის მიღების
1215 შემთხვევაში **აუცილებელია** ამსმპ-მა თანხმობის ვადა შეცვალოს მაქსიმალურ დასაშვებ
1216 მნიშვნელობაზე (არაუმეტეს 90 დღისა) და 9.2.3 თავით განსაზღვრული სერვისში დააბრუნოს
1217 უკვე შეცვლილი თარიღი.

1218

1219 9.1.2 თანხმობის მოთხოვნის დოკუმენტის კონკრეტული მაგალითები 1220 (ინფორმაციული)

1221 აღნიშნული თავი განსაზღვრავს თანხმობის მოთხოვნის რამდენიმე გავრცელებულ მაგალითს,
1222 რომელიც მკითხველმა შეიძლება გამოიყენოს წინამდებარე დოკუმენტის მოთხოვნების უკეთ
1223 გასაგებად. ამ თავის მიზანი არაა ნორმატიული თავების მოთხოვნათა ჩანაცვლება.

1224 9.1.2.1 დეტალური თანხმობის მოთხოვნის დოკუმენტი

1225 აღნიშნული სცენარი ითვალისწინებს, რომ სმმ-ს აქვს შესაძლებლობა, მიაწოდოს ანგარიშის
1226 ნომრები მმპს-ს რაიმე მიზეზიდან გამომდინარე (მაგ. მმპ-მა მიიღო ანგარიშის ნომრები წინა
1227 ჯერზე თანხმობის გამოხატვით, სმმ-მა შეიყვანა ისინი ხელით, დაასკანერა ანგარიშის ნომრის
1228 შემცველი QR კოდი ინტერნეტ-ბანკში და ა.შ.).

1229 სმმ-ის მონაწილეობით მმპ ქმნის თანხმობის დოკუმენტს, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს,
1230 მაგალითად, ქვემოთ მოცემული სახე:

```
1231 {  
1232   "access": {  
1233     "accounts": [  
1234       {  
1235         "iban": "GE00UT0000000101904917"  
1236       },  
1237       {  
1238         "iban": "GE00UT0000000101904918",  
1239         "cashAccountType": "CARD"  
1240       }  
1241     ]  
1242   }  
1243 }
```

```

1241     ],
1242     "balances":[
1243         {
1244             "iban":"GE00UT0000000101904919",
1245             "currency":"GEL"
1246         },
1247         {
1248             "iban":"GE00UT0000000101904921"
1249         }
1250     ],
1251     ],
1252     "transactions":[
1253         {
1254             "iban":"GE00UT0000000101904920",
1255             "cashAccountType":"CACC"
1256         },
1257         {
1258             "maskedPan":"123456xxxxxx1234"
1259         }
1260     ]
1261 },
1262 "frequencyPerDay":3,
1263 "recurringIndicator":true,
1264 "validUntil":"2020-09-10"
1265 }

```

1266 აღნიშნული დოკუმენტის აწყობა მთლიანად მმპ-ის ფუნქციებშია. ამის შემდეგ მმპ იძახებს ამსმპ-
1267 ის /v1/consents ფუნქციას (იხ. 9.2.1 თავი) და გადასცემს აღნიშნულ ობიექტს.

1268 დოკუმენტი ინტერპრეტირდება შემდეგნაირად:

- 1269 • GE00UT0000000101904917 ანგარიშზე მოთხოვნილია მხოლოდ ანგარიშის ინფორმაციის
1270 მიღება (ნაშთებისა და ტრანზაქციების გარეშე):
 - 1271 ○ ვინაიდან cashAccountType დაკონკრეტებული არ არის, ითვლება რომ თანხმობა
1272 მოთხოვნილია ყველანაირ ინფორმაციაზე. კერძოდ, ამ დოკუმენტის
1273 მიზნებისათვის: ღია ბანკინგის ანგარიშის ინფორმაციაზე (იხ. 9.3 თავი) ,
1274 საბარათე ანგარიშებისა და მიბმული ბარათების ინფორმაციაზე (იხ. 9.4 თავი).

- 1275 ○ თუ ეს ანგარიში საბარათე ანგარიშის ნაწილია და ასევე ამავე საბარათე ანგარიშის
1276 ნაწილია რაიმე სხვა ანგარიში (იხ. 9.4.1 თავი), ამ თანხმობის განხორციელება არ
1277 ნიშნავს, რომ სხვა ანგარიშზეც ხდება თანხმობის გამოხატვა, როგორც ღია
1278 ბანკინგის ანგარიშზე (თუმცა საბარათე ანგარიშის და ბარათების კუთხით წვდომა
1279 მაინც იქნება დაშვებული).
- 1280 ○ ვინაიდან არც ვალუტა დაკონკრეტებული, იმ შემთხვევაში თუ ეს ანგარიში
1281 მულტისავალუტოა, ხელმისაწვდომია ნაშთი ანგარიშზე არსებულ ყველა
1282 ვალუტაში.
- 1283 • GE00UT0000000101904918 ანგარიშის შემთხვევაში არ არის მოთხოვნილი თანხმობა ღია
1284 ბანკინგის ანგარიშის ინფორმაციის გაცემაზე. თანხმობა გაიცემა მხოლოდ საბარათე
1285 ანგარიშებისა და მიბმული ბარათების ინფორმაციაზე (იხ. 9.4 თავი), კერძოდ ყველა
1286 საბარათე ანგარიშზე, რომელშიც ეს ანგარიში შედის (მათ შორის იმ შემთხვევაშიც კი,
1287 როდესაც ამ საბარათე ანგარიშში სხვა ღია ბანკინგის ანგარიშიც შედის).
- 1288 • GE00UT0000000101904919 ანგარიშის შემთხვევაში გაიცემა თანხმობა ანგარიშის
1289 ინფორმაციაზე (GE00UT0000000101904917 მსგავსად) და ნაშთებზე, ოღონდ ნაშთები
1290 შეზღუდულია მხოლოდ ლარით (მათ შორის საბარათე ანგარიშის და კონკრეტული
1291 ბარათის ნაშთები).
- 1292 • GE00UT0000000101904920 ანგარიშზე თანხმობა მოითხოვება მხოლოდ ღია ბანკინგის
1293 ანგარიშთან დაკავშირებულ სერვისებზე - ანგარიშის ინფორმაციასა და ტრანზაქციებზე,
1294 ნაშთების გარეშე.
- 1295 • GE00UT0000000101904921 ანგარიშზე თანხმობა მოითხოვება ნაშთებზე, რაც არაცხადად
1296 ასევე გულისხმობს ანგარიშის ინფორმაციის გაცემასაც (GE00UT0000000101904917
1297 მსგავსად). ვინაიდან არც ვალუტა დაკონკრეტებული, იმ შემთხვევაში თუ ეს ანგარიში
1298 მულტისავალუტოა, ხელმისაწვდომია ნაშთი ანგარიშზე არსებულ ყველა ვალუტაში.
- 1299 • 123456xxxxxx1234 ბარათზე მოითხოვება თანხმობა, მხოლოდ საბარათე სერვისებზე, ღია
1300 ბანკინგის ანგარიშისა და საბარათე ანგარიშების ინფორმაციაზე წვდომის გარეშე.
- 1301 • თანხმობა მოითხოვება იმგვარად, რომ მმპ-ს სმმ-ის ჩარევის გარეშე შეეძლოს სრული
1302 ინფორმაციის გამოთხოვა დღეში არაუმეტეს 3-ჯერ (თითოეულ ანგარიშზე), 2020 წლის 10
1303 სექტემბრის ჩათვლით. ჯერადობასთან დაკავშირებული საკითხებისათვის იხ. 9.1.1.6
1304 თავი.
- 1305 • არც ერთი ანგარიშისთვის არაა შესაძლებელი მმპ-მა მიიღოს ანგარიშის მფლობელის
1306 სახელი (ვინაიდან ეს ცხადად არ ყოფილა მოთხოვნილი დოკუმენტით - იხ. **Error!**
1307 **Reference source not found.** თავი)
- 1308
- 1309 9.1.2.2 ამსმპ-ში გამოხატული თანხმობის ინიცირების დოკუმენტი
- 1310 აღნიშნული სცენარის შემთხვევაში სმმ-ისაგან თანხმობის მიღების პროცესი სრულად ხდება სმმ-
1311 სა და ამსმპ-ს შორის.

1312 სცენარის ინიცირებას, როგორც ყველა სხვა შემთხვევაში, აქაც იწყებს მმპ, თუმცა განსხვავებით
1313 დეტალური თანხმობისაგან (იხ. 9.1.2.1 თავი), იმ JSON დოკუმენტში, რომელიც ამსმპ-ს გადაეცემა,
1314 "access" ატრიბუტში გადაეცემა "accounts", "balances" ან/და "transactions" ქვე-ატრიბუტები, ისე,
1315 რომ გადაცემულთაგან ყველა შეიცავს ცარიელ მასივს(„[]“) რაც ამსმპ-სათვის იმის
1316 მანიშნებელია, რომ მმპ-მა არ იცის, კონკრეტულად რომელ ანგარიშებზე საჭიროებს იგი
1317 თანხმობას სმმ-ისგან.

1318 მაგალითად:

```
1319 {  
1320     "access": {  
1321         "accounts": [  
1322             ],  
1323         "balances": [  
1324             ],  
1325         "transactions": [  
1326             ]  
1327     },  
1328     "frequencyPerDay": 2,  
1329     "recurringIndicator": true,  
1330     "validUntil": "2020-10-15"  
1331 }
```

1332 მოთხოვნის მიღების შემდეგ ამსმპ არჩევინებს სმმ-ს, კერძოდ რაზე ხდება თანხმობის გამოხატვა
1333 და ითხოვს მის დასტურს. თანხმობის შესახებ დეტალური ინფორმაციის მიღება მმპ-ს შეუძლია
1334 გამოითხოვოს 9.2.3 თავით განსაზღვრული სერვისით.

1335

1336 *9.1.2.3 ყველა გამოსადეგ ანგარიშის ინფორმაციის მოთხოვნაზე თანხმობის დოკუმენტი*
1337 აღნიშნული წარმოადგენს სპეციალურ სცენარს, როდესაც მმპ-ს ესაჭიროება მიიღოს წვდომა სმმ-
1338 ის ყველა გამოსადეგი ანგარიშის სიაზე (ნაშთებისა და ტრანზაქციების გარდა).

```
1339 {  
1340     "access": {  
1341         "availableAccounts": "allAccounts"  
1342     },  
1343     "recurringIndicator": false,  
1344     "validUntil": "2017-08-06",  
1345     "frequencyPerDay": "1"  
1346 }
```

1347 აღნიშნული დოკუმენტით აღწერილია ყველა გამოსადეგი ღია ბანკინგის ანგარიშის, საბარათო
1348 ანგარიშისა და ბარათის ინფორმაციის ერთჯერადი მოთხოვნა.

1349

1350 9.1.3 თანხმობის გაუქმებასთან დაკავშირებული ტიპური სცენარები

1351 9.1.3.1 თანხმობის გაუქმება უფლებამოსილების დაკარგვის მიზეზით

1352 **შესაძლოა** ამსმპ-მა გააუქმოს თანხმობა იმ მიზეზით, რომ მომხმარებელს, რომელმაც
1353 აღნიშნული თანხმობა გასცა (ან მიიღო მონაწილეობა თანხმობის გაცემაში, მრავლობითი
1354 ავტორიზაციის მექანიზმის გამოყენებით), შეუწყდა აღნიშნული უფლებამოსილება თანხმობაში
1355 არსებულ ანგარიშებთან დაკავშირებით.

1356 მას შემდეგ, რაც ამსმპ აღნიშნულ მოთხოვნას თავის რომელიმე ელექტრონულ სისტემაში
1357 ასახავს, მან **არავითარ შემთხვევაში** არ უნდა მისცეს უფლება მმპ-ს, განახორციელოს რაიმე
1358 ოპერაცია ამ თანხმობაზე დაყრდნობით და შესაბამისი API მოთხოვნა უნდა დასრულდეს
1359 CONSENT_INVALID შეცდომით, ხოლო თანხმობის სტატუსის მოთხოვნისას (იხ. 9.2.2 თავი) უნდა
1360 დაბრუნდეს revokedByPsu.

1361 **შენიშვნა:** ეს დოკუმენტი არ აწესებს რაიმე მოთხოვნას იმის თაობაზე, რა მექანიზმებით
1362 მოხდება უფლებამოსილების შეწყვეტის ფაქტის შესახებ ინფორმაციის გავრცელება ამსმპ-ს
1363 შიდა ელექტრონულ სისტემებს შორის.

1364

1365 9.2 თანხმობის გამოხატვასთან დაკავშირებული სერვისები

1366 9.2.1 თანხმობის მოთხოვნის რეგისტრაციის სერვისი

1367 გამოძახება:

1368 POST /v1/consents

1369 აღნიშნული მოთხოვნის მხარდაჭერა **აუცილებელია**. მოთხოვნის პარამეტრები და
1370 დასაბრუნებელი მნიშვნელობები რეგულირდება (2)-ის 6.3.1 თავის მიხედვით, დამატებითი
1371 მოთხოვნები მოცემულია წინამდებარე თავში.

1372 **შესაძლოა** გამოძახებისას Authorization თავსართის გამოყენება, რომელშიც გადაეცემა OAuth2
1373 ტოკენი. **აუცილებელია**, ამსმპ-მა მხარი დაუჭიროს შემთხვევას, როდესაც მმპ არ გადასცემს
1374 Authorization სათაურს.

1375 თუ მმპ გადასცემს Authorization თავსართს, **აუცილებელია** მასში მითითებული ტოკენი
1376 გაცემული იყოს მომხმარებლის ავთენტიფიკაციის საფუძველზე, მხოლოდ ერთ-ერთ შემდეგ
1377 შემთხვევაში:

1378 4. ავთენტიფიკაციის ტოკენი გაიცა სმმ-ის ამ ამსმპ-ში რაიმე წინა ავთენტიფიკაციის შედეგად
1379 (თუ ამგვარი ავთენტიფიკაცია მოხდა და ტოკენი აქტიურია). ტოკენის გადაცემის ფაქტი არ
1380 ავალდებულებს ამსმპ-ს, დაეყდნოს მას. შესაბამისად, **აუცილებელია** ამსმპ-მა იმოქმედოს
1381 ერთ-ერთი შესაძლო სცენარით:

1382 4.1. ყურადღება არ მიაქციოს ამ ტოკენის არსებობას და იმოქმედოს ისევე, როგორც
1383 იმოქმედებდა ცარიელი Authorization თავსართის გადმოცემისას;

1384 4.2. გაითვალისწინოს ტოკენის არსებობა და, თუ მარეგულირებელი კანონმდებლობა
 1385 საშუალებას აძლევს, სმმ-ს შესთავაზოს ავთენტიფიკაცია შემცირებული რაოდენობის
 1386 ფაქტორებით. აღნიშნული განიხილება როგორც OAuth2 წინარე ავტორიზაცია და
 1387 რეგულირდება რეგულირდება ამ დოკუმენტის 5.3 თავით.

1388 5. სმმ-მა ავთენტიფიკაცია გაიარა მმპ-სთან ან სხვა პირთან და აღნიშნული ავთენტიფიკაციის
 1389 სანდოობა განსაზღვრულია ამსმპ-სა და მმპ-ს შორის დადებული ორმხრივი ან
 1390 მრავალმხრივი ხელშეკრულების საფუძველზე. აღნიშნული განიხილება როგორც OAuth2
 1391 წინარე ავტორიზაცია და რეგულირდება ამ დოკუმენტის 5.3 თავით.

1392 ამსმპ-მა **არავითარ შემთხვევაში** არ უნდა მოითხოვოს ისეთი ტოკენის გამოყენება, რომელიც არ
 1393 არის გაცემული მომხმარებლის ავთენტიფიკაციის საფუძველზე (დეტალებისათვის იხ. 5.3 თავი).

1394 მას შემდეგ, რაც მმპ შექმნის თანხმობის ობიექტს და გადასცემს მას ამსმპ-ს, **აუცილებელია**
 1395 ამსმპ-მა დააბრუნოს ერთ-ერთი შემდეგი პასუხი:

1396 1) თანხმობის მოთხოვნის ავტომატური უარყოფა.

1397 2) თანხმობის მოთხოვნის ავტომატური დაკმაყოფილება.

1398 3) მომხმარებლის ძლიერი ავთენტიფიკაციის მოთხოვნა.

1399

1400 **აუცილებელია**, ამსმპ-მა მოითხოვოს მომხმარებლის ძლიერი ავთენტიფიკაცია (10)-ის
 1401 მიხედვით, თუ access ატრიბუტში ქვე-ატრიბუტები არის ცარიელი მასივი ([]), რაც აღნიშნავს
 1402 ამსმპ-ში გამოხატულ თანხმობას.

1403 ამსმპ-მა შეიძლება მოსთხოვოს სმმ-ს დეტალური (ცალ-ცაკე) ან საერთო თანხმობა იმ
 1404 მონაცემებზე, რომლებისთვისაც მმპ-მა გადმოსცა ცარიელი მასივი. ამსმპ-მა **არავითარ**
 1405 **შემთხვევაში** არ უნდა გახადოს საერთო თანხმობა აუცილებელი - მან საშუალება უნდა მისცეს
 1406 სმმ-ს, არ გასცეს თანხმობა რომელიმე ანგარიშზე.

1407

1408 *9.2.1.1 თანხმობის მოთხოვნის ავტომატური დაკმაყოფილება*

1409 **შესაძლოა**, ამსმპ-მა პირდაპირ დააბრუნოს მნიშვნელობა consentStatus=valid და არ მოითხოვოს
 1410 ავთენტიფიკაცია და თანხმობის გამოხატვა იმ შემთხვევაში, როდესაც დაკმაყოფილებულია
 1411 ყველა შემდეგი პირობა:

1412 1) Authorization-ში გადმოცემულია OAuth2 ტოკენი, რომელიც ვალიდურია და მისი
 1413 საშუალებით შესაძლებელია სმმ-ის იდენტიფიკაცია მარეგულირებელი
 1414 კანონმდებლობით განსაზღვრული რწმუნების დონით, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

1415 2) მარეგულირებელი კანონმდებლობა უფლებას ანიჭებს ამსმპ-ს, ჩათვალოს აღნიშნული
 1416 ტოკენის წარდგენა მომხმარებლის მიერ გამოხატულ თანხმობად ანგარიშების გაცემაზე.

1417 ყველა სხვა შემთხვევაში, წინამდებარე დოკუმენტის ამ ვერსიის მიზნებისათვის ამსმპ-მა
 1418 **არავითარ შემთხვევაში** არ უნდა დააბრუნოს consentStatus=valid და მოითხოვოს მომხმარებლის
 1419 ავთენტიფიკაცია (10)-ის შესაბამისად (ერთი ან რამდენიმე ფაქტორით).

1420 9.2.1.2 თანხმობის ავტორიზაცია მომხმარებლის ავთენტიფიკაციის საფუძველზე
 1421 იმ შემთხვევაში, თუ ამსმპ-ს ესაჭიროება მომხმარებლის ავთენტიფიკაცია (მათ შორის
 1422 მომხმარებლის ძლიერი ავთენტიფიკაცია) თანხმობის დასადასტურებლად, აუცილებელია,
 1423 ამსმპ-მა იხელმძღვანელოს (10)-ით.

1424 მას შემდეგ, რაც მომხმარებელი გაივლის სათანადო ავთენტიფიკაციას, აუცილებელია ამსმპ-მა
 1425 მას გამოახატინოს თანხმობა (ამ პროცესს შეიძლება უსწრებდეს სმმ-ის მხრიდან ამსმპ-ს მხარეს
 1426 სათანადო ობიექტების არჩევა, თუ მოთხოვნილია ამსმპ-ში გამოსატყუი თანხმობა).
 1427 მოთხოვნები თანხმობის გამოსატყვის პროცესში ეკრანზე გამოსატყანი ინფორმაციის მიმართ
 1428 განისაზღვრება მე-10 თავით.

1429 9.2.1.3 თანხმობების ტექნიკური გაერთიანება
 1430 უმჯობესია, ამსმპ-მა არ მოსთხოვოს მმპ-ს მომხმარებლის ავთენტიფიკაცია და თანხმობის
 1431 გამოსატყვა თანხმობის მოთხოვნაზე, თუ დაკმაყოფილებულია ყველა შემდეგი პირობა:

- 1432 1) მმპ-ს უკვე მიღებული აქვს რამდენიმე თანხმობა, რომელთა გაერთიანება მოიცავს მმპ-ს
 1433 მიერ ამჟამად მოთხოვნილ თანხმობას;
- 1434 2) უკვე მიღებულ თანხმობათაგან თითოეულის ვადა და ჯერადობა უდრის ან აღემატება
 1435 მოთხოვნილი თანხმობის ვადას და ჯერადობას.

1436 თუ ამსმპ-ს აღნიშნული ფუნქციონალი აქვს რეალიზებული, აუცილებელია, ამსმპ-მა აღნიშნულ
 1437 თანხმობას მაინც უნდა მიაწიჭოს უნიკალური იდენტიფიკატორი ისევე, როგორც მიაწიჭებდა
 1438 ნებისმიერ სხვა თანხმობას.

1439

1440 9.2.2 თანხმობის სტატუსის სერვისი
 1441 გამოძახება:

1442 GET /v1/consents/{consentId}/status

1443 აღნიშნული მოთხოვნის მხარდაჭერა აუცილებელია. მოთხოვნის პარამეტრები და
 1444 დასაბრუნებელი მნიშვნელობები რეგულირდება (2)-ის 6.3.2 თავის მიხედვით, დამატებითი
 1445 მოთხოვნები მოცემულია წინამდებარე თავში.

1446 თუ თანხმობის მოთხოვნის რეგისტრაციისას გამოყენებული იქნა Authorization სათაური ან
 1447 მომხმარებელმა გაიარა ავთენტიფიკაცია ამ თანხმობის ფარგლებში, გამოძახებისას
 1448 Authorization სათაურის გამოყენება აუცილებელია.

1449 9.2.3 თანხმობის შესახებ დეტალური ინფორმაციის მიწოდების სერვისი
 1450 გამოძახება:

1451 GET /v1/consents/{consentId}

1452 აღნიშნული მოთხოვნის მხარდაჭერა აუცილებელია. მოთხოვნის პარამეტრები და
 1453 დასაბრუნებელი მნიშვნელობები რეგულირდება (2)-ის 6.3.3 თავის მიხედვით, დამატებითი
 1454 მოთხოვნები მოცემულია წინამდებარე თავში.

1455 გამოძახებისას Authorization სათაურის გამოყენება აუცილებელია. აუცილებელია, ტოკენი
1456 გაცემული იყოს მომხმარებლის ავთენტიფიკაციის საფუძველზე. თუ მმპ-მა მოითხოვა ამსმპ-ში
1457 გამოხატული თანხმობა, ტოკენი ვალუდურია მაგრამ მაგრამ თანხმობის გამოხატვის პროცესი
1458 დასრულებული არ არის, აუცილებელია ამსმპ-მა დააბრუნოს შეცდომა CONSENT_INVALID.

1459 აუცილებელია, მეთოდმა ყველა ბარათის ნომერი (თუ გამოიყენება) დააბრუნოს შენიღბულ
1460 მდგომარეობაში, მიუხედავად იმისა, ბარათის ნომერი გადაეცა pan თუ maskedPan
1461 მდგომარეობაში.

1462 როგორც წესი, მმპ გამოიძახებს აღნიშნულ სერვისს ამსმპ-ში გამოხატული თანხმობის
1463 ინფორმაციის მისაღებად (იხ. 9.1.2.2), ვინაიდან თანხმობის მოთხოვნის რეგისტრაციისას მმპ-
1464 სათვის ცნობილი არ იყო, რა საკითხებზე გამოხატა თანხმობა სმპ-მა ამსმპ-ში. თუ მმპ-მა სერვისი
1465 სვა ტიპის თანხმობისათვის გამოიძახა, აუცილებელია ამსმპ-მა დააბრუნოს იგივე დოკუმენტი,
1466 რაც თანხმობის დროს მიიღო და ერთადერთი პარამეტრი რომელიც შესაძლოა შეიცვალოს,
1467 არის validUntil, ამ დოკუმენტის 9.1.1.10 თავის შესაბამისად.

1468 როდესაც სმპ-ის ავთენტიფიკაციისას გამოიყენება განცალკევებული (Decoupled)
1469 ავთენტიფიკაციის მეთოდი (10) -ის მიხედვით, უმჯობესია მმპ-მა ჯერ გამოიძახოს სტატუსის
1470 სერვისი (იხ. 9.2.2), და ამ გზით დაიზოგოს ტრაფიკი ამსმპ-სა და მმპ-ს შორის.

1471

1472 9.2.4 თანხმობის გაუქმების სერვისი

1473 გამოძახება:

1474 DELETE /v1/consents/{consentId}

1475 აღნიშნული მოთხოვნის მხარდაჭერა აუცილებელია. მოთხოვნის პარამეტრები და
1476 დასაბრუნებელი მნიშვნელობები რეგულირდება (2)-ის 6.4 თავის მიხედვით, დამატებითი
1477 მოთხოვნები მოცემულია წინამდებარე თავში.

1478 თუ თანხმობის მოთხოვნის რეგისტრაციისას გამოყენებული იქნა Authorization სათაური ან
1479 მომხმარებელმა გაიარა ავთენტიფიკაცია ამ თანხმობის ფარგლებში, გამოძახებისას
1480 Authorization სათაურის გამოყენება აუცილებელია.

1481 9.3 დია ბანკინგის ანგარიშების ინფორმაციის სერვისები

1482 9.3.1 თანხმობა და ავტორიზაცია

1483 აუცილებელია, ყველა სერვისს გადაეცემოდეს Authorization და Consent-ID სათაურები.

1484 აუცილებელია, Authorization სათაურში გადმოცემული Bearer ტოკენი იყოს იგივე, რაც
1485 გამოყენებული იქნა Consent-ID სათაურში მითებული თანხმობის დადასტურებისას, თუ
1486 აღნიშნული ტოკენი მოქმედია. ხოლო ტოკენის ვადის გასვლის შემთხვევაში აუცილებელია,
1487 Authorization სათაურში გადაეცეს იგივე ტოკენის Refresh Token-ით გახანგრძლივების შედეგი.

1488 იმ შემთხვევაში, თუ თანხმობის მასშტაბი არასაკმარისია მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად,
1489 აუცილებელია გამოძახებამ დააბრუნოს CONSENT_INVALID და არა „შემცირებული“ დოკუმენტი
1490 მნიშვნელობა (მაგ. თუ თანხმობა არაა გაცემული ნაშთების დაბრუნებაზე, withBalance
1491 პარამეტრის გამოყენება უნდა დასრულდეს CONSENT_INVALID ტიპის შეცდომით).

1492

1493

1494 9.3.2 ანგარიშის ნომრების ტოკენიზაცია

1495 **აუცილებელია**, ResourceID მნიშვნელობები (იხ. (2) თავი 14.19) იყოს ტოკენიზებული, უნიკალური
1496 ტოკენებით, რათა URI-ებიდან არ მოხდეს ანგარიშის ნომრების გაჟონვა.

1497 **აუცილებელია**, ტოკენიზაციის პროცესში გამოყენებული იყოს ცალმხრივი ალგორითმი, რათა
1498 გამოირიცხოს ტოკენიდან ანგარიშის რაიმე მახასიათებლის აღდგენა. **რეკომენდებულია**
1499 ტოკენის ჩაწერის ფორმად UUID-ის (იხ. (16)) გამოყენება.

1500 **რეკომენდებულია** ამსმპ-მ გამოიყენოს დროებითი ტოკენები. თუმცა ამ შემთხვევაში
1501 **აუცილებელია** თითოეული ტოკენი ძალაში დარჩეს იმ თანხმობის მოქმედების ვადის
1502 ამოწურვამდე, რომლის ფარგლებშიც აღნიშნული ტოკენი იქნა შექმნილი ან/და გამოყენებული.

1503

1504 9.3.3 ანგარიშების სია

1505 გამოძახება:

1506 GET /v1/accounts {query-parameters}

1507 აღნიშნული მოთხოვნის მხარდაჭერა **აუცილებელია**. მოთხოვნის პარამეტრები და
1508 დასაბრუნებელი მნიშვნელობები რეგულირდება (2)-ის 6.5.1 თავის მიხედვით, დამატებითი
1509 მოთხოვნები მოცემულია წინამდებარე თავში.

1510 თუ Consent-ID სათაურში გადაცემული იდენტიფიკატორი მიუთითებს გამოსადეგი ანგარიშების
1511 თანხმობაზე (იხ. 9.1.2.3 თავი), **აუცილებელია** ამსმპ-მა დააბრუნოს ყველა გამოსადეგი ანგარიში.
1512 სხვა შემთხვევაში **აუცილებელია**, ინფორმაცია დაბრუნდეს ხელმისაწვდომ ანგარიშებზე,
1513 რომელზე გაცემული იყო თანხმობა.

1514

სახელი	ტიპი	აუცილებლობა	კომენტარი
resourceId	String	პირობითი	- გამოსადეგი ანგარიშების სიაში ეს ველი შესაძლოა არ დაბრუნდეს. აუცილებელია ამ ველის დაბრუნება ხელმისაწვდომი ანგარიშების სიაში აუცილებელია ველის მნიშვნელობა იყოს უნიკალური თითოეული ჩანაწერისათვის (მათ შორის, მულტისავალუტო ანგარიშის შემთხვევაში „აგრეგირებულ“ და

			„ქვეანგარიშ“ ჩანაწერებს ჰქონდეთ სხვადასხვა იდენტიფიკატორი აუცილებელია მნიშვნელობა დარჩეს უცვლელი სულ მცირე იმ თანხმობის ფარგლებში, რომელშიც იგი დაბრუნდა
iban	IBAN	სავალდებულო	
bban	BBAN	არავითარ შემთხვევაში	
msisdn	Max35Text	პირობითი	თუ ამსმზ მხარს უჭერს გადახდის ინიცირებაში ანგარიშის იდენტიფიკაციას ტელეფონის ნომრით, შესაძლოა ამ ველის დაბრუნება იმ ანგარიშებისათვის, რომელზეც მოხდება თანხის ჩარიცხვა მხოლოდ ტელეფონის ნომრის საშუალებით (ანგარიშის ნომრის მითითების გარეშე) მიმღების იდენტიფიცირებისას.
currency	Currency Code	სავალდებულო	მულტისავალუტო ანგარიშებზე აუცილებელია დაბრუნდეს XXX
ownerName	Max140Text	პირობითი	აუცილებელია დაბრუნდეს იმ შემთხვევაში, როდესაც ცხადად არის თანხმობა გამოხატული ანგარიშის მფლობელის სახელის დაბრუნებაზე Error! Reference source not found. -ის შესაბამისად. თუ აღნიშნული თანხმობა ცხადად არ არის გამოხატული, ველი არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაბრუნდეს.
name	Max70Text	პირობითი	აუცილებელია ამ ველის დაბრუნება იმ შემთხვევაში, როცა displayName არის ცარიელი.
displayName	Max70Text	პირობითი	აუცილებელია ამ ველის დაბრუნება, თუ სმმ-მა ამსმზ-ს რომელიმე არხში განსაზღვრა აღნიშნული სახელი. როდესაც სახელი განსაზღვრულია რამდენიმე არხში, აუცილებელია უპირატესობა მიენიჭოს ინტერნეტ ან მობილბანკში განსაზღვრულ სახელს.
product	Max35Text	არააუცილებელი	

cashAccount Type	Cash Account Type	სავალდებულო	წინამდებარე დოკუმენტის ამ ვერსიის მიზნებისათვის უმჯობესია გამოყენებული იქნას მხოლოდ CACC და CARD მნიშვნელობები. აუცილებელია CARD დაბრუნდეს ღია ბანკინგის ანგარიშზე, თუ ამ ანგარიშზე მიბმულია ან ოდესმე ყოფილა მიბმული პლასტიკური ბარათი.
status	String	პირობითი	აუცილებელია დაბრუნდეს blocked, თუ ანგარიშის გამოყენება შეზღუდულია რაიმე მიზეზით (მაგ. ყადაღის). - თუ ამსმპ სმმს საკუთარ სხვა ონლაინ არხებში უჩვენებს დახურულ ანგარიშებსაც, აუცილებელია აღნიშნული ანგარიშები დაბრუნდეს deleted სტატუსით. - სხვა შემთხვევაში ველის დაბრუნება არააუცილებელია
bic	BICFI	სავალდებულო	
linkedAccounts	Max70Text	არავითარ შემთხვევაში	
usage	Max4Text	პირობითი	აუცილებელია დაბრუნდეს იმ შემთხვევაში, თუ ამსმპ-ს შეუძლია ცალსახად განსაზღვროს ანგარიშის ტიპი - PRIV - ფიზიკური პირის ანგარიში - ORGA - ინდმეწარმის ან იურიდიული პირის ანგარიში თუ ამსმპ-ს არ შეუძლია დანამდვილებით განსაზღვროს ამ ველის მნიშვნელობა, იგი არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაბრუნდეს
details	Max500 Text	პირობითი	აუცილებელია ამ ველის დაბრუნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ანგარიშის სტატუსი არის blocked და ამ შემთხვევაში აუცილებელია ის

			გამოყენებული იქნას ბლოკირების მიზეზის მისათითებლად. • სხვა შემთხვევაში ველი არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაბრუნდეს.
balances	Balances მასივი	პირობითი	• თუ მეთოდი გამოძახებულია პარამეტრით withBalance=true და არსებობს შესაბამისი თანხმობა, ველის დაბრუნება აუცილებელია. თუ withBalance=false ან ეს პარამეტრი გადაცემული არ არის, ველი balances არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაბრუნდეს • როდესაც balances ელემენტი ბრუნდება, აუცილებელია დაბრუნდეს სულ მცირე ერთი interim ტიპის ნაშთი balances სტრუქტურის შიგნით. უმჯობესია ეს იყოს interimAvailable.
_links	Links	პირობითი	• გამოსადეგი ანგარიშების სიის შემთხვევაში შესაძლოა ამსმპ-მა დააბრუნოს ჰიპერბმული ნაშთებზე, შესაბამისი თანხმობის არსებობის შემთხვევაში. • ხელმისაწვდომი ანგარიშების სიის შემთხვევაში შესაძლოა ამსმპ-მა დააბრუნოს ჰიპერბმულები ნაშთებსა და ტრანზაქციებზე მხოლოდ შესაბამისი თანხმობის არსებობის შემთხვევაში. შესაძლოა ამსმპ-მა დააბრუნოს ჰიპერბმული ანგარიშის დეტალებზე • თუ ღია ბანკინგის ანგარიში ასევე მონაწილეობს საბარათე ანგარიშში, აუცილებელია დაბრუნდეს cardAccount ტიპის ჰიპერბმული აღნიშნულ საბარათე ანგარიშზე. ჰიპერბმული არავითარ შემთხვევაში არ უნდა ამჟღავნებდეს ბარათის ან ღია ბანკინგის ანგარიშის ნომერს და აუცილებელია იგი იყოს მუდმივი

			მიმდინარე თანხმობის მოქმედების ვადის განმავლობაში.
--	--	--	--

1515 ცხრილი 9: ანგარიშების სიის ველები

1516 ამსმპ-მა ინფორმაციის დაბრუნებისას **არავითარ შემთხვევაში** არ უნდა დააბრუნოს ის
1517 დეტალური ინფორმაცია, რომლის გაცემაზე თანხმობა გამოხატული არ ყოფილა Consent-ID
1518 სათაურში გადმოცემული მნიშვნელობით მითითებულ თანხმობაში. ქვემოთ მოცემული სია
1519 მიუთითებს რამდენიმე მაგალითზე:

1520 1. ამსმპ-მა **არავითარ შემთხვევაში** არ უნდა დააბრუნოს balances ელემენტები გამოსადეგ
1521 ანგარიშზე, თუ გაცემული თანხმობა არ არის availableAccountsWithBalance ტიპის (ანუ
1522 არის availableAccounts ტიპის).

1523 2. ამსმპ-მა **არავითარ შემთხვევაში** არ უნდა დააბრუნოს transactions ელემენტები
1524 გამოსადეგ ანგარიშებზე, თუ მოთხოვნილი არ არის გამოსადეგი ანგარიშები
1525 ტრანზაქციებით.

1526 3. ამსმპ-მა **არავითარ შემთხვევაში** არ უნდა დააბრუნოს balances ელემენტი
1527 ხელმისაწვდომ ანგარიშზე, თუ აღნიშნულ ანგარიშზე ნაშთების გაცემაზე თანხმობა
1528 ცხადად არ ყოფილა გამოხატული (იხ. 9.1.2.1 და 9.1.2.2 თავი). იგივე წესი ვრცელდება
1529 ტრანზაქციებსა და ანგარიშის მფლობელის სახელზეც.

1530 4. თუ ანგარიში მულტისავალუტოა და თანხმობა გაცემულია მულტისავალუტო ანგარიშის
1531 დონეზე, **აუცილებელია**, დაბრუნდეს როგორც სავალუტო „ქვეანგარიშები“, ისე თავად
1532 მულტისავალუტო ანგარიშის შესახებ ინფორმაცია (ე.წ. „აგრეგირებული ჩანაწერი“).
1533 **აუცილებელია**, მულტისავალუტო ანგარიშის ვალუტაში მითითებული იყოს “XXX”.

1534 5. თუ ანგარიში მულტისავალუტოა და თანხმობა გაცემულია არა მთლიანად ამ ანგარიშზე,
1535 არამედ მის შესაბამის ერთ ან რამდენიმე ვალუტაზე, მულტისავალუტო ანგარიშის
1536 ინფორმაცია **არავითარ შემთხვევაში** არ უნდა დაბრუნდეს.

1537 6. შესაბამისი თანხმობის არსებობის შემთხვევაში ჰიპერბმულის დაბრუნება
1538 **აუცილებელია** ნაშთებისთვისაც და ტრანზაქციებისთვისაც (**შენიშვნა:** წინამდებარე
1539 დოკუმენტით განსაზღვრულია შემთხვევები როდესაც ნაშთების გამოთხოვა ხდება
1540 გამოსადეგ ანგარიშებზეც).

1541

1542 როდესაც ამ თავის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად ამსმპ აბრუნებს რამდენიმე ჩანაწერს
1543 მულტისავალუტო ანგარიშთან დაკავშირებით, **აუცილებელია**, ყველა მათგანს ჰქონდეს
1544 განსახვავებული მნიშვნელობა resourceId ველში.

1545 ამსმპ-სათვის გასაგზავნი ინფორმაციის და დასაბრუნებელი პასუხების მაგალითები მოცემულია
1546 (2)-ის 6.5.1 თავში.

1547

1548 9.3.4 ანგარიშის დეტალები

1549 გამოძახება:

1550 GET /v1/accounts/{account-id} {query-parameters}

1551 აღნიშნული მოთხოვნის მხარდაჭერა **აუცილებელია**. მოთხოვნის პარამეტრები და
1552 დასაბრუნებელი მნიშვნელობები რეგულირდება (2)-ის 6.5.2 თავის მიხედვით, დამატებითი
1553 მოთხოვნები მოცემულია წინამდებარე თავში.

1554 **აუცილებელია**, მხარდაჭერილი იყოს ის შემთხვევა, როდესაც მოთხოვნისას account-id
1555 პარამეტრში გადაეცემა ანგარიშების სიის მიერ (იხ. 9.3.3 თავი) დაბრუნებული resourceId
1556 მნიშვნელობა.

1557 თუ ანგარიში მულტისავალუტოა, **აუცილებელია** ვალუტაში ამსმპ-მა დააბრუნოს XXX, როგორც
1558 ეს მოთხოვნილია (2)-ით.

1559 ამსმპ-მა **არავითარ შემთხვევაში** არ უნდა დააბრუნოს balances ჰიპერბმული, თუ Consent-ID
1560 სათაურში გადაცემული იდენტიფიკატორი არ მიუთითებს ნაშთების გაცემასთან დაკავშირებულ
1561 თანხმობაზე. იგივე ეხება transactions ჰიპერბმულს და დამატებით ინფორმაციას. თანხმობის
1562 არსებობის შემთხვევაში ჰიპერბმულის დაბრუნება **აუცილებელია**.

1563 **აუცილებელია**, ყველა იმ ანგარიშისათვის, რომელზეც ნაშთის ცვლილებაც შესაძლებელია
1564 მოხდეს ელექტრონული არხებით (მათ შორის საბარათო ოპერაციების მეშვეობით), ანგარიშების
1565 დეტალებში დაბრუნდეს balances ელემენტი, თუ თანხმობა ითვალისწინებს ნაშთის
1566 ინფორმაციის გაცემასაც. ასეთი ანგარიშებისათვის **აუცილებელია**, სულ მცირე, შემდეგი ნაშთის
1567 ტიპების დაბრუნება balances ელემენტის შიგნით: interimAvailable, interimBooked.
1568 სურვილისამებრ, **შესაძლოა** ამსმპ-მა ამ ელემენტში სხვა ნაშთებიც დააბრუნოს.

1569

სახელი	ტიპი	აუცილებლობა	კომენტარი
resourceId	String	სავალდებულო	
iban	IBAN	სავალდებულო	
bban	BBAN	არავითარ შემთხვევაში	
msisdn	Max35Text		თუ ამსმპ მხარს უჭერს გადახდის ინიცირებაში ანგარიშის იდენტიფიკაციას ტელეფონის ნომრით, აუცილებელია ამ ველის დაბრუნება იმ ანგარიშებისათვის, რომელზეც მოხდება თანხის ჩარიცხვა მხოლოდ ტელეფონის ნომრის საშუალებით (ანგარიშის ნომრის მითითების გარეშე) მიმღების იდენტიფიცირებისას.
currency	Currency Code	სავალდებულო	მულტისავალუტო ანგარიშებზე აუცილებელია დაბრუნდეს XXX.
ownerName	Max140Text	პირობითი	აუცილებელია დაბრუნდეს იმ შემთხვევაში, როდესაც ცხადად არის თანხმობა

			გამოხატული ანგარიშის მფლობელის სახელის დაბრუნებაზე Error! Reference source not found. -ის შესაბამისად. თუ აღნიშნული თანხმობა ცხადად არ არის გამოხატული, ველი არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაბრუნდეს.
ownerIdentification	PartyIdentification	პირობითი	// გადახვევა XS2A ჩარჩოდან აუცილებელია დაბრუნდეს იმ შემთხვევაში, როდესაც ცხადად არის თანხმობა გამოხატული ანგარიშის მფლობელის სახელის დაბრუნებაზე Error! Reference source not found. -ის შესაბამისად. თუ აღნიშნული თანხმობა ცხადად არ არის გამოხატული, ველი არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაბრუნდეს. აუცილებელია ველი შეივსოს ამ დოკუმენტის 7.6.1 თავით განსაზღვრული წესით
name	Max70Text	პირობითი	აუცილებელია ამ ველის დაბრუნება იმ შემთხვევაში, როცა displayName არის ცარიელი
displayName	Max70Text	პირობითი	აუცილებელია ამ ველის დაბრუნება, თუ სმმ-მა ამსმპ-ს რომელიმე არხში განსაზღვრა აღნიშნული სახელი. როდესაც სახელი განსაზღვრულია რამდენიმე არხში, აუცილებელია უპირატესობა მიენიჭოს ინტერნეტ ან მობილბანკში განსაზღვრულ სახელს.
product	Max35Text	სავალდებულო	
cashAccountType	Cash Account Type	სავალდებულო	წინამდებარე დოკუმენტის ამ ვერსიის მიზნებისათვის უმჯობესია გამოყენებული იქნას მხოლოდ CACC და CARD მნიშვნელობები. აუცილებელია CARD დაბრუნდეს ღია ბანკინგის ანგარიშზე, თუ ამ ანგარიშზე მიბმულია ან ოდესმე ყოფილა მიბმული საგადახდო ბარათი.
status	String	პირობითი	აუცილებელია დაბრუნდეს blocked, თუ ანგარიშის გამოყენება

			შეზღუდულია რაიმე მიზეზით (მაგ. ყადაღის). • თუ ამსმპ სმმს საკუთარ სხვა ონლაინ არხებში უჩვენებს დახურულ ანგარიშებსაც, აუცილებელია აღნიშნული ანგარიშები დაბრუნდეს deleted სტატუსით. • სხვა შემთხვევაში ველის დაბრუნება არააუცილებელია.
bic	BICFI	სავალდებულო	
linkedAccounts	Max70Text	არავითარ შემთხვევაში	
usage	Max4Text	პირობითი	აუცილებელია დაბრუნდეს იმ შემთხვევაში, თუ ამსმპ-ს შეუძლია ცალსახად განსაზღვროს ანგარიშის ტიპი • PRIV - ფიზიკური პირის ანგარიში • ORGA - ინდმეწარმის ან იურიდიული პირის ანგარიში თუ ამსმპ-ს არ შეუძლია დანამდვილებით განსაზღვროს ამ ველის მნიშვნელობა, იგი არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაბრუნდეს.
details	Max500 Text	პირობითი	აუცილებელია ამ ველის დაბრუნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ანგარიშის სტატუსი არის blocked და ამ შემთხვევაში აუცილებელია ის გამოყენებული იქნას ბლოკირების მიზეზის მისათითებლად. სხვა შემთხვევაში ველის მნიშვნელობა შეიძლება დაბრუნდეს ამსმპ-ს სურვილისამებრ, სმმ-ისთვის მეტი ინფორმაციის მისაწოდებლად.
balances	Balances მასივი	პირობითი	
_links	Links	პირობითი	• შესაძლოა ამსმპ-მა დააბრუნოს ჰიპერბმულები ნაშთებსა და ტრანზაქციებზე მხოლოდ შესაბამისი თანხმობის არსებობის შემთხვევაში.

			შესაძლოა ამსმპ-მა დააბრუნოს ჰიპერბმული ანგარიშის დეტალებზე • თუ ღია ბანკინგის ანგარიში ასევე მონაწილეობს საბარათე ანგარიშში, აუცილებელია დაბრუნდეს cardAccount ტიპის ჰიპერბმული აღნიშნულ საბარათე ანგარიშზე. ჰიპერბმული არავითარ შემთხვევაში არ უნდა ამჟღავნებდეს ბარათის ან ღია ბანკინგის ანგარიშის ნომერს და აუცილებელია იგი იყოს მუდმივი მიმდინარე თანხმობის მოქმედების ვადის განმავლობაში.
--	--	--	--

1570 ცხრილი 8: ანგარიშის იდენტიფიკატორები

1571 მულტისავალუტო ანგარიშზე აგრეგირებულ დონეზე (XXX) ნაშთების დაბრუნებისას
1572 **აუცილებელია** დაბრუნდეს თითოეული ვალუტის ნაშთი ცალ-ცალკე, შესაბამისი ვალუტის
1573 მითითებით.

1574

1575 9.3.5 ანგარიშის ნაშთი

1576 გამოძახება:

1577 GET /v1/accounts/{account-id}/balances {query-parameters}

1578 აღნიშნული მოთხოვნის მხარდაჭერა **აუცილებელია**. მოთხოვნის პარამეტრები და
1579 დასაბრუნებელი მნიშვნელობები რეგულირდება (2)-ის 6.5.3 თავის მიხედვით, დამატებითი
1580 მოთხოვნები მოცემულია წინამდებარე თავში.

1581 **აუცილებელია**, მხარდაჭერილი იყოს ის შემთხვევა, როდესაც მოთხოვნისას account-ID
1582 პარამეტრში გადაეცემა ანგარიშების სიის მიერ (იხ. 9.3.3 თავი) დაბრუნებული resourceId
1583 მნიშვნელობა.

1584 თუ ანგარიში მულტისავალუტოა, **აუცილებელია** ნაშთი დაბრუნდეს თითოეულ ვალუტაში, რაც
1585 განსაზღვრულია აღნიშნულ მულტისავალუტო ანგარიშზე.

1586 **აუცილებელია**, დაბრუნდეს, სულ მცირე, შემდეგი ნაშთის ტიპები: closingBooked და
1587 interimAvailable.

1588 **უმჯობესია**, ამსმპ-მა დააბრუნოს account ატრიბუტი, (2) -ის მომდევნო ვერსიების მხარდაჭერის
1589 მიზნით.

1590 მულტისავალუტო ანგარიშზე აგრეგირებულ დონეზე (XXX) ნაშთების დაბრუნებისას
1591 **აუცილებელია** დაბრუნდეს თითოეული ვალუტის ნაშთი ცალ-ცალკე, შესაბამისი ვალუტის
1592 მითითებით.

1593

1594

1595 9.3.6 ანგარიშის ტრანზაქციების სია

1596 გამოძახება:

1597 GET /v1/accounts/{account-id}/transactions {query-parameters}

1598 აღნიშნული მოთხოვნის მხარდაჭერა **აუცილებელია**. მოთხოვნის პარამეტრები და
1599 დასაბრუნებელი მნიშვნელობები რეგულირდება (2)-ის 6.5.4 თავის მიხედვით, დამატებითი
1600 მოთხოვნები მოცემულია წინამდებარე თავში.

1601 **აუცილებელია**, მხარდაჭერილი იყოს ის შემთხვევა, როდესაც მოთხოვნისას account-id
1602 პარამეტრში გადაეცემა ანგარიშების სიის მიერ (იხ. 9.3.3 თავი) დაბრუნებული resourceId
1603 მნიშვნელობა.

1604 თუ ანგარიში მულტისავალუტოა, **აუცილებელია** XXX ვალუტის შესაბამისი resourceId-ს
1605 გადაცემისას ამსმპ-მა დააბრუნოს ტრანზაქციები ყველა „ქვეანგარიშზე“, ხოლო კონკრეტული
1606 ვალუტის resourceId-ის შემთხვევაში ტრანზაქციები დაბრუნდეს კონკრეტული ვალუტის შესაბამის
1607 „ქვეანგარიშზე“.

1608 **აუცილებელია**, მხარდაჭერილი იყოს ტრანზაქციების სიის გამოძახება პარამეტრებით dateFrom
1609 და dateTo.

1610 **უმჯობესია**, მხარდაჭერილი იყოს ტრანზაქციების სიის გამოძახების ის ვარიანტი, როდესაც
1611 გადმოეცემა მხოლოდ dateFrom.

1612 **აუცილებელია**, მხარდაჭერილი იყოს ტრანზაქციების სიის ის ვარიანტი, როდესაც პარამეტრად
1613 არ გადმოეცემა dateFrom და გადმოეცემა entryReferenceFrom, ხოლო აღნიშნული მოთხოვნის
1614 საპასუხოდ ამსმპ დააბრუნებს ტრანზაქციებს, რომელიც მოხდა entryReferenceFrom -ით
1615 მითითებული ტრანზაქციის (ანუ ტრანზაქციის, რომელსაც დეტალებში entryReference ექნებოდა
1616 ამ პარამეტრის ტოლი, იხ 9.3.6.6 თავი) შემდეგ.

1617 **შენიშვნა:** რეალურად entryReferenceFrom პარამეტრის გადმოცემა გულისხმობს საწყისი
1618 თარიღის მითითებასაც, ვინაიდან ამ პარამეტრში გადმოცემული იდენტიფიკატორი ცალსახად
1619 მიუთითებს კონკრეტულ ტრანზაქციაზე, რომელიც კონკრეტულ თარიღშია შესრულებული.

1620 **აუცილებელია** ამსმპ-ს ჰქონდეს პარამეტრი dateTo-ს მხარდაჭერა (ტრანზაქციების მოთხოვნა
1621 მითითებულ თარიღამდე), თუმცა აღნიშნული პარამეტრის გადაცემა გამოძახებისას უნდა იყოს
1622 **არააუცილებელი**, და თუ იგი მითითებული არ არის, **აუცილებელია** ამსმპ-მა ჩათვალოს, რომ
1623 მმპ ტრანზაქციებს ითხოვს მიმდინარე დრომდე (ტრანზაქციების სიის გამოძახების მომენტამდე
1624 და არა ბოლო პორციის გამოძახების მომენტამდე).

1625 **აუცილებელია**, მხარდაჭერილი იყოს booked, pending და both მნიშვნელობები bookingStatus
1626 პარამეტრში, სერვისის გამოძახებისას. მნიშვნელობა information-ის მხარდაჭერა
1627 **არააუცილებელია**.

1628 თუ dateTo პარამეტრი მითითებული არ არის, ან მითითებულია ისე რომ dateFrom - dateTo
1629 დიაპაზონში მიმდინარე საბანკო დღეც იგულისხმება, **აუცილებელია**, booked სტატუსის
1630 ტრანზაქციების სიაში ამსმპ ასევე აბრუნებდეს ისეთ ტრანზაქციებსაც, რომლებზედაც

1631 დანამდვილებით ცნობილია, რომ ისინი გატარდებიან მიმდინარე საბანკო დღეში (ანუ დახურვის
1632 შემდეგ ისინი აისახება ამ დღის საბანკო ამონაწერში).

1633 **შენიშვნა:** როგორც წესი, საბარათე ავტორიზაციები არ ტარდება იმავე საბანკო დღეში,
1634 რომელშიც ხდება ავტორიზაცია, რაც ნიშნავს იმას რომ ისინი არც booked სიაში მოხვდებიან და
1635 booked სიაში მათ მოხვედრას უზრუნველყოფს ტრანზაქციის ინფორმაციის მოსვლა საბარათე
1636 სისტემიდან.

1637 თუ თანხმობა გამოცხადებულია ნაშთების მიწოდებაზე და მოთხოვნილი არ არის
1638 bookingStatus=information, **აუცილებელია** პასუხში დაბრუნდეს balances სექცია და იგი
1639 დაფორმირდეს ამ დოკუმენტის შესაბამისი ქვეთავების მოთხოვნების დაცვით.

1640 თუ გამოძახების მომენტში თანხმობა მოქმედია, ამსმპ-მა მმპ-ს **არავითარ შემთხვევაში** არ უნდა
1641 შეუზღუდოს ისტორიული ტრანზაქციების გამოთხოვა ამ თანხმობის გაცემის თარიღით -
1642 ისტორიული ტრანზაქციების გამოთხოვის უადრესი ვადა განისაზღვრება მხოლოდ
1643 მარეგულირებელი კანონმდებლობით და არა წინამდებარე დოკუმენტით.

1644 თუ თანხმობა მოქმედი არ არის, ამსმპ-მა **არავითარ შემთხვევაში** არ უნდა დააბრუნოს
1645 მონაცემები (გამოძახება უნდა დასრულდეს CONSENT_EXPIRED შეცდომით), მიუხედავად იმისა,
1646 ტრანზაქციების მოთხოვნილი დიაპაზონი ჯდება თუ არა აღნიშნული თანხმობის აქტიურად
1647 ყოფნის დიაპაზონში.

1648

1649 *9.3.6.1 ტრანზაქციების ინფორმაციის დაყოფა პორციებად*

1650 თუ დასაბრუნებელი ტრანზაქციების საერთო რაოდენობა აღემატება 50-ს, **აუცილებელია** ამსმპ-
1651 მა პასუხი დააბრუნონ დანაწილებული ფორმით. **შესაძლოა** მმპ და ამსმპ ხელშეკრულების
1652 საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შეთანხმდნენ აღნიშნული მოთხოვნის
1653 გაუქმებაზე ან ლიმიტის შეცვლაზე.

1654 **აუცილებელია**, ამსმპ-მა მხარი დაუჭიროს დანაწილებული ფორმით პასუხის დაბრუნების სულ
1655 მცირე შემდეგ სცენარს:

1656 1) პორციაში იყოს 50 ან უფრო ნაკლები ტრანზაქცია.

1657 2) პირველი პორციისათვის ჰიპერბმულების სექციაში (_links) მითითებულია first და next
1658 ტიპის ჰიპერბმულები.

1659 3) შუალედური (არც პირველი, არც უკანასკნელი) პორციისათვის ჰიპერბმულების სექციაში
1660 მითითებულია first და next ჰიპერბმულები.

1661 4) ბოლო პორციისათვის ჰიპერბმულების სექციაში მითითებულია მხოლოდ first
1662 ჰიპერბმული.

1663 5) ჰიპერბმული first ყველა შემთხვევაში მიუთითებს ზუსტად იგივე მისამართს, რა
1664 მისამართის გამოყენებითაც მოხდა ტრანზაქციების სიის გამოძახება.

1665 **უმჯობესია**, next ჰიპერბმულში, რომელსაც მმპ-ს დაუბრუნებს, ამსმპ-მა საკუთარი სერვისის
1666 გამოსაძახებლად გამოიყენოს entryReferenceFrom პარამეტრი.

1667 **შესაძლოა** entryReferenceFrom პარამეტრი მითითებული იყოს dateFrom და dateTo
1668 პარამეტრებთან (ან ერთ-ერთ მათგანთან) ერთობლიობაში. ამ შემთხვევაში **აუცილებელია**
1669 ამსმპ-მა დააბრუნოს ტრანზაქციები პარამეტრ(ებ)ით მითითებულ დიაპაზონში.

1670 **აუცილებელია** entryReferenceFrom პარამეტრი გაგებული იქნას როგორც „ტრანზაქციები ამ
1671 იდენტიფიკატორით მითითებული ტრანზაქციის შემდეგ“, ანუ სიაში არავითარ შემთხვევაში არ
1672 უნდა დაბრუნდეს ის ტრანზაქცია, რომლის entryReference იდენტიფიკატორი უდრის
1673 entryReferenceFrom პარამეტრში გადაცემულ მნიშვნელობას.

1674 იმ შემთხვევაში, თუ entryReferenceFrom პარამეტრში გადაცემული ტრანზაქციის სტატუსი,
1675 შესაბამისი იდენტიფიკატორის დაბრუნების მომენტში იყო booked და ეს ტრანზაქცია ან ამ
1676 ტრანზაქციის წინამორბედი booked ტიპის ტრანზაქცია რაიმე მიზეზით გაუქმდა ან სტატუსი
1677 შეეცვალა (აღნიშნული პრაქტიკა წინამდებარე დოკუმენტის შექმნის მომენტისათვის არსებობს
1678 ზოგიერთი ამსმპ-ს შემთხვევაში), **აუცილებელია** ამსმპ-მა დააბრუნოს შეცდომა
1679 PARAMETER_NOT_CONSISTENT და მან **არავითარ შემთხვევაში** არ უნდა დაუბრუნოს იგივე
1680 იდენტიფიკატორები ამ მმპ-ს აღნიშნული თანხმობის ფარგლებში.. **უმჯობესია** ამსმპ-მა
1681 აღნიშნული პრაქტიკა არ გამოიყენოს ღია ბანკინგით გაზიარებული ანგარიშების შემთხვევაში.

1682 იმ შემთხვევაში, თუ entryReferenceFrom პარამეტრში გადაცემული ტრანზაქციის სტატუსი,
1683 შესაბამისი იდენტიფიკატორის დაბრუნების მომენტში იყო pending და ეს ტრანზაქცია გაუქმდა
1684 ან სტატუსი შეეცვალა, ამსმპ-მა **არავითარ შემთხვევაში** არ უნდა დააბრუნოს შეცდომა.
1685 **აუცილებელია** ტრანზაქციების სიაში დაბრუნდეს ის ტრანზაქციები, რომლებიც განხორციელდა
1686 აღნიშნული ტრანზაქციის შემდეგ (ანუ ისე, თითქოს აღნიშნული ტრანზაქცია არ გაუქმებულიყო).

1687 **შენიშვნა:** იმისათვის, რომ ამსმპ-ს არ დასჭირდეს მმპ-სათვის უკვე დაბრუნებული
1688 იდენტიფიკატორის ტრეკინგი, შესაძლოა entryReference იდენტიფიკატორში გამოიყენებოდეს
1689 ღროის მითითება მილიწამებით, მონაცემთა ბაზის ცხრილის ჩანაწერის უნიკალური
1690 იდენტიფიკატორი (ან, თუ ინფორმაცია რამდენიმე ცხრილიდან მოდის - იდენტიფიკატორებს
1691 შორის მაქსიმუმი) ან ნებისმიერი სხვა სიდიდე ამსმპ-ს შეხედულებისამებრ.

1692 **შენიშვნა:** იმისათვის, რომ შესაძლებელი გახდეს booked ტიპის ტრანზაქციების შემთხვევაში
1693 entryReference მონაცემის გაუქმება, ამსმპ-ს შეუძლია აღნიშნულ მნიშვნელობაში რომელიმე
1694 პოზიციაში გაითვალისწინოს, მაგალითად, „ვერსია“, ანუ რიცხვი რომელიც გაიზრდება ყოველ
1695 ჯერზე როდესაც ამ ანგარიშზე გატარებული booked ტიპის ტრანზაქცია გაუქმდება.

1696 მმპ-მა **არავითარ შემთხვევაში** არ უნდა დააგენერიროს entryReferenceFrom პარამეტრის
1697 მნიშვნელობა დამოუკიდებლად. **აუცილებელია** იგი დაეყრდნოს ამსმპ-ს მიერ დაბრუნებულ
1698 მნიშვნელობებს.

1699

1700 *9.3.6.2 ნაშთების ინფორმაციის დაბრუნება ტრანზაქციების სიაში booked ტიპის ტრანზაქციების*
1701 *მოთხოვნისას*

1702 **აუცილებელია** ამსმპ-მა დააღაგოს booked ტიპის ტრანზაქციები bookingDate ველის
1703 ზრდადობით ან კლებადობით. **შესაძლოა** ამსმპ და მმპ შეთანხმდნენ დალაგების კონკრეტულ
1704 მიმდევრობაზე.

1705 **შენიშვნა:** ამ თავში გათვალისწინებული მოთხოვნები ეყრდნობა იმ დაშვებას, რომ ამსმპ
 1706 ტრანზაქციებს აბრუნებს თარიღის ზრდადობით, ანუ პირველ პორციაში ყველაზე ძველი
 1707 ტრანზაქცია, ხოლო ბოლოში - ყველაზე ახალი. თუ ამსმპ ამის ნაცვლად ტრანზაქციებს
 1708 შებრუნებული მიმდევრობით აბრუნებს, მაშინ ამ თავის მოთხოვნები „პირველი“ და „ბოლო“
 1709 პორციის მიმართ უნდა შეტრიალდეს.

1710 თუ მოთხოვნილია “booked” ტიპის ტრანზაქციებისა და ნაშთების შესახებ ინფორმაცია,
 1711 **აუცილებელია** ტრანზაქციების სიაში მონაცემები საწყისი და საბოლოო თარიღის ნაშთების
 1712 შესახებ დაბრუნდეს შემდეგი ცხრილის შესაბამისად

1713

საწყისი თარიღი			
პორცია	პირველი	შუალედური	ბოლო
ნაშთის ტიპი	OpeningBooked	OpeningBooked	OpeningBooked
საბოლოო თარიღი, თუ იგი მიუთითებს დახურულ საბანკო დღეს			
პორცია	პირველი	შუალედური	ბოლო
ნაშთის ტიპი	ClosingBooked	ClosingBooked	ClosingBooked
საბოლოო თარიღი, თუ იგი მიუთითებს ღია საბანკო დღეს (მიუხედავად იმისა, ემთხვევა თუ არა იგი მიმდინარე კალენდარულ დღეს)			
პორცია	პირველი	შუალედური	ბოლო
ნაშთის ტიპი			InterimBooked
საბოლოო თარიღი, თუ იგი მიუთითებს ღია საბანკო დღეს და (იმ შემთხვევაში, როცა იგი ემთხვევა მიმდინარე კალენდარულ დღეს)			
პორცია	პირველი	შუალედური	ბოლო
ნაშთის ტიპი			InterimAvailable

1714 ცხრილი 9: სავალდებულოდ დასაბრუნებელი ნაშთის ტიპები ტრანზაქციების პორციებით გამოძახებისას, booked
 1715 ტრანზაქციების შემთხვევაში

1716 **აუცილებელია**, ყველა *Booked ტიპის ნაშთს მოჰყვებოდეს , "referenceDate" ატრიბუტი,
 1717 რომელიც მიუთითებს შესაბამის საბანკო დღეს.

1718 **აუცილებელია**, ყველა Interim* ტიპის ნაშთს მოჰყვებოდეს “lastChangeDateTime” ატრიბუტი,
 1719 რომელიც მიუთითებს ანგარიშზე იმ უკანასკნელი ოპერაციის თარიღს და დროს, რომელიც
 1720 ბანკისთვის ცნობილი იყო პირველი პორციის გენერაციის მომენტში. ტრანზაქციების სიის
 1721 არცერთ პორციაში **არავითარ შემთხვევაში** არ უნდა დაბრუნდეს ისეთი ტრანზაქციები,
 1722 რომელთა ჩატარების დრო ამ ნაშთების გამოთვლის დროზე გვიანდელია.

1723 **აუცილებელია**, თითოეულ პორციაში დაბრუნდეს closingBooked ტიპის ნაშთი ყველა შუალედური
 1724 საბანკო დღისათვის (ანუ დღისთვის, რომელიც არც საწყისი თარიღია და არც საბოლოო),
 1725 შემდეგი პრინციპით:

1726 1) თუ აღნიშნული დღისთვის ტრანზაქციები ასევე იქნება შემდეგ პორციაში, closingBooked
 1727 ტიპის ნაშთი **არავითარ შემთხვევაში** არ უნდა დაბრუნდეს

1728 2) თუ აღნიშნული დღისთვის ტრანზაქციები აღარ იქნება შემდეგ პორციაში, **აუცილებელია**
 1729 closingBooked ტიპის ნაშთების დაბრუნება.

1730 **შენიშვნა:** ამრიგად, შუალედური საბანკო დღის ნაშთების დაბრუნება ხდება ფურცელზე
 1731 დაბეჭდილი კლასიკური საბანკო ამონაწერის მსგავსად ტრადიციულად, შუალედური დღის
 1732 გამოძახალი ნაშთი იბეჭდებოდა იმ ფურცელზე, რომელზეც აღნიშნული დღის ტრანზაქციები
 1733 დასრულდებოდა. ამ შემთხვევაში კი ფურცლის როლს ასრულებს პორცია.

1734 **შესაძლოა** ამსმპ-მა ტრანზაქციების სიაში დამატებით დააბრუნოს სხვა ტიპის ნაშთებიც,
 1735 საკუთარი შეხედულებისამებრ ან მმპ-სთან შეთანხმებით. თუ ამსმპ-ს ან მმპ-ს გააჩნია
 1736 მხარდაჭერა ტრანზაქციების სიის გამოძახებისას ტრანზაქციის შედეგად არსებული ნაშთების
 1737 გამოთხოვისა (balanceAfterTransaction ატრიბუტი), მაშინ გამოძახების საპასუხოდ უნდა
 1738 დაბრუნდეს InterimBooked ნაშთი.

1739

1740 *9.3.6.3 ნაშთების ინფორმაციის დაბრუნება ტრანზაქციების სიაში pending ტიპის ტრანზაქციების*
 1741 *მოთხოვნისას*

1742 **აუცილებელია** ამსმპ-მა დააღაგოს pending ტიპის ტრანზაქციები თანხის ბლოკირების თარიღის
 1743 და დროის ზრდადობით ან კლებადობით. **შესაძლოა** ამსმპ და მმპ შეთანხმდნენ დალაგების
 1744 კონკრეტულ მიმდევრობაზე.

1745 **შენიშვნა:** ამ თავში გათვალისწინებული მოთხოვნები ეყრდნობა იმ დაშვებას, რომ ამსმპ
 1746 ტრანზაქციებს აბრუნებს თარიღის და დროის ზრდადობით, ანუ პირველ პორციაში ყველაზე
 1747 ძველი ტრანზაქცია, ხოლო ბოლოში - ყველაზე ახალი. თუ ამსმპ ამის ნაცვლად
 1748 ტრანზაქციებს შებრუნებული მიმდევრობით აბრუნებს, მაშინ ამ თავის მოთხოვნები „პირველი“
 1749 და „ბოლო“ პორციის მიმართ უნდა შეტრიალდეს.

1750 თუ მოთხოვნილია “pending” ტიპის ტრანზაქციებისა და ნაშთების შესახებ ინფორმაცია, ბოლო
 1751 პორციაში **აუცილებელია** ტრანზაქციებთან ერთად დაბრუნდეს InterimAvailable ტიპის ნაშთი და
 1752 **უმჯობესია** ასევე დაბრუნდეს Expected ტიპის ნაშთი, ნაშთის ბოლო ცვლილების თარიღის და
 1753 დროის მითითებით (“lastChangeDateTime” ატრიბუტი). ტრანზაქციების სიის არც ერთ პორციაში
 1754 **არავითარ შემთხვევაში** არ უნდა იყოს მოცემული ტრანზაქცია, რომლის ჩატარების დრო
 1755 ნაშთის დროზე გვიანდელია.

1756 **შესაძლოა** ამსმპ-მა ტრანზაქციების სიაში დამატებით დააბრუნოს სხვა ტიპის ნაშთებიც,
 1757 საკუთარი შეხედულებისამებრ ან მმპ-თან შეთანხმებით. თუ ამსმპ-ს ან მმპ-ს გააჩნია
 1758 მხარდაჭერა ტრანზაქციების სიის გამოძახებისას ტრანზაქციის შედეგად არსებული ნაშთების
 1759 გამოთხოვისა (balanceAfterTransaction ატრიბუტი), მაშინ გამოძახების საპასუხოდ უნდა
 1760 დაბრუნდეს InterimAvailable ნაშთი.

1761 *9.3.6.4 ნაშთების ინფორმაციის დაბრუნება ტრანზაქციების სიაში both ტიპის ტრანზაქციების*
 1762 *მოთხოვნისას*

1763 თუ ტრანზაქციების სიის გამოძახებისას მოთხოვნილია “both” ტიპის ტრანზაქციები,
 1764 აუცილებელია ნაშთები დაბრუნდეს ისე რომ დაკმაყოფილდეს ყველა მოთხოვნა, რაც 9.3.6.2 და
 1765 9.3.6.3 ქვეთავებით არის განსაზღვრული.

1766

1767 *9.3.6.5 საინფორმაციო სახის „ტრანზაქციების“ მხარდაჭერა*

1768 მუდმივი საგადასახადო დავალებების პარამეტრების ან (2)-ში განსაზღვრული სხვა
 1769 საინფორმაციო სახის ტრანზაქციების მმპ-სთვის მხარდაჭერა (პარამეტრი
 1770 bookingStatus=information წინამდებარე დოკუმენტის ამ ვერსიის მიზნებისათვის
 1771 **არააუცილებელია** და დაბრუნებული ინფორმაციის მოცულობა ამ დოკუმენტით არ
 1772 რეგულირდება. აღნიშნული პარამეტრის მხარდაჭერისას ამსმპ-მა **აუცილებელია** სრულად
 1773 იხელმძღვანელოს მხოლოდ (2)-ით. თუმცა მუდმივი საგადასახადო დავალების ფარგლებში
 1774 შექმნილი კონკრეტული ტრანზაქციები **აუცილებელია** მმპ-ს მიეწოდოს ისეთივე ფორმით, რა
 1775 ფორმითაც ნებისმიერი სხვა ტრანზაქცია ანგარიშზე (bookingStatus=booked, pending ან both
 1776 შემთხვევებში).

1777

1778 *9.3.6.6 ანგარიშზე გატარებული ტრანზაქციების მინიმალური ინფორმაციის მოთხოვნები*

1779 ნებისმიერი ტრანზაქციისათვის **აუცილებელია** ამსმპ-მა სერვისით დააბრუნოს, სულ მცირე,
 1780 შემდეგი ველები (2)-ის 14.24 თავით განსაზღვრული ჩამონათვალიდან:

1781

სახელი	ტიპი	აუცილებლო ბა	კომენტარი
entryReference	Max35Text	სავალდებულო	ტრანზაქციის იდენტიფიკატორი, რომელსაც საკუთარი შეხედულებით ანიჭებს ამსმპ. აღნიშნული იდენტიფიკატორი გამოიყენება, მაგალითად, ტრანზაქციების სიის გამოძახებისას, entryReferenceFrom პარამეტრის მნიშვნელობაში, პორციებად დაყოფის

			მიზნებისათვის 9.3.6.1 თავით მითითებული წესით. აუცილებელია, აღნიშნული იდენტიფიკატორი უნიკალური იყოს, სულ მცირე, მიმდინარე თანხმობის ჟრილში, მიუხედავად ტრანზაქციის სტატუსისა (booked, pending). ამსმპ-მა არავითარ შემთხვევაში არ უნდა შეცვალოს ტრანზაქციის ეს იდენტიფიკატორი, გარდა 9.3.6.1 თავით მითითებული გამონაკლისი შემთხვევისა.
transactionAmount	Amount	სავალდებულო	ტრანზაქციის თანხა და ვალუტა, ფორმატირებული (2)-ის 14.3 წესის შესაბამისად (სადებეტო ტრანზაქცია აღინიშნება უარყოფითი მნიშვნელობით, საკრედიტო ტრანზაქცია - დადებითით)
valueDate	ISODate	სავალდებულო	თარიღი და დრო როდესაც: 1) თანხა გახდა ხელმისაწვდომი ანგარიშის მფლობელისათვის (საკრედიტო ტრანზაქციის შემთხვევაში) ან 2) შეწყვიტა ხელმისაწვდომობა (სადებეტო ტრანზაქციის შემთხვევაში) დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ (2)
bookingDate	ISODate	პირობითი	დღე, როდესაც ტრანზაქცია გატარდა ნაშთში (ან

			გატარდება, თუ მიმდინარე დღის booked სტატუსის მქონე ტრანზაქციებზეა საუბარი). ანგარიშზე გატარებული ტრანზაქციების სიაში ("booked" სია) აღნიშნული ველის დაბრუნება აუცილებელია
currencyExchange	ReportExchange Rate ტიპის მასივი	პირობითი	თუ ტრანზაქცია გატარდა სხვა ვალუტაში, აღნიშნული ველი აუცილებელია
remittanceInformationUnstructured	Max140Text	პირობითი	აუცილებელია ამსმპ-მა დააბრუნოს ამ ორი მნიშვნელობიდან ერთ-ერთი, თუ მის სისტემაში აღნიშნული ინფორმაცია არსებობს (ე.წ. „გადახდის დანიშნულება“) და ის რაიმე სხვა გზით ხელმისაწვდომია სმმ-ისთვის ონლაინ არხებით. აუცილებელია ინფორმაცია გადმოვიდეს უცვლელად.
remittanceInformationUnstructuredArray	Max140Text ტიპის მასივი	პირობითი	თუ ამსმპ-სა და მმპ-ს შორის სხვაგვარად არაა შეთანხმებული, აუცილებელია, ამსმპ-მა დაიცვას შემდეგი წესები : • უმჯობესია, ამსმპ-მა დააბრუნოს remittanceInformationUnstructuredArray, რათა სრულფასოვნად ასახოს მის სისტემაში დაცული ინფორმაცია. • შესაძლოა ამსმპ-მა დააბრუნოს

			remittanceInformationUnstructured ველი (შემოკლებული ინფორმაცია), თუმცა ამ შემთხვევაში აუცილებელია, ამსმპ-მა გადახდის დანიშნულება სრული სახით გახადოს ხელმისაწვდომი 9.3.7 თავის მიხედვით (დააბრუნოს იქ remittanceInformationUnstructuredArray)
additionalInformation	Max500Text	პირობითი	აუცილებელია ამსმპ-მა დააბრუნოს ეს ინფორმაცია უცვლელად, თუ მის სისტემაში იგი არსებობს და რაიმე სხვა გზით ხელმისაწვდომია სმმ-ისთვის.
transactionId	String	პირობითი	აუცილებელია მხოლოდ იმ შემთხვევებისათვის, როდესაც ამ ტრანზაქციისათვის გათვალისწინებულია დამატებითი ინფორმაციის დაბრუნება ცალკე გამოძახებით (მაგ. ამსმპ აბრუნებს remittanceInformationUnstructured ველს ანგარიშის ტრანზაქციების სიაში, ხოლო გადახდის დანიშნულება სრულყოფილი სახით ხელმისაწვდომია ტრანზაქციის დეტალებში). თუ ტრანზაქციის დეტალების სერვისი რეალიზებული არ არის, აღნიშნული ველი არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაბრუნდეს.

			თუ ამსმპ არ იძლევა entityReference იდენტიფიკატორის უცვლელობის გარანტიას (ანუ მასზე ვრცელდება გარდა 9.3.6.1 თავით მითითებული გამონაკლისი შემთხვევა), აუცილებელია transactionId მნიშვნელობა (თუ იგი დაბრუნდება) ემთხვეოდეს entityReference მნიშვნელობას. სხვა შემთხვევაში, transactionId (თუ იგი ბრუნდება) შესაძლოა იყოს entityReference-საგან განსხვავებული, ამსმპ-ს შეხედულებისამებრ.
_links	Links	არააუცილებელი	შესაძლოა ამსმპ-მა დააბრუნოს transactionDetails ტიპის ჰიპერბმული, რათა მმპ-ს გაუადვილოს ტრანზაქციის დეტალებზე წვდომა 9.3.79.3.7 თავის მიხედვით.
endToEndId	Max35Text	არააუცილებელი	ტრანზაქციის უნიკალური იდენტიფიკატორი, რომელიც აღნიშნულ ტრანზაქციას მიანიჭა უშუალო ინიციატორმა და შემდგომში არ განუცდია რაიმე ცვლილება, მათ შორის საგადახდო აგენტებს შორის ამ ტრანზაქციის გადაცემისას. მაგალითად, საბუღალტრო აღრიცხვის სისტემის მიერ მინიჭებული გადახდის იდენტიფიკატორი, რომელიც თანხის მიმღებს გადაეცემა და გამოიყენება მხარეთა შორის

			ტრანზაქციების შედარებისათვის.
debtorName	Max70Text	პირობითი	თუ ტრანზაქცია კრედიტულია (სმმ-ის თვალსაზრისით) და გაცემულია OwnerName ტიპის თანხმობა, ამ ველის დაბრუნება აუცილებელია .
debtorAccount (ტიპითურთ)	AccountReference	პირობითი	თუ ტრანზაქცია კრედიტულია (სმმ-ის თვალსაზრისით), ამ ველის დაბრუნება აუცილებელია . თუ დებიტორის აგენტის იდენტიფიკაცია შეუძლებელია BICFI იდენტიფიკატორით, აუცილებელია ანგარიშს ასევე მოჰყვებოდეს აგენტის საიდენტიფიკაციო ინფორმაცია.
debtorAgent	BICFI	პირობითი	თუ ტრანზაქცია კრედიტულია და დებიტორის აგენტის იდენტიფიკაცია შესაძლებელია BICFI იდენტიფიკატორით, ამ ველის დაბრუნება აუცილებელია
debtorIdentification	PartyIdentification	პირობითი	თუ ტრანზაქცია კრედიტულია (სმმ-ის თვალსაზრისით), და იგი ხელმისაწვდომია ამსმპ-ს ონლაინ არხებით, ამ ველის დაბრუნება აუცილებელია .
ultimateDebtor	Max70Text	პირობითი	რეალური გადამხდელის დასახელება თუ ოპერაცია გატარდა სხვა პირის სასარგებლოდ და მისი სახელი/დასახელება ხელმისაწვდომია ამსმპ-ს ონლაინ არხებით, ან როდესაც გადარიცხვა ხდება

			საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში მესამე პირის სასარგებლოდ, აღნიშნული ველი აუცილებელია.
ultimateDebtorIdentification	PartyIdentification	პირობითი	რეალური გადამხდელის იდენტიფიკატორი. თუ ოპერაცია გატარდა სხვა პირის სასარგებლოდ და მისი იდენტიფიკატორი ხელმისაწვდომია ამსმპ-ს ონლაინ არხებით, ან როდესაც გადარიცხვა ხდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში მესამე პირის სასარგებლოდ, აღნიშნული ველი აუცილებელია.
creditorName	Max70Text	პირობითი	თუ ტრანზაქცია დებიტურია (სმმ-ის თვალსაზრისით) და გაცემულია OwnerName ტიპის თანხმობა, ამ ველის დაბრუნება აუცილებელია.
creditorAccount	AccountReference	პირობითი	თუ ტრანზაქცია დებიტურია (სმმ-ის თვალსაზრისით), ამ ველის დაბრუნება აუცილებელია. თუ კრედიტორის აგენტის იდენტიფიკაცია შეუძლებელია BICFI იდენტიფიკატორით, აუცილებელია ანგარიშს ასევე მოჰყვებოდეს აგენტის საიდენტიფიკაციო ინფორმაცია.
creditorAgent	BICFI	პირობითი	კრედიტორის აგენტის BICFI იდენტიფიკატორი.

			თუ ტრანზაქცია დებიტურია და კრედიტორის აგენტის იდენტიფიკაცია შესაძლებელია BICFI იდენტიფიკატორით, ამ ველის დაბრუნება აუცილებელია
creditorIdentification	PartyIdentification	პირობითი	კრედიტორის იდენტიფიკატორი. თუ ტრანზაქცია დებიტურია (სმმ-ის თვალსაზრისით) და კრედიტორის იდენტიფიკატორი ხელმისაწვდომია ამსმპ-ს ონლაინ არხებით, ამ ველის დაბრუნება აუცილებელია.
ultimateCreditor	Max70Text	პირობითი	თანხის საბოლოო მიმღები თუ ოპერაცია გატარდა ისე, რომ კრედიტორი არაა თანხის საბოლოო მიმღები და საბოლოო მიმღების სახელი ხელმისაწვდომია ამსმპ-ს ონლაინ არხებით აღნიშნული ველი აუცილებელია.
ultimateCreditorIdentification	PartyIdentification	პირობითი	თანხის საბოლოო მიმღების იდენტიფიკატორი. თუ ოპერაცია გატარდა ისე, რომ კრედიტორი არაა თანხის საბოლოო მიმღები და საბოლოო მიმღების იდენტიფიკატორი ხელმისაწვდომია ამსმპ-ს ონლაინ არხებით აღნიშნული ველი აუცილებელია.

1782 ცხრილი 10: ველები ტრანზაქციის ინფორმაციაში

1783 ყველა დანარჩენი ველი, რომელიც (2)-ით არის განსაზღვრული, **არააუცილებელია**, თუ მათი
1784 არდაბრუნება არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას. **უმჯობესია**, ამსმპ-მა
1785 დააბრუნოს ყველა ის ველი, რომელსაც იგი ხელმისაწვდომს ხდის სმმ-ისთვის სხვა არხების
1786 გამოყენებით.

1787 PartyIdentification ტიპის ველები **აუცილებელია** შეივსოს იგივე პრინციპით, როგორც
1788 მითითებულია 7.6.1 თავით.

1789 ისეთი pending ტიპის ტრანზაქციების შემთხვევაში, როდესაც ტრანზაქციის ბუნებიდან
1790 გამომდინარე შეუძლებელია გარკვეული ველების მნიშვნელობების დადგენა (მაგ. განვადების ან
1791 სხვა ტიპის პროდუქტები, რომელიც გულისხმობს მოკორესპონდენტო ან/და სატრანზიტო
1792 ანგარიშებზე სხვადასხვა ტრანზაქციების თანხების აკუმულირებას ტრანზაქციის საბოლოო
1793 დამუშავებამდე), შემდეგი ველების დაბრუნება **არააუცილებელია**: **debtorName/creditor**
1794 **name; debtorAccount/creditorAccount და debtorAgent/creditorAgent, debtorIdentification/creditorId**
1795 **ntification.**

1796

1797 **9.3.7 ტრანზაქციის დეტალების სერვისი**
1798 **გამოძახება:**

1799 GET /v1/accounts/{account-id}/transactions/{transactionId}

1800 აღნიშნული მოთხოვნის მხარდაჭერა **აუცილებელია**. მოთხოვნის პარამეტრები და
1801 დასაბრუნებელი მნიშვნელობები რეგულირდება (2)-ის 6.5.5 თავის მიხედვით, დამატებითი
1802 მოთხოვნები მოცემულია წინამდებარე თავში.

1803

1804 აღნიშნული სერვისი აღწერილია (2)-ის 6.5.5 თავში. აღნიშნული სერვისის მხარდაჭერა
1805 **არააუცილებელია**, თუ ამსმპ სრულყოფილად აბრუნებს 9.3.6.6 თავში განსაზღვრულ
1806 ინფორმაციას (მაგ. ბრუნდება remittanceInformationUnstructured და არა
1807 remittanceInformationUnstructuredArray). თუ ინფორმაცია სრულყოფილად არ ბრუნდება ამსმპ-ს
1808 მიერ (წესებიც განსაზღვრულია 9.3.6.6 თავით), მაშინ აღნიშნული სერვისი მხარდაჭერა
1809 **აუცილებელია**.

1810 **აუცილებელია**, ამსმპ-მა ველების აუცილებლობა-არააუცილებლობის საკითხში
1811 იხელმძღვანელოს ამ დოკუმენტის 9.3.6.6 თავით.

1812

1813

1814 **9.4 საბარათე ანგარიშებისა და ბარათების ინფორმაციის სერვისები**

1815 საბარათე ანგარიშების სერვისები (card-accounts) მოცემულია (2)-ის 6.6 თავში. ხოლო ბარათების
1816 სერვისები (cards) წარმოადგენს XS2A სტანდარტის გაფართოებას და მოცემულია (14)-ში.

1817 წინამდებარე დოკუმენტთან თავსებადობის მიზნებისათვის, აგრეთვე მომხმარებლებისათვის
1818 კომფორტის შესაქმნელად **აუცილებელია** ამსმპ-მ მხარი დაუჭიროს საბარათე ანგარიშების
1819 სერვისის. **უმჯობესია** ამსმპ-მა მხარი ასევე დაუჭიროს ბარათების სერვისსაც.

1820 ყველა აუცილებელი მოთხოვნა რომელიც ამ თავის ქვეთავებშია მითითებული, აუცილებელი
 1821 იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ბარათების სერვისები მხარდაჭერილი იქნება ამსმპ-
 1822 ის მიერ.

1823 აღნიშნული სერვისების მხარდაჭერის შემთხვევაშიც **აუცილებელია**, ამსმპ-მა ამ ანგარიშებზე
 1824 წვდომას მხარი დაუჭიროს როგორც ჩვეულებრივ ღია ბანკინგის ანგარიშებზე წვდომის
 1825 ფორმითაც (იხ. 9.3). **აუცილებელია**, ყველა სერვისის გადაეცემოდეს Authorization და Consent-ID
 1826 სათაურები.

1827 **აუცილებელია**, Authorization სათაურში გადმოცემული Bearer ტოკენი იყოს იგივე, რაც
 1828 გამოყენებული იქნა Consent-ID სათაურში მითებული თანხმობის დადასტურებისას, თუ
 1829 აღნიშნული ტოკენი მოქმედია. ხოლო ტოკენის ვადის გასვლის შემთხვევაში **აუცილებელია**,
 1830 Authorization სათაურში გადაეცეს იგივე ტოკენის Refresh Token-ით გახანგრძლივების შედეგი.

1831 იმ შემთხვევაში, თუ თანხმობის მასშტაბი არასაკმარისია მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად,
 1832 **აუცილებელია** გამოძახებამ დააბრუნოს CONSENT_INVALID და არა „შემცირებული“ დოკუმენტი
 1833 მნიშვნელობა (მაგ. თუ თანხმობა არაა გაცემული ნაშთების დაბრუნებაზე, withBalance
 1834 პარამეტრის გამოყენება უნდა დასრულდეს CONSENT_INVALID ტიპის შეცდომით).

1835

1836 9.4.1 ბარათი და საბარათე ანგარიში ამ დოკუმენტის მიზნებისათვის
 1837 ამ დოკუმენტის მიზნებისათვის, „საბარათე ანგარიში“ არ ნიშნავს ერთ ღია ბანკინგის ანგარიშს
 1838 ამსმპ-ში. **შესაძლოა**, საკუთარი შეხედულებით, ამსმპ-მა „საბარათე ანგარიშის“ ქვეშ
 1839 გაერთიანოს რამდენიმე ღია ბანკინგის ანგარიში. **აუცილებელია** შემდეგი პირობების დაცვა,
 1840 მათ შორის, (2) -თან სრული თავსებადობის მიზნებისათვის:

1841 1) **აუცილებელია** ბარათი უკავშირდებოდეს ერთ და მხოლოდ ერთ საბარათე ანგარიშს;

1842 2) **შესაძლოა** ერთი საბარათე ანგარიშის ქვეშ გაერთიანებული იყოს ერთი ან რამდენიმე
 1843 ღია ბანკინგის ანგარიში. მათ შორის, წინამდებარე დოკუმენტით არ იზღუდება ის
 1844 შესაძლებლობა, რომ ზოგიერთი ღია ბანკინგის ანგარიში იყოს (ან არ იყოს)
 1845 მულტისავალუტო.

1846 3) ერთი ღია ბანკინგის ანგარიში **არავითარ შემთხვევაში** არ უნდა უკავშირდებოდეს ერთზე
 1847 მეტ საბარათე ანგარიშს.

1848 **აუცილებელია** შემდეგი მოთხოვნების დაკმაყოფილება საბარათე ანგარიშების (card-accounts)
 1849 და ბარათების სერვისებში (ასევე იხ. (2), თავი 6.6):

1850

1851 1. **აუცილებელია**, საბარათე ანგარიშების სერვისებში გამოყენებული resourceId ველის (და,
 1852 შესაბამისად, account-id პარამეტრის) მნიშვნელობა უნიკალურად მიუთითებდეს კონკრეტულ
 1853 საბარათე ანგარიშს ან ბარათს და დარჩეს უცვლელი, სულ მცირე, ამ ბარათზე გაცემული
 1854 აქტიური თანხმობის გამოყენების ვადის განმავლობაში. აღნიშნული მნიშვნელობა
 1855 **არავითარ შემთხვევაში** არ უნდა ემთხვეოდეს შესაბამისი ღია ბანკინგის ანგარიშის
 1856 ტოკენიზებულ იდენტიფიკატორს ღია ბანკინგის ანგარიშზე წვდომის (accounts) სერვისებში

1857

1858 2. მნიშვნელობა, რომელიც გამოყენებული იქნება როგორც resourceId/account-id, **არავითარ**
 1859 **შემთხვევაში** არ უნდა ამჟღავნებდეს ბარათის ნომერს (Primary Account Number, PAN).
 1860 **აუცილებელია**, იგი იყოს შერჩეული იმგვარად, რომ ამავდროულად არ დაირღვეს (2)-ის
 1861 მოთხოვნები.

1862

1863

1864 9.4.2 საბარათე ანგარიშებზე ინფორმაციის დაბრუნების წესი
 1865 ამ დოკუმენტთან თავსებადობის მიზნებისათვის, ყველა მოთხოვნა, რომელიც განსაზღვრულია
 1866 ღია ბანკინგის ანგარიშებისათვის 9.3 თავით, ძალაშია საბარათე ანგარიშებისთვისაც. საბარათე
 1867 ანგარიშების შემთხვევაში ნაშთებისა და ტრანზაქციების ინფორმაცია **აუცილებელია**
 1868 დაბრუნდეს ამსმპ-ს სისტემიდან, ანუ თუ ამსმპ ავტომატურ რეჟიმში სინქრონიზაციას საბარათე
 1869 სქემასთან ონლაინ რეჟიმში არ ახორციელებს, **შესაძლოა** ზოგიერთი ნაშთი (მაგ. interimAvailable
 1870 ტიპისა) იყოს განსხვავებული საბარათე სისტემასა და ამსმპ-ს სისტემას შორის.

1871

1872 9.4.3 ბარათის ინფორმაციის სერვისების მეშვეობით ინფორმაციის დაბრუნების წესი
 1873 ბარათების სერვისები წარმოადგენს XS2A სტანდარტის გაფართოებას და მოცემულია (14)-ში.
 1874 წინამდებარე დოკუმენტთან თავსებადობის მიზნებისათვის, აგრეთვე მომხმარებლებისათვის
 1875 კომფორტის შესაქმნელად **უმჯობესია** მათი მხარდაჭერა.

1876 განსხვავებით საბარათე ანგარიშებზე დასაბრუნებელი ინფორმაციისგან, **აუცილებელია**
 1877 ბარათის ინფორმაციაში ტრანზაქციებისა და ნაშთების ინფორმაცია სინქრონიზებული იყოს
 1878 საბარათე სისტემასთან, მიუხედავად იმისა, ამსმპ ახორციელებს თუ არა ავტომატურ რეჟიმში
 1879 სინქრონიზაციას საბარათე სქემასთან.

1880 **აუცილებელია**, ბარათის ინფორმაციას ჰიპერბმულების (_links) სექციაში მოჰყვებოდეს
 1881 cardAccount ტიპის ჰიპერბმული აღნიშნულ საბარათე ანგარიშზე. ჰიპერბმული **არავითარ**
 1882 **შემთხვევაში** არ უნდა ამჟღავნებდეს ბარათის ან ღია ბანკინგის ანგარიშის ნომერს და
 1883 **აუცილებელია** იგი იყოს მუდმივი მიმდინარე თანხმობის მოქმედების ვადის განმავლობაში -
 1884 როგორც ბარათების სიის, ისე ბარათების დეტალების სერვისში.

1885

1886 9.4.4 ბარათის ნომრების გამოყენება და მათი შენიღბვის წესი
 1887 როგორც საბარათე ანგარიშების, ისე ბარათების სერვისებში ანგარიშის და ბარათის შენიღბული
 1888 ნომრის (maskedPan) დაბრუნება **აუცილებელია**. **აუცილებელია** შენიღბული მნიშვნელობა
 1889 უნიკალურად აიდენტიფიცირებდეს კონკრეტულ საბარათე ანგარიშს, სულ მცირე, ამ ანგარიშის
 1890 მფლობელის ქრილში.

1891 **აუცილებელია** ბარათის ნომრები შეინიღბოს PCI DSS და სხვა დაკავშირებული მოთხოვნების
 1892 შესაბამისად. **აუცილებელია**, ერთიდაიგივე ბარათის ნომერი ამსმპ-მა შენიღბოს ერთნაირად,
 1893 კონკრეტული მმპ-სათვის, გარდა გადაუდებელი აუცილებლობის (PCI DSS სტანდარტების
 1894 შემდგომი გამკაცრების) შემთხვევისა. გადაუდებელი აუცილებლობის მიზეზით ბარათის

1895 შენიღბვის შეცვლის შემთხვევაში, ბარათების შენიღბული მნიშვნელობები **აუცილებელია**
 1896 დარჩეს იგივე, სულ მცირე, ყველა აქტიური თანხმობის ამოწურვამდე ან/და გაუქმებამდე.

1897 საბარათე ანგარიშის მაიდენტიფიცირებელი ბარათის ნომრის ცვლილება **არავითარ**
 1898 **შემთხვევაში** არ უნდა მოხდეს, სანამ შესაბამისი თანხმობა და თავად ბარათი (რომლის ნომერიც
 1899 მითითებული აქვს საბარათე ანგარიშს) აქტიურია. როდესაც აღნიშნულ ბარათს ვადა გაუვა,
 1900 **შესაძლოა** ამსმპ-მა ბარათის ნომერი ჩაანაცვლოს ამ საბარათე ანგარიშზე მიბმული სხვა,
 1901 აქტიური ბარათის ნომრით (თუ ასეთი ბარათი საერთოდ არსებობს), თუმცა ამ დროსაც კი
 1902 **არავითარ შემთხვევაში** არ უნდა მოხდეს resourceId მნიშვნელობის და ამ საბარათე ანგარიშზე
 1903 მიმთითებელი ჰიპერბმულების მნიშვნელობის შეცვლა.

1904

1905 9.4.5 საბარათე ანგარიშების და ბარათების სია
 1906 საბარათე ანგარიშები:

1907 GET /v1/card-accounts

1908 მოთხოვნის პარამეტრები და დასაბრუნებელი მნიშვნელობები რეგულირდება (2)-ის 6.6.1 თავის
 1909 მიხედვით.

1910 ბარათები:

1911 GET /v1/cards

1912 აღნიშნული სერვისი მხარდაჭერა **აუცილებელია**.

1913 მოთხოვნის პარამეტრები და დასაბრუნებელი მნიშვნელობები რეგულირდება (14)-ის 5.1 თავის
 1914 მიხედვით.

1915 ორივე შემთხვევაში, დამატებითი მოთხოვნები მოცემულია წინამდებარე თავში.

1916 **აუცილებელია**, მხარდაჭერილი იყოს „გამოსადეგი საბარათე ანგარიშების“ და „გამოსადეგი
 1917 ბარათების“ სიის დაბრუნება, შესაბამისი თანხმობის არსებობისას.

1918 **აუცილებელია** resourceId ატრიბუტის დაბრუნება ხელმისაწვდომი ბარათების ან ანგარიშების
 1919 სიის დაბრუნებისას, ასევე მაშინაც, როდესაც გამოსადეგი ანგარიშის შემთხვევაში
 1920 შესაძლებელია დამატებითი ინფორმაციის მიღება (დეტალები, ნაშთები) სხვა API
 1921 გამოძახებებით.

1922 **აუცილებელია**, ბარათის შემთხვევაში თითოეულ ჩანაწერს ჰიპერბმულების (_links) სექციაში
 1923 დაემატოს visualTemplate ტიპის ჰიპერბმული, რომელიც მიუთითებს ბარათის ვიზუალურ
 1924 ღიზაინს jpg ან png ფორმატში, ბარათის ნატურალურ ზომებში, 300-500 dpi გარჩევადობით.

1925 **აუცილებელია**, ბარათის შემთხვევაში product ელემენტი იყოს შევსებული.

1926 **შესაძლოა** ამსმპ-მა დააბრუნოს balances ელემენტი შესაბამისი ნაშთებით, ასევე შესაძლებელია
 1927 მან სხვა ნაშთების (ან ყველა ნაშთის) მისაღებად დააბრუნოს balances ბმული ჰიპერბმულების
 1928 (_links) სექციაში, შესაბამისი თანხმობის არსებობისას. თანხმობის არარსებობის შემთხვევაში
 1929 ნაშთები და ჰიპერბმულები **არავითარ შემთხვევაში** არ უნდა დაბრუნდეს და უნდა დაბრუნდეს
 1930 CONSENT_INVALID შეცდომა.

1931 **შესაძლოა** ტრანზაქციების სიის ჰიპერბმული დაბრუნდეს ჰიპერბმულების (_links) სექციაში,
 1932 შესაბამისი თანხმობის არსებობისას. აღნიშნული **არავითარ შემთხვევაში** არ უნდა დაბრუნდეს
 1933 გამოსადეგი ბარათების/საბარათე ანგარიშების სიის შემთხვევაში და უნდა დაბრუნდეს
 1934 CONSENT_INVALID შეცდომა.

1935

1936 9.4.6 საბარათე ანგარიშის და ბარათის დეტალები
 1937 საბარათე ანგარიშები:

1938 GET /v1/card-accounts/{account-id}

1939 მოთხოვნის პარამეტრები და დასაბრუნებელი მნიშვნელობები რეგულირდება (2)-ის 6.6.2 თავის
 1940 მიხედვით.

1941 ბარათები:

1942 GET /v1/cards/{card-id}

1943 აღნიშნული სერვისის მხარდაჭერა **აუცილებელია**.

1944 მოთხოვნის პარამეტრები და დასაბრუნებელი მნიშვნელობები რეგულირდება (14)-ის 5.2 თავის
 1945 მიხედვით.

1946 ორივე შემთხვევაში, დამატებითი მოთხოვნები მოცემულია წინამდებარე თავში.

1947 **აუცილებელია**, ბარათის შემთხვევაში ჰიპერბმულების (_links) სექციაში დაემატოს visualTemplate
 1948 ტიპის ჰიპერბმული, რომელიც მიუთითებს ბარათის ვიზუალურ დიზაინს jpeg ან png ფორმატში,
 1949 ბარათის ნატურალურ ზომებში, 300-500 dpi გარჩევადობით.

1950 **აუცილებელია**, ბარათის შემთხვევაში product ელემენტი იყოს შევსებული.

1951 **შესაძლოა** ამსმპ-მა დააბრუნოს balances ელემენტი შესაბამისი ნაშთებით, ასევე შესაძლებელია
 1952 მან სხვა ნაშთების (ან ყველა ნაშთის) მისაღებად დააბრუნოს balances ბმული ჰიპერბმულების
 1953 (_links) სექციაში, შესაბამისი თანხმობის არსებობისას. თანხმობის არარსებობის შემთხვევაში
 1954 ნაშთები და ჰიპერბმულები არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაბრუნდეს და უნდა დაბრუნდეს
 1955 CONSENT_INVALID შეცდომა.

1956 შესაძლოა ტრანზაქციების სიის ჰიპერბმული დაბრუნდეს ჰიპერბმულების (_links) სექციაში,
 1957 შესაბამისი თანხმობის არსებობისას. აღნიშნული **არავითარ შემთხვევაში** არ უნდა დაბრუნდეს
 1958 გამოსადეგი ბარათის/საბარათე ანგარიშის სიის შემთხვევაში (თუ ამსმპ საერთოდ უჭერს მხარს
 1959 გამოსადეგი საბარათე ანგარიშის/ბარათის დეტალების სერვისს) და უნდა დაბრუნდეს
 1960 CONSENT_INVALID შეცდომა.

1961

1962 9.4.7 საბარათე ანგარიშის და ბარათის ნაშთები
 1963 საბარათე ანგარიშები:

1964 GET /v1/card-accounts/{account-id}/balances

1965 მოთხოვნის პარამეტრები და დასაბრუნებელი მნიშვნელობები რეგულირდება (2)-ის 6.6.3 თავის
 1966 მიხედვით.

1967 ბარათები:

1968 GET /v1/cards/{card-id}/balances

1969 აღნიშნული სერვისის მხარდაჭერა **აუცილებელია**.

1970 მოთხოვნის პარამეტრები და დასაბრუნებელი მნიშვნელობები რეგულირდება (14)-ის 5.3 თავის
 1971 მიხედვით.

1972 ორივე შემთხვევაში, დამატებითი მოთხოვნები მოცემულია წინამდებარე თავში.

1973 **აუცილებელია**, საბარათე ანგარიშების შემთხვევაში ამსმპ-მა დააბრუნოს ყველა ის ნაშთი,
 1974 რომელსაც იგი ღია ბანკინგის ანგარიშისთვის აბრუნებს.

1975 **აუცილებელია**, ბარათის შემთხვევაში ამსმპ-მა დააბრუნოს, სულ მცირე, interimAvailable ტიპის
 1976 ნაშთი. **აუცილებელია**, აღნიშნული ნაშთი იყოს უშუალოდ საბარათე სისტემაში არსებული
 1977 ხელმისაწვდომი ნაშთი.

1978

1979 9.4.8 საბარათე ანგარიშის და ბარათის ტრანზაქციების სია

1980 საბარათე ანგარიშები:

1981 GET /v1/card-accounts/{account-id}/transactions{query-parameters}

1982 მოთხოვნის პარამეტრები და დასაბრუნებელი მნიშვნელობები რეგულირდება (2)-ის 6.6.4 თავის
 1983 მიხედვით.

1984 ბარათები:

1985 GET /v1/cards/{card-id}/ transactions{query-parameters}

1986 აღნიშნული სერვისის მხარდაჭერა **აუცილებელია**.

1987 მოთხოვნის პარამეტრები და დასაბრუნებელი მნიშვნელობები რეგულირდება (14)-ის 5.4 თავის
 1988 მიხედვით.

1989 ორივე შემთხვევაში, დამატებითი მოთხოვნები მოცემულია წინამდებარე თავში.

1990 **აუცილებელია**, მხარდაჭერილი იყოს ტრანზაქციების პორციებად დაყოფის იგივე მექანიზმი,
 1991 რაც აღწერილია 9.3.6.1 თავით (გარდა entityReferenceFrom პარამეტრის შემთხვევისა, ვინაიდან
 1992 აღნიშნული მხარდაჭერილი არ არის (2)-ით).

1993 **აუცილებელია**, მხარდაჭერილი იყოს deltaList პარამეტრი.

1994 **აუცილებელია**, საბარათე ანგარიშის შემთხვევაში მხარდაჭერილი იყოს bookingStatus-ში
 1995 როგორც booked, ისე pending და both - ტრანზაქციები და მათი სტატუსები განისაზღვრება
 1996 უშუალოდ ამსმპ-ს სისტემით (და არა საბარათე სისტემით).

1997 **აუცილებელია**, ბარათის შემთხვევაში მხარდაჭერილი იყოს bookingStatus-ში როგორც booked,
1998 ისე pending და both: booked სტატუსი განისაზღვრება უშუალოდ ამსმპ-ს სისტემით (და არა
1999 საბარათო სისტემით), pending სტატუსის ტრანზაქციებში მონაწილეობენ არამარტო ამსმპ-ში
2000 დაფიქსირებული ტრანზაქციები, არამედ უშუალოდ საბარათო სისტემაში დაფიქსირებული (და
2001 ამსმპ-ში ჯერ არგადმოსული) ტრანზაქციებიც.

2002

2003 10 მომხმარებლის თანხმობის გამოხატვის წესი

2004 ამ თავში მოცემულია თანხმობის მინიმალური მოთხოვნები, რომელთა დაცვა **აუცილებელია**.
2005 როდესაც ცალსახად არაა მითითებული კონკრეტული მოთხოვნის სიტყვათაწყობა, **შესაძლოა**,
2006 ამსმპ-მა აღნიშნული მოთხოვნები გააფართოვოს შეხედულებისამებრ. **აუცილებელია**,
2007 ინფორმაცია მომხმარებლისათვის მიწოდებული იყოს ადვილად აღსაქმელი შრიფტით და
2008 თვალსაჩინოდ (მათ შორის, მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების გათვალისწინებით,
2009 ასეთის არსებობის შემთხვევაში). **აუცილებელია** მომხმარებელს ჰქონდეს საშუალება,
2010 თანხმობასთან დაკავშირებულ ყველა ინფორმაციას სრულად გაეცნოს და მას არ შეექმნას ამაში
2011 რაიმე ხელოვნური ბარიერები.

2012

2013 10.1 თანხმობის გამოხატვა ინფორმაციის გაზიარებაზე

2014 ინფორმაციაზე სმმ-ის თანხმობის გამოხატვა ეკრანზე პირობითად იყოფა შემდეგ ნაწილებად:

- 2015 1) პრეამბულა (იხ. 10.1.1 თავი)
- 2016 2) გასაზიარებელი ინფორმაციის დეტალები (იხ. 10.1.3 თავი)
- 2017 3) მოსანიშნი თოლია ტექსტით „გავაცანი და ვეთანხმები ინფორმაციის გაზიარების
2018 პირობებს“ და დილაკი ან ჰიპერბმული, რომლითაც მომხმარებელს საშუალება აქვს,
2019 გაეცნოს 10.1.2 თავის შესაბამისად შედგენილ ინფორმაციის გაზიარების პირობებს.
- 2020 4) ქმედება: „დადასტურება“ და „უარყოფა“.

2021 **აუცილებელია**, „დადასტურების“ შესაბამისი დილაკით ქმედების გამოწვევა შეუძლებელი იყოს
2022 თუ თოლია „ვეთანხმები“ მონიშნული არ არის.

2023 ამსმპ-ში გამოხატული თანხმობის შემთხვევაში **აუცილებელია**, ამსმპ-მა სმმ-ს ჯერ აარჩევინოს,
2024 რაზე სურს სმმ-ს თანხმობის გამოხატვა (დია ბანკინგის ანგარიშები, ბარათები, ნაშთები,
2025 ტრანზაქციები და ა.შ.) და დადასტურების შემთხვევაში უჩვენოს თანხმობის გამოხატვის ეკრანი.
2026 ამ შემთხვევაში ასევე **აუცილებელია**, სმმ-ს მიეცეს საშუალება, შეცვალოს თავისი არჩევანი და
2027 კვლავ გადავიდეს დადასტურების გვერდზე.

2028 სხვა ტიპის თანხმობის შემთხვევაში (მაგ. დეტალური თანხმობის, ასევე გამოსადეგი
2029 ანგარიშების სიის მოთხოვნის შემთხვევაში) **აუცილებელია** ამსმპ-მა სმმ-ს პირდაპირ უჩვენოს
2030 თანხმობის ფორმა, ცვლილების შესაძლებლობის გარეშე.

2031 10.1.1 თანხმობის პრეამბულა

2032 **აუცილებელია**, თანხმობის გამოხატვის პრეამბულაში ეწეროს შემდეგი ტექსტი:

2033 თანახმა ვარ, {ამსმპ-ის დასახელება}ში ელექტრონული სახით არსებულ ინფორმაციაზე, წვდომა
2034 მიიღოს {მმპ-ს დასახელება} (შემდგომში „მმპ“), ქვემოთ მოცემულ ფარგლებში. თანხმობა
2035 გაიცემა [ერთჯერადად გამოთხოვაზე | 24 საათის განმავლობაში არაუმეტეს {ჯერადადობა}-
2036 ჯერადად გამოთხოვაზე], ვადით {მოქმედების ვადა} (ჩათვლით).

2037 *10.1.1.1 ერთჯერადი თანხმობის მაგალითი ფიზიკური პირის შემთხვევაში*

2038 თანახმა ვარ, სს „სატესტო ბანკში“ ელექტრონული სახით არსებულ ინფორმაციაზე წვდომა
2039 მიიღოს შპს „გადახდის სატესტო ინოვაციური სერვისები“-მა ქვემოთ მოყვანილ ფარგლებში. ეს
2040 თანხმობა გაიცემა ერთჯერად გამოთხოვაზე, ვადით 21.06.2021 (ჩათვლით).

2041

2042 *10.1.1.2 მრავალჯერადი თანხმობის გამოხატვა იურიდიული პირის სახელით*

2043 თანახმა ვარ, სს „სატესტო ბანკში“ ელექტრონული სახით არსებულ ინფორმაციაზე, ქვემოთ
2044 მოყვანილ ფარგლებში მიიღოს შპს „გადახდის სატესტო ინოვაციური სერვისები“-მა ქვემოთ
2045 მოცემულ ფარგლებში. თანხმობა გაიცემა მხოლოდ 2022 წლის 1 სექტემბრამდე (ჩათვლით),
2046 გასაზიარებელი ინფორმაციის ყოველდღიურად, 24 საათის განმავლობაში არაუმეტეს 2-
2047 ჯერადად გამოთხოვის უფლებით.

2048

2049 *10.1.2 მოთხოვნები ინფორმაციის გაზიარების პირობებთან დაკავშირებით*

2050 **აუცილებელია**, თანხმობის პირობები სრულად იხსნებოდეს ცალკე ეკრანზე და სმმ-ს ჰქონდეს
2051 საშუალება, სრულად გაეცნოს მას.

2052 **აუცილებელია**, პირობებში მითითებული იყოს სულ მცირე შემდეგი ინფორმაცია:

2053 1) ინფორმაციის გამოთხოვის უფლება, რომელსაც მესამე მხარის პროვაიდერი იღებს
2054 მომხმარებლისგან, შეიძლება იყოს ერთჯერადი ან მრავალჯერადი.

2055 2) თუ ინფორმაციის გამოთხოვა მრავალჯერადია, მესამე მხარის პროვაიდერს ასევე
2056 განესაზღვრება 24 საათის განმავლობაში ინფორმაციის გამოთხოვის დასაშვები
2057 რაოდენობა.

2058 3) ინფორმაციის თითოეული გამოთხოვის უფლება გულისხმობს ანგარიშის მომსახურე
2059 პროვაიდერში დაცული ყველა იმ ინფორმაციის გამოთხოვას, რომელიც
2060 ხელმისაწვდომია ღია ბანკინგით და რომელზეც მომხმარებელმა გასცა თანხმობა -
2061 მიუხედავად იმისა, ტექნიკურად რამდენი გამოძახებაა საჭირო ამ ინფორმაციის
2062 მისაღებად.

2063 4) გამოთხოვათა რაოდენობა შეუზღუდავია იმ შემთხვევაში, როდესაც ხდება ინფორმაციის
2064 აქტიურად მოთხოვნა, ანუ როდესაც მომხმარებელი უშუალოდ მუშაობს მესამე მხარის
2065 პროვაიდერის სისტემაში და მისი ქმედებების დასაკმაყოფილებლად პროვაიდერს
2066 ესაჭიროება დაუყოვნებლივ გამოითხოვოს ინფორმაცია ანგარიშის მომსახურე
2067 პროვაიდერის ელექტრონული სისტემისაგან.

2068 5) ანგარიშის მომსახურე პროვაიდერის მხარეს ინფორმაციის გაზიარების შეწყვეტა რაიმე
2069 მიზეზით (მათ შორის ვადის გასვლით ან მომხმარებლის ქმედებით) არ გულისხმობს
2070 მესამე მხარის პროვაიდერში უკვე არსებული ინფორმაციის დამუშავების შეწყვეტას

2071 ან/და განადგურებას და აღნიშნული რეგულირდება მომხმარებელსა და მესამე მხარის
2072 პროვაიდერს შორის.

2073 6) გასაზიარებელი ინფორმაციის ანგარიშის მომსახურე პროვაიდერიდან მესამე მხარის
2074 პროვაიდერში გადაცემის შემდეგ ანგარიშის მომსახურე პროვაიდერი კარგავს ამ
2075 ინფორმაციის ნებისმიერი სახით დაცვაზე ეფექტურ კონტროლს. შესაბამისად, მას არ
2076 უნდა დაეკისროს რაიმე სახის პასუხისმგებლობა იმ შესაძლო ზიანზე, რომელიც
2077 შეიძლება ვინმეს მიადგეს მესამე მხარის პროვაიდერის მიერ ამ ინფორმაციის საკუთარ
2078 სისტემაში გადაწერით ან შემდგომ ეტაპებზე მიზნობრივად ან/და არამიზნობრივად
2079 დამუშავების შედეგად.

2080 **აუცილებელია**, ამსმპ-მა სმმ-ს ასევე მიაწოდოს შემდეგი ინფორმაცია ამავე გვერდზე:

2081 1) იმ საშუალებების ამომწურავი ჩამონათვალი, მათ შორის ვებ-გვერდის ბმულები, სადაც
2082 მომხმარებელს შეუძლია ნახოს მის მიერ გაცემული ყველა თანხმობა და სურვილისამებრ
2083 გააუქმოს რომელიმე მათგანი (ისე, რომ ერთი თანხმობის გაუქმება ავტომატურად არ
2084 გულისხმობდეს ყველა თანხმობის გაუქმებას)

2085 2) საკონტაქტო ინფორმაცია, სადაც მომხმარებელს შეუძლია ანგარიშის მომსახურე
2086 პროვაიდერს მიმართოს შეკითხვით ან გამოხატოს პრეტენზია

2087

2088 10.1.3 მოთხოვნები გასაზიარებელი ინფორმაციის დეტალების ჩვენებასთან
2089 დაკავშირებით

2090 თუ ანგარიშის ინფორმაციის გაზიარების თანხმობის მოთხოვნისას მმპ-მა წარმოადგინა
2091 კონკრეტული ანგარიშის ნომრები ან ბარათის მასკირებული ნომრები (ანუ მოითხოვა
2092 დეტალური თანხმობა, როგორც ეს განსაზღვრულია 9.1.2.1 თავით), **აუცილებელია** ამსმპ-მა
2093 აჩვენოს სმმ-ს ყველა შესაბამისი ანგარიში და ბარათი, რომელზეც ხდება თანხმობის გამოხატვა.

2094 თუ მმპ-მა წარმოადგინა ბარათის ნომერი დეტალური თანხმობის გამოხატვის პროცესში,
2095 **აუცილებელია**, ამსმპ-მა იგი გადაიყვანოს მასკირებულ ნომერში და ისე აჩვენოს სმმ-ს, რათა სმმ-
2096 მა ნათლად აღიქვას, კონკრეტულად რომელ ბარათთან დაკავშირებულ ანგარიშზე აძლევს
2097 თანხმობას მმპ-ს. **აუცილებელია**, მასკირებისას დაკმაყოფილებული იქნას PCI DSS-ის მოქმედი
2098 მოთხოვნები.

2099 თუ მმპ-მა წარმოადგინა ყველა გამოსადეგი ანგარიშის მიღებაზე თანხმობის მოთხოვნა (იხ.
2100 9.1.2.3 თავი) **აუცილებელია** ამსმპ-მა სმმ-ს ეკრანზე გამოტანილი ინფორმაციის სახით
2101 შეატყობინოს ყველა იმ ანგარიშის და ბარათის შესახებ, რომლის ინფორმაციაც გაუზიარდება
2102 მმპ-ს.

2103 თუ მმპ თანხმობის გამოხატვის პროცესში მოითხოვს ანგარიშის ნაშთებზე ან ტრანზაქციებზე
2104 წვდომას (მაგ. დეტალური თანხმობის მოთხოვნისას), **აუცილებელია** ამსმპ-მა თანხმობის
2105 ეკრანზე სმმ-ს უჩვენოს ანგარიშის ნაშთი (interimAvailable ან openingBooked).

2106 თუ თანხმობის გამოხატვა ხდება მულტისავალუტო ანგარიშზე არსებულ ნაშთებზე და არ ხდება
2107 წვდომის შეზღუდვა კონკრეტული ვალუტის მიხედვით, **აუცილებელია** ამსმპ-მა სმმ-ს მიაწოდოს

2108 ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ანგარიშზე მიბმულია ნაშთი რამდენიმე ვალუტაში და რომ
 2109 ანგარიშზე ახალი ვალუტის დამატების შემთხვევაში თანხმობა მასზეც გავრცელდება.

2110 თუ მმპ-მა წარმოადგინა ამსმპ-ში გამოხატული თანხმობის მოთხოვნა, რომელიც
 2111 ითვალისწინებს წინა თანხმობის ჩანაცვლებას, **აუცილებელია** ამსმპ-მა მომხმარებელს ეკრანზე
 2112 უჩვენოს შევსებული ფორმა არსებული წვდომებით, ამ წვდომების გაუქმების და ახალი
 2113 წვდომების დამატების შესაძლებლობით.

2114 თუ მმპ-მა თანხმობის მოთხოვნაში მიუთითა combinedServiceIndicator: true და ამსმპ მხარს უჭერს
 2115 უწყვეტი სესიის ფარგლებში გადახდის ინიცირების ავტორიზაციას მხოლოდ ერთი ფაქტორით,
 2116 **აუცილებელია** ამსმპ-მა მომხმარებელს ეკრანზე გამოუტანოს ტექსტი, რომლითაც აცნობებს
 2117 რომ თანხმობის გამოხატვის შემთხვევაში ამ ანგარიშებიდან გადარიცხვისთვის საკმარისი
 2118 იქნება ავთენტიფიკაციის მხოლოდ ერთი ფაქტორი, ასევე ის ვადა (და სხვა შეზღუდვები, ასეთის
 2119 არსებობის შემთხვევაში) რომლის განმავლობაშიც იქნება ხელმისაწვდომი გადახდის ინიცირება
 2120 ავთენტიფიკაციის მხოლოდ ერთი ფაქტორის გამოყენებით. თუ ამსმპ ამგვარ ოპტიმიზაციას
 2121 მხარს არ უჭერს, მან **არავითარ შემთხვევაში** არ უნდა აჩვენოს აღნიშნული ტექსტი.

2122

2123 10.1.4 მომხმარებლის თანხმობის ვიზუალური ეკრანები (ინფორმაციული)
 2124 ამ თავის ქვეთავებში მოცემულია სამაგალითო დიზაინები ანგარიშის ინფორმაციის
 2125 გაზიარებაზე თანხმობის გამოხატვის ეკრანებისათვის.

2126 10.1.4.1 დეტალური თანხმობა და გამოსაღებ ანგარიშებზე თანხმობა
 2127 მომხმარებელი თანხმობას აცხადებს ორ ანგარიშზე, რომელთაგან ერთი მულტისა ვალუტა,
 2128 ერთ ბარათზე და ასევე ერთ საბარათე ანგარიშზე რომელზეც ორი ბარათია მიბმული.

Welcome!

https://www.bank1.test/authorize

სს პირველი სატესტო ბანკი

თანხმობა ინფორმაციის გაზიარებაზე

თანხმობა ვარ, სს „პირველი სატესტო ბანკი“ ელექტრონული სახით არსებულ ინფორმაციაზე წვდომა მიიღოს შპს „გადახდის სატესტო ინოვაციური სერვისები“-მა ქვემოთ მოყვანილ ფარგლებში. ეს თანხმობა გაიცემა ერთჯერად გამოთხოვაზე, ვადით 21.06.2021 (ჩათვლით).

ანგარიში/ბარათი	წვდომა	ნაშთი
GE05BY2222222222222222 ჩემი სახელფასო	დეტალები ნაშთები	27.98ლ
GE05BY2222222222222223 ძველი მიმდინარე	დეტალები ნაშთები	68.19ლ სწ
ბარათი *****1237 Visa Electron	დეტალები ნაშთები ტრანზაქციები	43249.19ლ სწ
სამართა ანგარიში (2 ბარათი) *****5432 (MasterCard)	დეტალები ტრანზაქციები	4945.35ლ სწ

☐ გავაცანი და ვეთანხმები [ინფორმაციის გაზიარების პირობებს](#)

გაუქმება
თანხმობა

სურათი 1: დეტალური თანხმობის სამაგალითო ეკრანი

„ინფორმაციის გაზიარების პირობებს“ არის ჰიპერბმული. ასევე ჰიპერბმულებია ვალუტის სიმბოლოები, რომელზე დაჭერითაც მომხმარებელს შეუძლია ნაშთი სხვა ვალუტაში დაინახოს.

10.1.4.2 ამსმპ-ში გამოსატული თანხმობა

ამსმპ-ში გამოსატული თანხმობის პროცესი უნდა შედგებოდეს ორი ეკრანისაგან. პირველ ეკრანზე ამსმპ აარჩევინებს სმმ-ს იმ ობიექტებს და სასურველ წვდომებს (აღნიშნული ეკრანის დიზაინი ამსმპ-ს შეუძლია გააკეთოს საკუთარი შეხედულებისამებრ). ხოლო შემდეგ ეკრანზე სმმ დაინახავს იგივე თანხმობის ფორმას, როგორსაც დაინახავდა 10.1.4.1 თავის შემთხვევაში.

2139 10.2 გადახდის ინიცირებაზე თანხმობის გამოხატვის წესი

2140 10.2.1 მომხმარებლის თანხმობის ვიზუალური ეკრანები

2141 10.2.1.1 გადახდის ინიცირება იმ შემთხვევაში როდესაც მძ-სათვის წინასწარ ცნობილი არ არის

2142 ანგარიშის ნომერი საიდანაც უნდა გადაირიცხოს თანხა

2143 თუ მძ-ის მხარეს ცნობილი არაა გადახდის ყველა საჭირო პარამეტრი - (მაგ. ანგარიში, საიდანაც

2144 თანხა უნდა გადაირიცხოს), აუცილებელია ყველა ინფორმაცია დაზუსტდეს ამსმპ-ს მხარეს,

2145 მომხმარებლის მხრიდან საბოლოო თანხმობის გამოხატვამდე. მათ შორის შესაძლოა ამსმპ

2146 მოკლებული იყოს შესაძლებლობას, ზუსტად გამოითვალოს ოპერაციის საკომისიო, როგორც ეს

2147 8.4.1 თავითაა განსაზღვრული.

2148 მძ-ის მხარეს გადახდის ინიცირების ეკრანის მაგალითი მოცემულია შემდეგ სურათზე.

2149 მომხმარებელი ირჩევს მხოლოდ ამსმპ-ს:

2150

2151 სურათი 2: გადახდის ინიცირება მძ-ის მხრიდან, როდესაც მისთვის ცნობილი არაა საგადახდო ანგარიში

2152 მას შემდეგ, რაც მომხმარებელი დააჭერს ღილაკს „გაგრძელება“ და მძ-მა გაუგზავნის ამსმპ-ს

2153 გადახდის ინიცირების მოთხოვნას ამ დოკუმენტის 8.3 თავით განსაზღვრული წესით და ამსმპ

2154 დაარეგისტრირებს აღნიშნულ გადახდას, აუცილებელია მძ-მა მომხმარებელს უჩვენოს ამ

2155 გამოძახების შედეგი. ამ მაგალითის მიზნებისათვის, ამსმპ ითხოვს „გადამისამართების“ ტიპის

2156 ავტორიზაციას.

Confirmation

← → ↺

https://www.pisp.test/verify

გადარიცხვა საბანკო ანგარიშზე

თქვენი ბანკი	სს პირველი სატესტო ბანკი
მიმღების ანგარიში	GE05BY2222222222222222
მიმღების ბანკი	სს მეორე სატესტო ბანკი
თანხა	20.79 ლ

ინფორმაცია თქვენი ბანკიდან

გადახდის #	33e34ba4-c389-11eb-8529-0242ac130003
------------	--------------------------------------

"გაგრძელების" ლილაკზე დაჭერით თქვენ გადამისამართდებით "სს პირველი სატესტო ბანკი"-ს სისტემაში

გაუქმება

გაგრძელება

2157

2158 სურათი 3: ამსმპ-დან მიღებული პასუხის დეტალიზაცია, უცნობი ანგარიშიდან გადარიცხვის ინიცირების შემთხვევაში

2159 „გადამისამართების“ ტიპის ავტორიზაციის შემთხვევაში, „გაგრძელების“ ლილაკზე დაჭერით
 2160 მომხმარებელი გადამისამართდება ამსმპ-ს სისტემაში. ვინაიდან გარკვეული ინფორმაცია
 2161 საჭიროებს დაზუსტებას, აუცილებელია მომხმარებელმა ჯერ გაიაროს ავთენტიფიკაცია ამსმპ-
 2162 ის სისტემაში.

სურათი 4: მომხმარებლის ავთენტიფიკაცია ამსმპ-ში, გადახდის დეტალების გარეშე

შესაძლოა, მარეგულირებელი კანონმდებლობით დადგენილი წესით, ამსმპ-მ ისარგებლოს ერთფაქტორიანი ავთენტიფიკაციის გამოყენების უფლებით ან სხვა გამონაკლისებით, რასაც აღნიშნული კანონმდებლობა ადგენს. თუმცა მოცემულ შემთხვევაში ითვლება რომ მომხმარებელი სრულფასოვნად გადის ძლიერ ავთენტიფიკაციას, მათ შორის დინამიკური ბმის ჩათვლით (ანუ ავთენტიფიკაცია ხდება კონკრეტული ოპერაციის ქრილში).


მას შემდეგ, რაც მომხმარებელი წარმატებით გაივლის ავთენტიფიკაციას, **აუცილებელია** ამსმპ-მა ჯერ მოსთხოვოს ყველა საჭირო ინფორმაციის შევსება (ამ მაგალითის მიზნებისათვის, ეს ინფორმაციაა ანგარიშის ნომერი) :

სურათი 5: ანგარიშის არჩევა და ტრანზაქციის დადასტურება

თუ ანგარიშზე ვრცელდება საკომისო, **აუცილებელია** მომხმარებელმა დაინახოს აღნიშნული, ოპერაციის საბოლოო დადასტურებამდე.

ვინაიდან, როგორც უკვე აღინიშნა, წინამდებარე მაგალითის მიზნებისათვის მომხმარებელმა გაიარა სრულფასოვანი ორფაქტორიანი ავთენტიფიკაცია რომელიც კონკრეტულ გადახდასთანაა დაკავშირებული, მომხმარებლის დამატებითი ავთენტიფიკაცია აუცილებელი აღარ არის. **შესაძლოა** საკუთარი უსაფრთხოების პოლიტიკიდან გამომდინარე, ამსმპ-მა გარკვეულ შემთხვევაში მაინც მოითხოვოს დამატებითი ავთენტიფიკაცია (მაგ. მხოლოდ მე-2 ფაქტორით) თუ აღნიშნული არ დაარღვევს მარეგულირებელი კანონმდებლობის მოთხოვნებს.

„გადამისამართების“ ტიპის ავთენტიფიკაციისა და ავტორიზაციის გამოყენებისას, მას შემდეგ რაც მომხმარებელი საბოლოოდ დაადასტურებს გადახდას, **აუცილებელია**, ამსმპ-მა ჯერ მიაწოდოს ინფორმაცია მომხმარებელს გადახდის წარმატებით ან წარუმატებლად დასრულების შესახებ და მხოლოდ ამის შემდეგ გადაამისამართოს იგი მმპ-ის სისტემაში:



2187

2188

სურათი 6: ამსმ აწვდის მომხმარებელს ინფორმაციას გადახდის წარმატებით განხორციელების თაობაზე

2189

შესაძლოა აღნიშნული ეკრანი ავტომატურად გადამისამართდეს მმპ-ის სისტემაში ან საჭირო იყოს მომხმარებლის მიერ რაიმე მარტივი ქმედება (მაგ. ღილაკზე დაჭერა).

2190

2191

10.2.1.2 გადახდის ინიცირება იმ შემთხვევაში, როდესაც მმპ ამსმპ-ს სრულფასოვნად უგზავნის ყველა ინფორმაციას

2192

2193

ამ მაგალითის მიზნებისათვის მმპ ამსმპ-ს გადასცემს ყველა საჭირო ინფორმაციას გადახდის ინიცირების შეტყობინებაში, მათ შორის ანგარიშის ნომერს. მაგალითად:

2194

გადარიცხვა

https://www.pisp.test/prepare

გადარიცხვა საბანკო ანგარიშზე

თქვენი ანგარიში: GE94AX1111111111111111

თქვენი ბანკი: სს პირველი სატესტო ბანკი

მიმღების ანგარიში: GE05BY2222222222222222

მიმღების ბანკი: სს მეორე სატესტო ბანკი

თანხა: 20.79 ლ (ლარი)

"გაგრძელების" ლილაკზე დაჭერის შემდეგ გადახდის დავალება მიეწოდება თქვენს ბანკს. და შემდგომი ნაბიჯების შესახებ ინფორმაციას მიიღებთ შემდეგი ეკრანებიდან

გაუქმება გაგრძელება

სურათი 7: მმპ-ის მხრიდან ამსმპ-სა და საგადასმდელო ანგარიშის არჩევის მაგალითი

მას შემდეგ, რაც მომხმარებელი დააჭერს ლილაკს „გაგრძელება“ და მმპ-მა გაუგზავნის ამსმპ-ს გადახდის ინიცირების მოთხოვნას ამ დოკუმენტის 8.3 თავით განსაზღვრული წესით და ამსმპ დაარეგისტრირებს აღნიშნულ გადახდას, **აუცილებელია** მმპ-მა მომხმარებელს უჩვენოს ამ გამოძახების შედეგი. ამ მაგალითის მიზნებისათვის, ამსმპ ითხოვს „გადამისამართების“ ტიპის ავტორიზაციას. ვინაიდან ამსმპ-მა ამ მაგალითში ასევე შესძლო გამოეთვალა გადარიცხვის საკომისიო და დაებრუნებინა იგი, მმპ-სათვის, **აუცილებელია** მმპ-მა უჩვენოს იგი მომხმარებელს ამავე ეკრანზე.

Confirmation

←

→

↻

https://www.pisp.test/verify

გადარიცხვა საბანკო ანგარიშზე

თქვენი ანგარიში	GE94AX1111111111111111
თქვენი ბანკი	სს პირველი სატესტო ბანკი
მიმღების ანგარიში	GE05BY2222222222222222
მიმღების ბანკი	სს მეორე სატესტო ბანკი
თანხა	20.79 ლ

ინფორმაცია თქვენი ბანკიდან

გადარიცხვის საკომისიო	1.00 ლ
გადახდის #	33e34ba4-c389-11eb-8529-0242ac130003

"გაგრძელების" ლილაკზე დაჭერით თქვენ გადამისამართდებით "სს პირველი სატესტო ბანკი"-ს სისტემაში

გაუქმება

გაგრძელება

2204

2205

სურათი 8: ამსმპ-დან მიღებული პასუხის დათვალიერება, გადამრიცხავის ანგარიში ცნობილია

2206

ვინაიდან ამსმპ-ს აქვს ყველა საჭირო ინფორმაცია გადახდის ინიცირებასთან დაკავშირებით,

2207

შესაძლოა მან გაამარტივოს გადახდაზე თანხმობის მიღების პროცესი და გააერთიანოს

2208

ავთენტიფიკაციის, გადახედვისა და დადასტურების ეკრანები.

Welcome!

← → ↻ <https://www.bank1.test/authorize>

მოგესალმებათ სს პირველი სატესტო ბანკი

გთხოვთ დაადასტუროთ ტრანზაქცია

მიმღების ანგარიში	GE05BY2222222222222222
მიმღების ბანკი	სს მეორე სატესტო ბანკი
თანხა	20.79 ლ
გადარიცხვის საკომისიო	1.00 ლ
თქვენი ანგარიში	GE94AX1111111111111111
გადახდის #	33e34ba4-c389-11eb-8529-0242ac130003
მომხმარებელი	
პაროლი	
ერთჯერადი კოდი	კოდის მიღება

მომხმარებლის სწორი სახელის, პაროლისა და ერთჯერადი კოდის შეყვანისა და "ავტორიზაციის" ღილაკზე დაჭერის შემდეგ გადახდა ავტომატურად დადასტურდება და თქვენ დაბრუნდებით "მპს სწრაფი სატესტო გადახდების" სისტემაში.

[გაუქმება](#) [ავტორიზაცია](#)

სურათი 9: ავთენტიფიკაციის, გადახდისა და თანხმობის გაერთიანებული ეკრანი

- 2209
- 2210
- 2211
- 2212 „გადამისამართების“ ტიპის ავთენტიფიკაციისა და ავტორიზაციის გამოყენებისას, მას შემდეგ
- 2213 რაც მომხმარებელი საბოლოოდ დაადასტურებს გადახდას, **აუცილებელია**, ამსმპ-მა ჯერ
- 2214 მიაწოდოს ინფორმაცია მომხმარებელს გადახდის წარმატებით ან წარუმატებლად დასრულების
- 2215 შესახებ და მხოლოდ ამის შემდეგ გადაამისამართოს იგი მმპ-ის სისტემაში, როგორც ეს 10.2.1.1
- 2216 თავით არის განსაზღვრული.

2217 11 მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები

2218 11.1 პერსონალური მონაცემების დამუშავება მმპ-ის მხარეს

2219 აღნიშნული საკითხები ამ დოკუმენტით დეტალურად არ რეგულირდება. თუმცა აუცილებელია,
2220 მმპ-მა დაიცვას, სულ მცირე, შემდეგი მოთხოვნები:

- 2221 1) ჰქონდეს მონაცემთა დამუშავების მკაფიოდ განსაზღვრული და ლეგიტიმური მიზანი
2222 (მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად), რომლის თაობაზეც სმმ სრულად და
2223 ამომწურავად იქნება ინფორმირებული.
- 2224 2) გაითვალისწინოს, რომ ამსმპ-ს მხრიდან ინფორმაციის გაზიარების შეწყვეტა
2225 ავტომატურად არ გულისხმობს მმპ-ს მხარეს უკვე მიღებული ინფორმაციის დამუშავების
2226 შეწყვეტას და მიაწოდოს ამის შესახებ სმმ-ს სრული და ამომწურავი ინფორმაცია.
- 2227 3) თუ მმპ-ის მიერ სმმ-ის ინფორმაციის დამუშავება საჭიროებს თანხმობას მოქმედი
2228 კანონმდებლობის შესაბამისად, თავად მიიღოს აღნიშნული თანხმობა წინასწარ, მანამ
2229 სანამ ინფორმაციას გამოითხოვდეს ამსმპ-დან, ვინაიდან სმმ-ის მხრიდან ამსმპ-ში
2230 გამოსატული თანხმობა ფარავს მხოლოდ ამსმპ-დან მმპ-ში ინფორმაციის გადაცემის
2231 პროცესს და არა მმპ-ს მხრიდან შემდგომ დამუშავებას (მათ შორის დამახსოვრებას რაიმე
2232 ტიპის დროებით ან მუდმივ სანახში).
- 2233 4) სმმ-ის მიერ გამოსატული თანხმობა არც ერთ შემთხვევაში არ გულისხმობს სხვა პირების
2234 (მაგ. სადებეტო ოპერაციებში კრედიტორის, საკრედიტოებში კი დებიტორის
2235 ინფორმაცია) პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე თანხმობის გაცემას.
2236 აღნიშნული პირების პერსონალური მონაცემების დამუშავება დასაშვებია მხოლოდ
2237 უშუალოდ სმმ-ისათვის მომსახურების გაწევის მიზნით (მაგ. სმმ-ისთვის ტრანზაქციაზე
2238 სრული ინფორმაციის მისაწოდებლად), თუ მარეგულირებელი კანონმდებლობით მმპ-
2239 სათვის სხვა სახის დამუშავების უფლების არსებობა არ არის ცხადად განსაზღვრული.

2240 **შენიშვნა:** ზემოაღნიშნული საკითხების გარდა მნიშვნელოვანია მმპ-მა ასევე გაითვალისწინოს
2241 შესაბამისი მარეგულირებელი კანონმდებლობის მოთხოვნები და იმოქმედოს მასთან
2242 შესაბამისობაში.

2243

2244 11.2 წვდომა სხვა პირების ანგარიშებზე

2245 იმ შემთხვევაში, როდესაც სმმ-ს გააჩნია წვდომა სხვა პირის ანგარიშებზე ისეთ ელექტრონულ
2246 სისტემაში, რომელსაც ამსმპ მას ანგარიშებზე წვდომისათვის სთავაზობს (მაგ. ინტერნეტ ბანკში
2247 ან მობილბანკში), ამსმპ-ს უფლება აქვს, ამ დოკუმენტით განსაზღვრული სერვისების
2248 მიწოდებისას აღნიშნული წვდომა სმმ-ს სხვა პირისგან დამატებითი ნებართვების მიღების
2249 საჭიროების გარეშე მიაწოდოს.

2250

2251 12 წყაროები

2252 1. **The Berlin Group Joint Initiative on a PSD2 Compliant XS2A Interface.** NexGenPSD2 XS2A
2253 Framework, Operational Rules. ვერსია 1.3 დეკემბერი 21, 2018.

- 2254 2. —. NexGenPSD2 XS2A Framework, Implementation Guidelines. ვერსია 1.3.9 მარტი 29, 2021.
- 2255 3. **Bradner, Scott.** *RFC 2119 (Key words for use in RFCs to Indicate Requirement Levels)*. March 1997.
- 2256 4. საქართველოს საბანკო ასოციაცია. *ღია ფინანსების სისტემაში იდენტიფიკაციის,*
2257 *ავთენტიფიკაციისა და ავტორიზაციის განხორციელების სახელმძღვანელო.* ვერსია 0.8.RC1.
- 2258 5. **ETSI.** TS 119 495 - Electronic Signatures and Infrastructures (ESI); Sector Specific Requirements;
2259 Qualified Certificate Profiles and TSP Policy Requirements under the payment services Directive (EU)
2260 2015/2366. ETSI TS 119 495.
- 2261 6. *RFC 8705 (OAuth 2.0 Mutual-TLS Client Authentication and Certificate-Bound Access Tokens).*
- 2262 7. *RFC 7591 (OAuth 2.0 Dynamic Client Registration Protocol).*
- 2263 8. *OpenID Connect Dynamic Client Registration 1.0.*
- 2264 9. *RFC 7592 (OAuth 2.0 Dynamic Client Registration Management Protocol).*
- 2265 10. საქართველოს საბანკო ასოციაცია. *ღია ფინანსების სისტემაში იდენტიფიკაციის,*
2266 *ავთენტიფიკაციისა და ავტორიზაციის განხორციელების სახელმძღვანელო.* ვერსია 0.8.
- 2267 11. The Berlin Group Joint Initiative on a PSD2 Compliant XS2A Interface. *NextGenPSD2 XS2A*
2268 *Framework, Extended Services, Resource Status Notification Service.* მარტი 1, 2019.
- 2269 12. საქართველოს საბანკო ასოციაცია. *JSON Web Signature (JWS) განხორციელების*
2270 *სახელმძღვანელო ღია ბანკინგისათვის.* ვერსია 0.5.
- 2271 13. The Berlin Group Joint Initiative on a PSD2 Compliant XS2A Interface. *NextGenPSD2 XS2A*
2272 *Framework, Domestic PIS and AIS Definitions.* აპრილი 19, 2021.
- 2273 14. —. *NextGenPSD2 XS2A Framework, Extended Services, AIS for Single Cards.* 12 14, 2020.
- 2274 15. —. *NextGenPSD2 XS2A Framework, Extended Services, Multiple Consents Management.* 1.0 10 30,
2275 2020.
- 2276 16. *RFC 4122 (A Universally Unique Identifier (UUID) URN Namespace).*
- 2277 17. *Financial-grade API - Part 1: Read-Only API Security Profile.*
- 2278 18. *RFC 5755 (An Internet Attribute Certificate Profile for Authorization).*
- 2279 19. *RFC 8414 (OAuth 2.0 Authorization Server Metadata).*
- 2280 20. Signing HTTP Messages, draft-ietf-httpbis-message-signatures-00. [Online]
2281 <https://tools.ietf.org/html/draft-ietf-httpbis-message-signatures-00>.
- 2282 21. Signing HTTP Messages, draft-cavage-http-signatures-12. [Online]
2283 <https://tools.ietf.org/html/draft-cavage-http-signatures-12>.
- 2284 22. ETSI. Electronic Signatures and Infrastructures (ESI); Certificate Profiles; Part 1: Overview and
2285 common data structures. V1.1.1 (2016-02). ETSI EN 319 412-1.

